ნოდარ წულეისკირი

ოცი წელი წერაქვში

თბილისი 2013

რედაქტორი
თათია შენგელაია

ISBN 978-9941-446-56-6

© ნოდარ წულეისკირი, 2013.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2013.

ვუძღვნი ჩემი ქალიშვილის –
ირმას ნათელ ხსოვნას

წერა არ შემიძლია, მაგრამ მაინც უნდა დავწერო. ხელი არ მემორჩილება – მაინც უნდა დავწერო!

როგორ დავწერო, საიდან დავიწყო, გონებაც დაულაგებულია, რა გამოვა, არ ვიცი. რამდენი ხანია, კალამი ხელში არ ამიღია.

ჩემი ცხოვრება ასე აეწყო:

სამოქალაქო ომი, ეროვნული მოძრაობა, ავადსახსენებელი 90-იანი წლები, გადატანილი სირთულეებითა და სიმწარეებით, გამქრალია გონებიდან.

გროზნოდან ჩამოსვლისთანავე შვილმა, ირმამ ნერაქვში ამომიყვანა – აქედან იწყება ჩემი პანტედ გარდასახვა.

1992 წლიდან შვილის სააგარაკო სახლი სოფელ წერაქვში გახდა ჩემი თავშესაფარი. მაშინ დასრულდა ჩემთვის მწერლობა, სიცოცხლე. რა უნდა დამეწერა, ვისთვის უნდა დამეწერა? მათთვის, ვინც ტყვია მესროლა?

სოფლის სკოლაში მასწავლებლობა დავიწყე, ქართულს ვასწავლიდი ყმაწვილებს. დავიარებოდი ეული, უარყოფილი და ტვირთად დავატარებდი დაუწერელი, მკვდრადშობილი პერსონაჟებისა და გმირების სახეებს.

ჟურნალისტური სითამამე თანამედროვეობაში

„ნოდარ წულეისკირი და მუხრან მაჭავარიანი მოკლეს“ – იმ დროისათვის საბურთალოს ქუჩაზე ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები მუხრანის გოგო და ჩემი შვილი მსგავს სტატიას გადააწყდნენ. მოგეხსენებათ, მაშინ მობილურები არ იყო და შვილებიც იოლად ვერ ახერხებდნენ, ჩაეკითხათ თავიანთი მამებისათვის. ორივე ქალმა თბილისი გადაატრიალა და ჟურნალისტი მოძებნა იმის გამოსარკვევად, თუ საიდან მოიპოვა მსგავსი ცნობა, სიცრუეს რატომ წერდა. დრო გახლდათ ასეთი – პასუხის მომთხოვნი არ იყო არავინ.

არის იარები, რომლებიც არ ჩანს, მათი გადატანა მხოლოდ მარტოობაშია შესაძლებელი.

ვამუშავებდი მიწას საკარმიდამო ნაკვეთზე, მომყავდა მოსავალი და მარტო ვიყავი წლების მანძილზე. ბუნებას, მასთან შერწყმის უნარი თუ გაგაჩნია, ადამიანის გაცოცხლება ძალუძს. წელი წელს მიყვებოდა, სეზონი სეზონს, თანდათანობით მოკვდა ჩემში მწერალი, ცოცხლობდა პანტე. საკმაოდ მძიმე ფიზიკური შრომითა და წვალებით ვარსებობდი ერთი ვინმე ნაღალატარი ადამიანი. სოფლის წესით ცხოვრება საკმაოდ რთულია. სასოწარკვეთისა და სინანულის დრო არც კი გრჩება, როდესაც დარჩენილი ხარ ცისა და მიწის ამარა. სოფლის სკოლაში ქართულის მასწავლებლობამ, ჩემივე პერსონაჟად – პანტედ გარდასახვამ და ბავშვებთან მუშაობამ სხვა სიყვარულის მარცვალი გააღვივა ჩემში.

ადამიანი, ერთი მხრივ, ვერაგი და დაუნდობელი არსებაა, მაგრამ არსებობენ ნრფელნი, ხალასნი, ალალნი, ბავშვებივით სუფთანი. ვეცდები, სიტყვით მოვეფერო

სნორედ მსგავს ადამიანებს. თუ ვინმე ვერ გავიხსენე, მომიტევეთ, სიბერის ბრალია.

არაერთ ჟურნალისტს უკითხავს ჩემთვის, რატომ მივატოვე მწერლობა, ქალაქს რატომ განვერიდე. რა არის ამაში გაუგებარი – საზოგადო მოღვაწე ნოდარ წულეისკირმა რაც შეძლო, ყველაფერი გააკეთა, მწერალმაც იქამდე იშრომა, სანამ მიაჩნდა, რომ მისი წვალება ფუჭი არ იყო. ტყვიის მიღების შემდეგ დავასრულე ცხოვრება, რომლითაც იქამდე ვცხოვრობდი და დავიწყე ახალი. ვიპოვე ადგილი, სადაც საჭირო ვიყავი.

1997 წლამდე ვმუშაობდი პედაგოგად, შევიყვარე აქაურები. მათ, არ ვიცი, შემიყვარეს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, აქ ტყვია არ მომხვედრია.

ჩემი ირმა საგამომცემლო საქმიანობით იყო დაკავებული თბილისში. არეულობისას გამომცემლობა დაარბიეს, ახლობელ-ნათესავებმა ვითომ „გაკოტრების", სინამდვილეში კი მხედრიონთა თარეშის შედეგად, გაყვლეფა-გატყავების გამო ირმას ზურგი აქციეს. მიუხედავად იმისა, რომ უწმინდესისა და უნეტარესის პირად მდივან-რეფერენტად მუშაობდა მრავალი წლის მანძილზე, მაინც ვერ მოხერხდა იმ სიტუაციაში ჩემი შვილის ოჯახის დაცვა.

მას მერე, რაც ირმას თბილისზე გული აუცრუვდა, ჩათვალა, რომ იქ ვერაფერს გახდებოდა, ერთად გადავწყვიტეთ, თბილისიდან გადმოსულიყო წერაქვში და აქ გვეცადა ბედი, მორალურად მოვღონიერებულიყავით და ხელახლა დაგვეწყო ყველაფერი.

სოფლის სათხოვარი

სოფლის სკოლაში რამდენიმე საგნის პედაგოგი არ იყო, ამის გამო ატესტატში საგნის გასწვრივ ინერებოდა – „არ ისწავლა“. იმდროინდელი სკოლის დირექტორი ქეთო კვანჭიანი ვერ ართმევდა თავს, სკოლის გამოსაცოცხლებლად ეძიძგილავა მარნეულის მაშინდელ გამგეობასთან და მოეპოვებინა სკოლისათვის საარსებოდ საჭირო პირობები. სოფელი კი ბავშვებისაგან იცლებოდა.

იმ წლების მანძილზე, რაც ქართულის მასწავლებლად ვიმუშავე, სოფლის მოსახლეობამ გამიცნო და რატომღაც მიიჩნიეს, რომ მათი შვილებისათვის ბევრის გაკეთება შემეძლო. 1997 წლის ზაფხულში ახალი ჩამოსულები იყვნენ ირმა და ჩემი შვილიშვილი თათია, ჩვენთან ამოქოთქოთდნენ სოფლის დედაკაცები და მეხვეწებოდნენ, ჩვენს სკოლას ჩაუდექი სათავეში და ბავშვებს დააყენე რაიმე საშველიო, შენ იმისთანა კაცი ხარ, შეძლებ სკოლა სკოლას დაამსგავსოო.

სამი შვილის დედა ლეილა ცხადიაშვილი იყო მეამბოხე ქალების მეთაური. სოფლის მცხოვრებლებმა მოინდომეს ჩემი სკოლის დირექტორად დანიშვნა და თავისი გაიტანეს კიდეც. იმავე წლის სექტემბერში სკოლის დირექტორი გავხდი.

შვილი მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის დირექტორად დაინიშნა.

რთულია ჩემთვის ამ ყოველივეს გახსენება, მაგრამ გზა დიდი სიყვარულითა და რუდუნებით გამოვიარეთ.

დავიწყე ბრძოლა სკოლის გადასარჩენად და მე ამ ბრძოლაში მარტო არ ვყოფილვარ. პირველი, რაც გავაკეთე, უნივერსიტეტს მივაკითხე პედაგოგების მოსაძიებლად. შემოვიკრიბე თანამოაზრეები, კარგი სპეციალისტები. მოვიპოვე ტრანსპორტი, რომ პედაგოგებს ევ-

ლოთ ქალაქიდან სოფელში, ნამდვილი მასწავლებლებით დავაკომპლექტე სკოლა. რთული იყო, მაშინდელ ხელფასზე დაგეყოლიებინა ვინმე, თუმცა დროთა განმავლობაში შევძელი პედაგოგებისთვის კარგი პირობების შექმნა. აქვე მინდა ვთქვა, რომ როდესაც ოჯახი გიდგას გვერდში, ყოველგვარი სირთულის გადალახვა შესაძლებელია...

საჭიროდ მიმაჩნია სოფელ წერაქვისა და სკოლის მოკლე ისტორიული მიმოხილვა და იმ ადამიანების მოგონება, რომელთა წყალობითაც სოფელმა და იქ არსებულმა საშუალო სკოლამ იმ დრომდე მოაღწია, როცა სკოლა მე გადმომაბარეს და მისი ბედი უკვე ჩემი გადასაწყვეტი იყო.

წერაქვის საშუალო სკოლა

წერაქვში 1930-32 წლებში იოსებ იმედაშვილმა გახსნა არასრული საშუალო სკოლა. 1949 წელს თერთმეტი კლასი იყო. 1976 წელს გაუქმდა, ორი წელიწადი არ იყო სწავლება. 1987 წელს წერაქვის სკოლის შენობაში ჩაასახლეს სვანები. ამ დროს ბავშვები ძველ შენობაში სწავლობდნენ. 1988-1989 წელს წერაქვში უკვე საშუალო სკოლა არსებობდა, რომლის პირველი დირექტორი გია აბრამია გახლდათ, შემდეგ რობინზონ ნოზაძე და ქეთევან კვანჭიანი. 1988 წელს შედგა პირველი გამოშვება, მე-11 კლასი დაამთავრა ერთადერთმა მოსწავლემ, ზაზა წინიკაშვილმა – მოგვიანებით იგი აფხაზეთის ომში დაიღუპა. 1989 წლის ნოემბრიდან გაიხსნა სკოლის ახალი შენობა, სადაც განახლდა სწავლა. 1994-1995 წლებში მოსწავლეების სიმცირის გამო ეს სკოლა გახდა ცხრაწლიანი, 1996 წლიდან კი აღდგა საშუალო სკოლა.

„...ამ ორი წლის წინ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტს მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტები, მეცნიერ თანამშრომლები ანუ ძეგლის მეგობარი რაზმის წევრები მოვიდნენ აქ. გზად ბირთვისის ციხე, არსენას წყარო და გორდას გამოქვაბული გამოვლეს. გაჭრეს გზა ტბისის სამონასტრო კომპლექსამდე, ააგეს ბოგირი...

ამის მერე იყო, წერაქვის ორნავიან ბაზილიკას რომ მიადგნენ და იხილეს ჩაქცეულ-გაევრანებული ჯაგებით სავსე, სუროთი და ფითრით შეჭმული.

სოფელში ავარდნენ სასაყვედუროდ. წელიწადში ერთი დღეც რომ გემუშავათ წინაპართა სადღეგრძელოდ, ასე არ ჩაიქცეოდა ყოველივე. ბოსელის საშენებლად როგორ გაიმეტეთ ისტორიული ძეგლის ქვები...

არც სკოლა, არც მაღაზია, სამედიცინო პუნქტი ან სხვა რამ...

გიორგი ანტონიძე ტელეფონით ვერ დარეკავდა მარნეულში, ფეხით უნდა ჩასულიყო – სამივე შვილი სკოლაში იქა სწავლობდა. არა მარტო გიორგი, ყველა ამ დღეში იყო. რაიმე ცნობისთვის ოფრეთის სასოფლო საბჭოში გარბოდნენ, სამუშაოდ კიდევ შაუმიანის მეურნეობაში.

ძეგლის მეგობარი რაზმების წევრები რომ მოვიდნენ, იმ დღეს იმედი აციაგდა წერაქვში.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსმა, პროფესორმა ი. ციციშვილმა წერილობით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და განათლების სამინისტროს სოფელ წერაქვში სკოლის აღდგენის თაობაზე. განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ პოლიტიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს აღუთქვა:

– ოთხ მოსწავლეს მაინც თუ შეკრებთ, სოფელში სკოლას გავხსნიო.

სულაც ჩემი შვილებით ჩავსახლდები წერაქვშიო, თქვა მაშინ ინსტიტუტის ლექტორმა ვანო თვალავაძემ. თუ გული გულობსო, ხომ გაგიგონია? მალე განათლების სამინისტროში წერაქვიდან სია მოვიდა: გიორგი ჟუჟუნაშვილი, ლალი ცხადიაშვილი, გიორგი ბურნაძე, ეკა ბესტავაშვილი?.. ზუსტად ოთხი წერაქველი, მომლოდინე ოთხი ბავშვი!.. ეს იმას ნიშნავდა, რომ სოფელში კვლავ აწკრიალდებოდა სკოლის ზარი, მაგრამ მასწავლებელი?!

განათლების სამინისტროში განაწილების საგზურს რომ იღებდა, მოულოდნელად დააბრუნა ფურცელი უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა გია აბრამიამ.

– ქარელში კი მივდიოდი, მაგრამ, თუ მენდობით, წერაქვში წავალო.

წერაქველებს იმედად ეგულებათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები, საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, განათლების სამინისტრო, პირველი დახმარება ამათგან მიიღეს“ (ლიანა მიქაძე, გაზეთი „კომუნისტი“, 1980 წელი, 14 დეკემბერი).

„კვლავ წკრიალებს სკოლის ზარი, და აი, რამდენიმე წლის წინ, კერძოდ 1978 წელს გადაწყდა ამ უძველესი ქართული სოფლის აღდგენა, გაიყვანეს გზა, ააშენეს ხიდი, გამოძებნეს სკოლის შენობაც, შეარემონტეს...

და აი, მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან ას ნლისთავზე 1986 წელს, ამ სოფელში საპირველსექტემბრო ზარს მამაკაცმა მასწავლებელმა ჩამოჰკრა.

ხალხის, მთავრობის, სკოლის გამგე-მასწავლებლის, გია აბრამიას, მისი თანამზრახველების – ლია ჩიტიაშვილისა და მარინე ბესტავაშვილის ერთიანი ძალისხმევის შედეგად ამჟამად 14 წერაქველი პაწია ეუფლება ცოდნის ანბანს.

სოფელში მალე გაიხსნება მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმი – ამ საშვილიშვილო საქმეს უძღვება ცნობილი პოეტი ქალი იზა ორჯონიკიძე. ამჟამად სოფელში შენდება საშუალო სკოლის კაპიტალური შენობა.

სოფლის ტერიტორიაზე მწერალთა კავშირს კოლექტიური მებაღეობისათვის მიწები გამოუყვეს" (ამონანერი ჟურნალიდან „დაწყებითი სკოლა, სკოლამდელი აღზრდა", 1985 წელი, № 2).

„სულ ახლო წარსულში წერაქვი საკმაოდ ღონიერი სოფელი ყოფილა თურმე. ამ საუკუნის ოციან წლებში ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის თაოსნობით დაწყებითი სკოლა გაუხსნიათ. შემდეგ სკოლა რვაწლიანად გადაკეთებულა, შემდეგ კი საშუალო სკოლად, სადაც მოსწავლეები სიონიდან, თამარისიდან და წერეთლიდანაც დადიოდნენ თურმე. დროთა განმავლობაში აქაურები მარნეულში, რუსთავსა და თბილისში გადასახლდნენ. ნელ-ნელა ცარიელდებოდა სოფელი. 1976 წელს მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირის გამო სკოლა დაიხურა. 1980 წელი განსაკუთრებულია ამ უძველესი სოფლის ცხოვრებაში. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის ენთუზიასტების – აღმშენებელთა რაზმისა და ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმო სამმართველოს მუშაკთა მარჯვენამ დავიწყების ბუ-

რუსს გამოსტაცა მე-12 საუკუნის შესანიშნავი ორნავიანი ბაზილიკა, ასეთი რუდუნებით რომ აღუდგენია მე-15 საუკუნეში ცნობილ სნავლულს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილს და სიცოცხლე დაამკვიდრა ამ უძველეს მიწაზე – სოფლიდან წასულებმა პირი იბრუნეს.

უკვე მე-4 წელია მხიარულად წკრიალებს სკოლის ზარი...

ახალჩამოყალიბებული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დამხმარე მეურნეობა „ხალიბი" კარგ საჩუქარს უმზადებს წერაქვის მოსწავლეებს – 1984 წლის იანვარში დაიწყება საბავშვო ბაღისა და საშუალო სკოლის მშენებლობა, კეთილმოწყობილი სპორტული მოედნით, რომელიც მომავალ სასწავლო წელს ჩადგება მწყობრში" („სოფლის ცხოვრება", 1983 წელი, 1 სექტემბერი).

„დიდი მწერლის იუბილისათვის თავს არ შეირცხვენენ, მოასფალტებული გზა დააგეს, კლუბი შეაკეთეს, სკოლის ეზო შემოლობეს რაიონის ხელმძღვანელებმა.

კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ჩიქოვანმა მოსწავლეებს ტელევიზორი და თაროები გამოუგზავნა, მერე პიანინოსაც შეპპირდა" (ლიანა მიქაძე, „სახალხო განათლება", 1981 წელი, 7 ოქტომბერი).

„1976 წელს რატომღაც რვაწლიანი სკოლა დაიხურა და არავინ ათხოვა ყური 26 მოსწავლეს, რომელიც იძულებული გახდა კერას მოსწყვეტოდა.

და მიჰყვნენ მშობლებიც თავიანთ შვილებს, მოხუცების ამარა მიაგდეს ბაღი, სახნავი, საქონელი.

მაგრამ 1980 წელი ფეხბედნიერი დაებედათ წერაქველებს. ისტორიული ზარი – ძველი ბაზილიკიდან ჩამოხსნილი – აგუგუნდა სოფელში...

გია აბრამიას პირველი გაკვეთილი დაულოცეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პატრიოტმა მეცნიერმა მუშაკებმა. თავად დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი კი ცდილობდა გაემართლებინა განათლების მინისტრის ოთარ ქინქლაძის დიდი ნდობა.

სასახელოდ, მხრებგაშლილი შეხვდა წერაქვი დიდი მამულიშვილის მიხეილ ჯავახიშვილის იუბილეს შარშან" (ლიანა მიქაძე, „სახალხო განათლება", 1982 წელი, 19 თებერვალი).

მანანა და ირმა სოფელ-სოფელ ბავშვების ძიებაში და პატარა გოჩო

როდესაც სკოლა ჩამაბარეს, მხოლოდ 13 ბავშვი-ღა იყო დარჩენილი, დანარჩენები რაიონში წაეყვანათ მშობლებს, ვინაიდან არასრულ საშუალო სკოლაში არ სურდათ თავიანთი შვილების ტარება. პირველი, რაც გავაკეთე სკოლის მასწავლებლებით დაკომპლექტებამდე, ჩემი შვილიშვილი თათია მე-6 გერმანული გიმნაზიიდან გადმოვიყვანე ჩემს სკოლაში. რთულია, მშობელს საკუთარი შვილის სოფლის სკოლაში დაბრუნება სთხოვო, როდესაც თავად არ აძლევ მაგალითს.

ოჯახიდან წასული ბავშვები, როგორც კი სკოლის დირექტორი გავხდი, დაუბრუნდნენ სოფელს.

ჩემმა შვილმა ირმამ და სვანმა მანანა კვიციანმა გადაწყვიტეს, სოფელი ჩამოევლოთ, თითოეულ ოჯახამდე მიეტანათ ამბავი, რომ სკოლაში ბავშვებისთვის ყოველგვარი პირობები შეიქმნებოდა და შეეგულიანებინათ მშობლები, მათი კეთილგანწყობა მოეპოვებინათ და სოფლის სკოლაში მოეზიდათ პატარები.

ერთ-ერთ ოჯახში მისვლისას სილაში მოთამაშე გოჩო ქვიშითა და ტალახით მოსვრილი, ხუთიოდე წლის თუ იქნებოდა. ჩემმა შვილმა აიჩემა, პირველი კლასი არ გვყავს და ეს პატარა წელს სკოლაში გამოუშვითო.

მომავალი მოსწავლის დედამ, გოჰარამ გაიკვირვა, ჯერ ერთი ციდაა და რა უნდა ისწავლოსო.

გოჩოს კი სილაში თამაში გადაავიწყდა, ყურები ცქვიტა, მასზე რომ დაიწყეს საუბარი. ირმამ ჰკითხა:

– გოჩო, სკოლაში სიარული გინდა?

– მინდა, – თქვა გაბადრულმა და კბილებდაკრეჭილმა ბალღმა.

ბავშვის დედა ირმამ და მანანამ იოლად დაიყოლიეს. ასე გახდა ერთი ციდა გოჩო წერაქვის სკოლის პირველკლასელი.

...ერთ წელსაც დიდი თოვლი მოვიდა. ჩვენი სკოლის ყველაზე პატარა მოსწავლე, გოჩო თოვლში არ ჩანდა, როდესაც სკოლაში მოდიოდა. თუმცა სკოლა ზამთარს ყველანაირად მომზადებული დახვდა: მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მიერ მოცემული ფულით ტრაქტორი ვიყიდეთ და ყველაფრისათვის ვიყავით უკვე მზად. მუხლამდე თოვლი და საშინელი ყინვები ვერაფერს დაგვაკლებდა, სკოლას ჰყავდა ტრაქტორი, რომელიც გოჩოს ბიძას – ჟორიკო ჟუჟუნაშვილს მივაბარე, სწორედ ჟორას ვთხოვე სკოლის ტრაქტორით გოჩოსათვის გზა გაეწმინდა, რაც, რა თქმა უნდა, მაშინვე გაკეთდა.

გოჩო უკვე თოვლში აღარ გვეკარგებოდა, ისე აღწევდა სკოლამდე.

იმჟი ხაყლე სი მარე, ა?

სანამ სკოლის დირექტორი გავხდებოდი, პანტე ვიყავი, ერთი ჩვეულებრივი ქართული ენის მასწავლებელი. სკოლაში უჩვეულო ვითარება იყო, ჩემს ჩამოსვლამდე წერაქველებსა და სვანებს ჩხუბი მოსვლიათ. ერთი ციდა მოსწავლეები ერთმანეთს ემტერებოდნენ და ეჯიჯღინებოდნენ. კლასში სულ სამი მონაფე მყავდა, ერთიმეორეზე უკეთესი – ორი სვანი, ერთიც წერაქველი. წერაქველი ბავშვი და სვანი ერთ მერხთან რომ დამესვა, ამისათვის დიდი გარჯის გაწევა დამჭირდა.

ნასვამ წერაქველ და სვან კაცებს, ეტყობა, ჩხუბი მოსვლიათ. დარაზმულან წერაქველი დედაკაცები, გოგონები და დასევიან სვანებს ჯოხებით, უბათქუნებდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. სატრაბახოდაც კი ამბობდნენ, ამხელა და იმხელა ჯოხი გადავატეხე სვანსო. მსგავსი ამბის მოსმენისას მტყუან-მართალს ეშმაკიც ვერ გაარჩევდა, მაგრამ ერთი რამე კი მეამა: იმდენი ღირსება მაინც შერჩენოდათ დღესდღეობით აქაურ სვანებს, რომ ქალებისათვის ხელი არ შეებრუნებინათ.

იმ დროში საქართველოში ყველგან ძმათა მტრობა იყო. ამ პატარა ბიჭუნებში სიძულვილის დანახვამ მთელი ერის უბედურება კიდევ ერთხელ მკაფიოდ მაჩვენა.

სამი პანია ქართველი ვაჟკაცი ერთ კლასში ერთმანეთს ერჩოდა.

ერთ დღესაც გადავწყვიტე, ვითომ არაფერი ვიცოდი, დამესვა წერაქველი და სვანი ერთ მერხზე. პატარა ბიჭუნა დამემორჩილა. სვანებს უფროსების განსაკუთრებულ პატივისცემას ასწავლიან ბავშვობიდან – მე რომ ვუთხარი, ვოვკა გურჩიანი დაჯდა ჯაბა ცხადიაშვილის გვერდით.

ვიფიქრე, შორიდან მომეარა და დავუწყე პატარა ბიჭუნებს იმის ახსნა, რომ ხანდახან უფროსებსაც შეიძ-

ლება რაღაც არ გამოუვიდეთ ლამაზად და სწორად, მათაც დაუშვან შეცდომა. ამის გამო არ არის საჭირო თაობებით გულში ბოღმის ჩადება და ერთმანეთის სიძულვილი. მერე ჩავეკითხე, მაინტერესებდა, ბავშვი რას მეტყოდა, ვოვკამ წრფელად მიპასუხა:

– ალბათ მართალი ხართ.

ის კი უბრალოდ ამყვა, მაგრამ მეორე გაკერპებულმა სვანმა, დათო კვიციანმა სვანურად გადაულაპარაკა:

– იმჟი ხაყლე სი მარე, ა? იმჟი ხაყლე სი?

– მასწ, შეგვაგინა! – წამოიძახა ამის გაგონებაზე წერაქველმა.

ერთმანეთის ენის არცოდნამ (მე აქ მხოლოდ ქართველურ ენებს არ ვგულისხმობ) ბევრ უბედურებას გადაგვყარა. პატარები, რომლებსაც ახლა ვიხსენებ, უკვე დაოჯახებული ვაჟკაცები არიან და მეგობრობენ კიდეც. ეს ფრაგმენტი წარსულიდან ალბათ მხოლოდ ღიმილს თუ მოგვრით მათ და ახლა აღარც ემახსოვრებათ, რისთვის უწყრებოდნენ ერთმანეთს.

ეს ეპიზოდი, რა თქმა უნდა, არ დამვიწყებია. ისიც მახსოვს, როგორ ჩაიბურტყუნა დათო კვიციანმა:

– არ შემიგინია, უბრალოდ, ვოვკას რაღაც ეუთხარი, – და ბავშვი ამის თქმისთანავე გაიყურსა და გაჩუმდა.

გადავხედე პატარა კუშტ ვაჟკაცუნას და მაშინვე მივხვდი, რომ სიმართლეს ამბობდა. ყურადღება მალევე გადავიტანე გაკვეთილზე და მათ შორის კონფლიქტის თემას აღარ შევხებივარ. ფრაზა კი დამამახსოვრდა – „იმჟი ხაყლე სი მარე, ა?“

ბავშვმა ეს სიტყვები ისეთი ბრაზით უთხრა თავის თანატოლს, ახლაც მახსოვს მისი ხმა, ჯერაც ხრინწშეურეველი, ყმაწვილის გაბზარული ხმა. მოგვიანებით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიანაც მაინტერესებდა,

არც ერთი სვანი მასწავლებლისათვის არ მიკითხავს ამ ფრაზის მნიშვნელობა.

რამდენიმე წლის მერე ხელში ჩამივარდა კლარა გაგუას „დრონაკლი ზმნები სვანურში", საიდანაც შევიტყვე, რომ „იმჟი ხაყლე სი მარე, ა?" – ნიშნავს: „რას ამბობ, შე კაცო, ა?"

ჩემთვის გულში მწარედ გამეღიმა. ნუთუ ერთმანეთის მოსმენა არ უნდა შეგვეძლოს, მოთმინება ერთმანეთის გაგებისთვის არ უნდა გვყოფნიდეს?! მე არათუ ბავშვებს, მოწიფულ ადამიანებსაც იოლად გამოვიცნობ ხოლმე და მჯერა, რომ სინრფელის ფასი არაფერია ამქვეყნად. ზოგს ეს მხოლოდ ბავშვობაში ახასიათებს, ზოგს კი მოზრდილ ასაკშიც გაჰყვება ხოლმე.

...ვინ იცის, თანამედროვე ბიჭ-ბუჭების საუბარში ნათქვამი ფრაზის – „რა ყლეობაა" (ანუ ეს რა ლაპარაკია!) – ძირი სვანურიდან იყოს შემოსული – ეს ისე, ხუმრობით და ნახევრად სერიოზულადაც.

პირველი ნერაქვული ზამთარი შვილთან და შვილიშვილთან ერთად

მთელი ზაფხული ვაგროვებდით შეშას. დარაზმულები მივდიოდით ტყეში, მე ჩემი განუმეორებელი სტაფილოსფერი ურიკით, ირმა და თათია. ვიწრო ბილიკზე მე დავწინაურდებოდი, უკან შვილი მომყვებოდა, სულ ბოლოს კი შვილიშვილი. ვხუმრობდი, ამ ოჯახის მთავარი მთრეველი, ტვირთის მზიდავი მე ვარ-მეთქი. ბუნების კანონია, მშობლის შემდეგ შვილმა ზიდოს, მერე კი შვილიშვილმა გაიტანოს ბოლომდე. ნაფოტებით დახუნძლული ურიკა შევასწორე თავდაღმართზე და გავიხუმრე, სადაც ნვრილია, იქ გაწყდება-მეთქი.

რას ვიფიქრებდი, ან რა ვიცოდი მაშინ, თუ რა სატანჯველს მიმზადებდა განგება.

თითქოს საკმარისი მარაგი გვქონდა შეშისა, მაგრამ ალბათ ვერ გავთვალე, რომ უკვე მარტო აღარ ვიყავი – თვეობით ნაგროვი ხმელი ფიჩხი მალევე გამოილია, აცივდა და შემოდგომაზევე ჩამოთოვა. არ ვიცოდი, რა მექნა, ვიფიქრე, როგორც კი გამოიდარებს, ისევ ტყეში შევალ-მეთქი.

სოფელში უცებ გავარდა ხმა, წულეისკირებს შეშა არ ჰქონიათო. პირველად ვალოდია ეუეუნაშვილი მოვარდა, მკვიდრი წერაქველი და ამყამადაც, ისევე როგორც ჩემი სკოლის დირექტორობის დროს, წერაქვის სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი, დაფაცურდა და მოგვიტანა რამდენიმე ნალო შეშა.

შემდეგ ერთ მზიან დღეს ჩემს კარს იქაური მადლიანი სვანი ჯეელი მოადგა და ღობის გარედან, შინ შემოუსვლელად შემოგვძახა:

– ეს შეშა თქვენია.

სვანებს წამოუქცევიათ ტყეში უშველებელი ხე და მომიტანეს ზედ ჭიშკართან. არც კი მითხოვია დახმარება, ისე.

„ამერიკის ხმა“ და ერთი ტომარა ფქვილი

ექვსთვიანი სიბნელე ჩამოწვა სოფელში. ამ თვეების მანძილზე სინათლე რა იყო, მივიწყებოდა უკვე ყველას. ირმას ესიზმრებოდა ანთებული ნათურა. ერთადერთი, რისი მეშვეობითაც ამბავს ვიგებდით, ელემენტებიანი რადიო იყო – „ამერიკის ხმას“ ვიჭერდით. თან ვზოგავდი, მხოლოდ ინფორმაციის დროს ვრთავდი, რომ მეორე დღესაც შემძლებოდა მოსმენა.

ქვეყანაზე რა ხდებოდა, სხვა გზითაც ვიგებდი, ცხელ-ცხელი ამბები თბილისიდან ჩამოსულ მასწავლებლებს ჩამოჰქონდათ, კვირაში ორჯერ სკოლას სამარშრუტო ემსახურებოდა. როგორც კი ჩამოვიდოდნენ, სიცოცხლეც მოჰქონდათ ამბებთან ერთად. ჩემთვის ტკბილად გასახსენებელია ის პერიოდი. მაია იათაშვილი, ქიმიის მასწავლებელი, მერი დოჭვირი – ჩემი შვილიშვილი, ქართულის მასწავლებელი, თამუნა არაბული და სოფო დვალიშვილი და სხვანი.

გაკვეთილებს შორის სამასწავლებლოში დამხვდური პედაგოგები და ჩამოსულები იწყებდნენ ჭორაობას, მე კი სულ ვეუბნებოდი, გეყოფათ ლაქლაქი, მომიყევით თბილისური ამბები-მეთქი.

მრავალთვიან უშუქობას დაერთო თვეებით გაუცემელი ხელფასები, ცივი და უსაშველო ზამთარი, გვითავდებოდა პურის ფქვილი. გადაჭირხლული ხეები ირგვლივ, გადათეთრებული დათოვლილი და მოყინული გზები და ამ სითეთრეში დაბუდებული უიმედობა. ერთ ასეთ ცივ დღეს გავიხედე კარში და თვალებს ვერ დავუჯერე: ზურგზე ფქვილის ტომარამოკიდებული მოაბიჯებს ამირან უგრეხელიძე, ადამიანი, რომელიც თავის მითიურ სახელს ნამდვილად ამართლებს. იმ სითეთრეში ნამდვილად ზღაპრულ დევგმირს წააგავდა, მას ნინ ტანმორჩილი მეუღლე ქეთევანი მოუძღოდა. ჯერ დავიბენი, ვერ მივხვდი, ჩემს თავს რაც ხდებოდა. ეზოში რომ შემოვიდნენ, მომახსენეს: მანქანა თოვლში აღმართზე ვერ ამოვიდა ბოლომდე და გზა ფეხით გავაგრძელეთო. ტელევიზორში გავიგეთ, რამდენიმე თვეა, რაც მასწავლებელთა ხელფასები არ გაცემულა, ჰოდა, ვიფიქრეთ, ალბათ ფქვილი არ გექნებოდათ და მოგიტანეთო.

ნერაქვული წვიმიანი დღეები

ამ დალოცვილი მხარისათვის დამახასიათებელია უსასრულო წვიმები, გაზაფხულის დადგომისთანავე რომ იწყება და ბოლო არ უჩანს ხოლმე. თუმცა ვარდობისთვემ შესაძლოა ისე ჩაიაროს, რომ ერთი წვეთიც არ ჩამოვარდეს.

ირმა ცის ყოველ დაგრუხუნებაზე ფრთხებოდა.

– ამ სახლს მეხამრიდი უნდა დავუყენი, – ამბობდა იგი. იმ შემთხვევაში კი, როცა თათია გარეთ იყო და ცას პოეტურად შეჰყურებდა, იწყებდა კივილს – თათია, შემოდი სახლში, მეხი არ დაგეცეს!

ასეთი სცენები გვქონდა გაზაფხულზე ქუხილის დროს, რაც ყოველთვის მახსენებდა ბაბუაჩემ მიხას და ბებია ლეონინას. ჭექა-ქუხილისას ბებიაჩემი ლოცვად დავარდებოდა – ილორის წმინდა გიორგი, შენ დაგვიფარეო. ბაბუაჩემი კი, ყოველი მისი მშფოთვარე ლოცვის საპასუხოდ, წამოიძახებდა: „ქოდაცი! ქოდაცი!“

მართალია, ნერაქვს შევესისხლხორცე, მაგრამ ჩემი მხარის ნოსტალგია მაინც ხშირად შემომეპარებოდა. თავსხმა წვიმასა და სინესტეში ყრმობისა და ახალგაზრდობის მოგონებები რიალებდნენ ჩემში და უშუქო ღამეებში ვუზიარებდი ჩემს ამბებს შვილსა და შვილიშვილს. გვთბილოდა, ცეზარ კვიციანის მიერ დამზადებულ სვანურ ღუმელში ცეცხლი გიზგიგებდა:

„ჭვინს, თუნს, მერეხანს,
მეხი ჭყონს ფელეკანს,
ათეჯგუა უჩა დღას
ჭყიში გორუნს ცვერე თხას“.

ოტო-ოტია

თარიღი არ მახსოვს, ტკივილი მახსოვს მარტო. ერთ დღესაც ჩამოვიდა სამარშრუტო და თბილისური ამბების ნაცვლად, ძმის სიკვდილის ცნობა ჩამომიტანა. შენი უმცროსი ძმა ოტია გარდაიცვალაო, მითხრეს.

არსებობს ტკივილი, რომლის მიღმაც ტკივილს ვეღარ გრძნობ. არსებობს სირცხვილიც, რომლის იქით უფსკრულიც კი აღარ არის.

შავი დღე დადგა ჩემთვის. სიცოცხლით სავსე ოტიას შეშის დაპობისას ინფარქტი დაემართა. საბედნიეროდ, მარტო არ იყო, ჩემი ბიძაშვილი ზურაბი, მთელ სანათესაოზე გადამკვდარი ექიმი და დავითი, მისი დისშვილი, იქ ყოფილან. სწრაფად არ წასულა, გააზრებული ჰქონდა რომ კვდებოდა, საათისათვის შეუხედავს და უთქვამს, 12 საათი შესრულდება თუ არა, წავალო. თავისიანებთან გამომშვიდობებაც კი მოასწრო, უშიშრად შეხვდა სიკვდილს, შუაღამეს გარდაიცვალა, ზუსტად 12 საათზე განუტევა სული.

თავზარი დამეცა, მარწუხით მომგლიჯეს გულის ნანილი. ამ ტანჯვას ვერ აღწერ სიტყვებით, გავქვავდი, შვილი ცალკე მოთქვამდა, შვილიშვილი ცალკე. საკლასო ოთახში შევედი, ჩემს დანახვაზე თათიამ ცრემლები შეიკავა, ერთადერთი ამის თქმა მოვახერხე:

– რას იზამ, ასეთია ცხოვრება – ძნელია, როდესაც თავად იყინები სულში, სხვა, თუნდაც შენიანი, დაამშვიდო და გაათბო სიტყვებით, – მერე კი დავაყოლე:

– გახსოვდეს, რომ მეც უნდა მოვკვდე!

გლოვის დღე იყო ჩემთვის, ტკივილი ახლაც არ გამნელებია.

პატარა ნითური ჯაბა

ერთ წელს ზამთრისათვის საკმარისი შეშა ზაფხულ-შივე მოვიმარაგეთ. მთელი მანქანა, სავსე უზარმაზარი მორებით, მოადგა ჭიშკარს და მორების მთა დადგა ჩვენს ეზოში, ჰაერში მოჭრილი ნედლი ხის სუნი დატ-რიალდა.

შეშას დაპობა უნდა. ვფიქრობდი, ნელ-ნელა რასაც მოვახერხებ, დავაპობ-მეთქი. ჩემი შვილი ინგლისურის მასწავლებლად მუშაობდა იმავე სკოლაში, რომელშიც მე დირექტორად დავინიშნე. ერთ-ერთმა მოწაფემ ირმას უთხრა, ის შეშა, თქვენ რომ გაქვთ ეზოში, მე უნდა დავჩეხოო. რა თქმა უნდა, ბავშვის თავგამოდება სა-სიამოვნო იყო, მაგრამ ბიჭუნა 12-13 წლის თუ იქნე-ბოდა, გაჩხინკული ყმანვილი, თანაც უხერხული იყო ბავშვისაგან მსგავსი დახმარებს მიღება. ნითური ჯაბა ძალზე ჯიუტი აღმოჩნდა. სიტყვის თქმის მერე, მეორე დღესვე მოგვადგა ნაჯახით, გამონახა დრო, როდესაც მე შინ არ ვიყავი. ირმამაც ვერ შეძლო ბავშვისათვის გადაეთქმევინებინა, ბიჭუნა მიადგა მორების გორას და... ჯაბა ცხადიაშვილმა ერთ დღეში დააპო ერთი მანქანა შეშა. სულმოუთქმელად მუშაობდა. მომდევნო დღეს კი შევიტყვეთ, რომ გაცივდა და ერთი კვირა მოუნია ლოგინში წოლა.

ბერიკაობა წერაქვში

ბერიკაობის მრავალი სახეობა არსებობს, მაგრამ ბერიკაობა წერაქვში თავისი დამახასიათებელი ნიშ-ნებით, ნამდვილად გამოირჩევა. 31 დეკემბერს ბერიკე-ბი იკრიბებიან ტყის პირას, ემზადებიან, რომ სოფელში ჩამოიარონ, კარდაკარ იარონ და დალოცონ თითოეუ-

ლი ოჯახი. ახალი წლის საღამო ჩამოწვება თუ არა, ტყის პირიდან მოისმის ბავშვების ყიჟინა, დოლის ხმა. თითოეული ოჯახი სიყვარულით ელოდება ბერიკების მოსვლას.

დაბნელდება თუ არა, ბერიკები ყიჟინითა და სიცოცხლისმომტანი, სულშიჩამწვდომი სიხარულით, 12 საათამდე მხიარულად შემოივლიან მთელ სოფელს, დალოცავენ ყველა ოჯახს. თან, რა თქმა უნდა, ხურჯინი მოაქვთ და ვისაც რა შეუძლია, იმას უწილადებს.

ერთიხანობა ბერიკები არ ჩანდნენ და ძალიან გულდასაწყვეტი ახალი წელი მოდიოდა მათ გარეშე. თუმცა, საბედნიეროდ, ეს ტრადიცია აღადგინეს ახალგაზრდებმა.

ახალი წლის დადგომამდე წრფელი ბავშვებისაგან დალოცვაზე მეტი რა უნდა ინატროს ადამიანმა. ბერიკების ყიჟინით დგებოდა წერაქვში ახალი წელი: პატარა, მოხდენილი ყმაწვილები, სიცივისაგან აწითლებული ლოყებით, ისეთი ნიღბებით, რომ საკუთარ მონაფეებს ვერც კი ვცნობდი; ბიჭუნა, გადაცმული პატარძლის ფორმაში; პატარა ვაჟკაცები, რომლებიც დოლის ცემითა და ჟივილ-ხივილით შემოიჭრებოდნენ ჩვენს სახლში და გამართავდნენ ცეკვა-თამაშს. თუ ჩვენგან იწყებდნენ, ფხიზლები იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ ჩვენთან უფრო გვიან მოდიოდნენ, ოდნავ შეზარხოშებულები – ოჯახში სადღეგრძელოებს ამბობდნენ და თითო ჭიქის დალევა უწევდათ, ბიჭუნებს კი იოლად ეკიდებოდათ ღვინო. სითბო, სიყვარული, ხალისი და სიწრფელე შემოჰქონდათ.

ბერიკაობა წერაქვში სხვა ყველა ბერიკაობისაგან განსხვავდება, რადგანაც აქ ბერიკები მუდამ ბავშვები არიან. ძველი ბერიკები ნორჩებს ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ.

დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ლამაზ ტრადიციას არ მიივიწყებენ და არც ერთი ახალი ნელი წერაქვში ბერიკაობის გარეშე არ ჩაივლის.

მოაგარაკე ბავშვები

გადავწყვიტე, სკოლისათვის რაღაც ფული მომეპოვებინა, ვინაიდან უამრავი რამ გვჭირდებოდა. სკოლას ჰქონდა მიწა. პედაგოგებმა მოვითათბირეთ, რომ ეს მიწა დაგვემუშავებინა და თუ მოწეულ მოსავალს ვერ გავყიდდით, დავარიგებდით მაინც. დიდი გაჭირვება იყო მაშინ.

ერთ წელიწადს სიმინდი დავთესეთ. მთელი სოფელი – მშობლები, მასწავლებლები შევესიეთ სკოლის მიწას, მაგრამ თოხნის დრო რომ დადგა, მივხვდით, სამუშაოს ვერ ავუდიოდით, ველარ ვერეოდით მიწას. ზაფხულობით წერაქვის ტყისპირას გაშენებულ სააგარაკო სახლებში დასასვენებლად ჩამოდიოდნენ ბავშვები. მათი შეკრების ადგილი იყო ბებერი მუხა, სადაც კოცონს ანთებდნენ, ლაზღანდარობდნენ, ხან სიმინდს წვავდნენ, ხანაც კარტოფილს. მუდამ ცდილობდნენ, დიდი ცეცხლი დაენთოთ, ყოველღამე მართავდნენ ჭიაკოკონობას. დიდი ცეცხლი კი ქვემოთ მცხოვრებლების, სოფელში მკვიდრებისა და ჩამოსულების მოპატიჟების ნიშანი იყო. იგონებდნენ თამაშებს, ცეცხლის ირგვლივ ხან ბანქოთი ერთობოდნენ, ხანაც მასლაათით იქცევდნენ თავს.

საღამოს მუხასთან გავედი, არ მქონდა იმედი, მაგრამ მაინც ვთხოვე ბავშვებს:

– მთელი სოფელი შესეულია სკოლის მიწას, ვერ ავუდივართ და იქნებ ერთი დღე შეგვეშველოთ, შვილებო.

მეორე დღეს ბავშვები დაირაზმნენ და მკვიდრი წერაქველი თუ თბილისელი, დიდი თუ პატარა თოხნიდა სკოლის სიმინდის ყანას. ყველა არ მახსოვს – მომიტევებენ მოხუცს – მახსოვეს ლევანი კაკულიების ოჯახიდან და ტყუპი გოგოები, ბოლქვაძეები, იმ მოაგარაკე ბავშვებიდან.

რამდენი ოფლი დაიღვარა იმ წელს სკოლის სიმინდის ყანაში, შედეგად კი მშვენიერი მოსავალი მოვიდა.

ნესიერი ქურდები

მართალია, ეს ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან წერაქვულ ამბებთან არავითარ კავშირში არ არის, მაგრამ მაინც მინდა მოგიყვეთ.

ადრე, 90-იანებამდე, მაშინ, როდესაც მწერალი ვიყავი, ცოლ-შვილთან ერთად ვცხოვრობდი ხილიანზე. დასასვენებლად უნდა წამეყვანა ცოლ-შვილი, მაგრამ სახლის დატოვება სახიფათო იყო, ვინაიდან კორპუსს ქურდები შემოჩვეოდნენ, ყველა ბინა გატეხილი იყო უკვე, გაქურდვა ემუქრებოდა ჩემსასაც.

დავწერე წერილი:

„პატივცემულო ქურდებო, ჩემო შვილებო, ფულის ან სამკაულის ძიების გამო, გთხოვთ, სახლი ყირაზე არ დამიყენოთ, არც ფული გამაჩნია და არც რაიმე ძვირფასი ნივთი, ჩემი განძი მხოლოდ წიგნებია.

პატივისცემით, მწერალი
ნოდარ წულეისკირი“.

წერილი დავტოვე შესასვლელში პატარა სარკიან კომოდზე და გულდამშვიდებული წავედი ოჯახთან ერთად დასასვენებლად. როდესაც დავბრუნდით, კარი ღია დაგვხვდა. ჩემი ცოლი სასწრაფოდ ოთახებში შე-

იჭრა, რომ გაერკვია, თუ რა მოიპარეს, მე კი წერილს დავხედე – წერილზე ჩემი სახელისა და გვარის ქვემოთ კლაკნილი ხაზი იყო გასმული. სიხარულის სიცილი წამსკდა, მაინც ჰქონია ჩემს სიტყვას ძალა.

ჩემი დარიგება

როდესაც უყურებ ნორჩ გოგო-ბიჭებს, გიჩნდება სურვილი, ისეთი რამ უთხრა, რაც მათ ცხოვრებაში გამოადგებათ. ძნელია, შენც დაატიო სიტყვებში ყოველივე და ყმანვილებმაც სათანადოდ აღიქვან ნათქვამი. ერთ-ერთ გაკვეთილზე, როცა გადავავლე თვალი ჩემს მოწაფეებს, ვუთხარი:

– გახსოვდეთ, ადამიანურ ურთიერთობებზე სათუთი არაფერია! მუდამ გახსოვდეთ, რაც არ უნდა მოხდეს თქვენს ცხოვრებაში, უნდა შეგწევდეთ ძალა, საყვარელ ადამიანსაც შეუნარჩუნოთ ღირსება და საკუთარ თავსაც. ცხოვრება დიდი გამოცდაა, განსაცდელს განსაცდელი მოსდევს, არ უნდა შედრკეთ და შეშინდეთ. ყველაზე მთავარია ღირსების შენარჩუნება.

ტყის ხახვი

წერაქვში ხანგრძლივმა ცხოვრებამ უკიდურესი გაჭირვებისას მასწავლა, რომ ტყეს შეუძლია გასაზრდოვოს, ტყე გამოგკვებავს, თუ ისწავლი, როდის რა უნდა ეძიო. თუმცა ტყემვე შეიძლება იმედი გაგიცრუოს და გაგაწბილოს. ძირითადი საკვები სოკოა. წვიმიანი დღეების შემდეგ ჩუმი ნადირობის დრო დგება. უნიკალური ნიგნები მქონდა სოკოების შესახებ და

ეს წიგნები მშვენიერი სახელმძღვანელო გამოდგა ჩუმი ნადირობის ხელოვნების ასათვისებლად.

სოკოზე წასვლა რაღაცით ნადირობას წააგავს, ჩუმ ნადირობას. სოკოებს შორის ყველაზე უწყინარი ხის სოკოა. ტყე შესწავლილი მქონდა წლების მანძილზე, ზეპირად ვიცოდი, ტყის რომელ მონაკვეთში უნდა მეძებნა სოკო. ხის სოკო არც ერთ შემთხვევაში არაა შხამიანი. სხვა სოკოებს კი თავისი შხამიანი ორეულები ჰყავთ, რომელთა გარჩევა არც თუ ისე იოლია. თუმცა არის სოკოს ჯიშები, რომელთაც შხამიანი ორეულები არ ჰყავთ. ერთი მეთოდი არსებობს, რომელსაც მეც ვიყენებდი – როდესაც გეეჭვება, სოკო შხამიანია თუ არა, ენის წვერი უნდა დაადო მის პატარა ნაჭერს ქუდისას, თუ სიმწარე აქვს, ესე იგი შხამაა, თუ არა, უსაფრთხოა მაშინ. სიმწარის შეგრძნების შემთხვევაში ნერწყვი, რა თქმა უნდა, არ უნდა ჩაყლაპო.

ტყის შესწავლამდე არაერთხელ დავკარგულვარ. თუ ვინიცობაა, ტყეში დაიკარგე, არ უნდა შეშინდე – მოძებნე რომელიმე ხევი და გაყევი, აუცილებლად გაგიყვანს დასახლებულ ადგილამდე. უფრო იოლია, იყოლიო ადამიანის ერთგული მეგობარი ძაღლი, რომელიც ტყეში არ იკარგება და თუკი პატრონი სახლს ვერ აგნებს, ერთგული მეგობარი მიიყვანს ჭიშკრამდე. რამდენჯერმე, როდესაც ტყეში დავკარგულვარ, ჩემს ძაღლს, რიჩის გამოვუყვანიავარ სამშვიდობოზე. ერთხელაც თათიასთან ერთად წავედი სოკოს საძებნელად. წინა დღის ნაწვიმარი კი იყო, მაგრამ ტყეში მიწა არც კი დანამულა და სოკოც არსად ჩანდა. უკან გზობისას შეგვხვდა ტყის ხახვი, რა თქმა უნდა, დავკრიფეთ და შინ ხელცარიელები მაინც არ დავბრუნებულვართ.

მეზობელი და ბორში

ერთი რუსი ვანია ცხოვრობდა ჩემს უბანში, ზაფხულობით ჩამოდიოდა დასასვენებლად. ტყისკენ მიმავალი არაერთხელ შევხვედრივარ, მაგრამ წესიერად არც კი ვიცნობდი. ეს ის პერიოდია, როდესაც ნერაქვში ჯერ კიდევ მარტო ვცხოვრობდი, საკარმიდამო მინა, რა თქმა უნდა, დამუშავებული მქონდა და გვარიან მოსავალსაც ვიღებდი, შემოდგომაზე გავავსებდი ჩემი მოწეული ბოსტნეულით დიდ ყავისფერ ზურგჩანთას, მოვიგდებდი ზურგზე და ავტობუსით მივდიოდი ჯერ მარნეულამდე, მერე იქიდან სამარშრუტოთი თბილისამდე. ასე ვამარაგებდი ოჯახს პროდუქტით.

ერთ დღეს რუსი ვანია მოადგა ჩემს ჭიშკარს.

– ნოდარ, გამარჯობა, – შემომძახა ღობის გარედან.

– გაგიმარჯოს ღმერთმა! – ვუპასუხე და გავემართე მის შესაგებებლად.

– ნოდარ, იცი რა, ბორშის გაკეთება მინდა და კომბოსტოს ხომ ვერ მომცემდი.

– კი, ვანია, – მოვუჭერი რამდენიმე თავი კომბოსტო და მივეცი.

ჩემს მეზობელს სახეზე კმაყოფილება და სიხარული რატომღაც ვერ შევატყვე.

– კიდევ რამე ხომ არ გჭირდება, ვანია? – ვკითხე რბილად.

– ჰო, ხომ გითხარი, ბორშის გაკეთება მინდა და იქნებ ჭარხალი გეწილადა ჩემთვის.

იქვე კომბოსტოების რიგთან ჭარხალი მქონდა დარგული.

– მაგის ამოსაღებად ბარი დამჭირდება, მომიცადე ერთი წუთით, – წავედი სახლისაკენ, გამოვიტანე ბარი, ამოვიღე ორიოდე თავი ჭარხალი, გავაცალე მიწა ბოლქვებს და ვანიას მივაწოდე.

უცნაური ის იყო, რომ რუსი ვანია უკმაყოფილო, შენუხებული სახით იდგა და წრიალებდა, ბოლოს, როგორც იქნა, ამოთქვა:

– ნოდარ, ბარემ ბარი გამოიტანე და ხომ იცი, ბორშის გაკეთება მინდა და კარტოფილის გარეშე კი რა ბორში გამოვა!

– აი, ბატონო, კარტოფილიც მაქვს და მოგცემ, – და შევუდექი ბარით კარტოფილის ამოღებას.

ეს ის დროა, როდესაც დიდი გასაჭირი იყო ქვეყანაში. მოკლედ, მალევე ამოვიღე კარტოფილი და მეზობელს მივართვი.

– ნოდარ, ხომ გესმის, ბორშის გაკეთება მინდა, შენ კი იმისთანა ბოსტანი გაქვს, სტაფილო და მწვანილიც გექნება საჩემოდ.

– კი, მაქვს.

ამოვთხარე სტაფილო, დავკრიფე მწვანილი და რუსს გავუწოდე.

– ვანია, რა მინდა გკითხო, იცი?

– რა არის, ნოდარ? – უკვე გახარებული და კმაყოფილი სახით მიპასუხა მეზობელმა.

– ქვაბი თუ გაქვს?

– კი.

– კაი აბა, გამოგივა ანი ბორში?

– ჰო, მარა ხორცი არა მაქვს და უხორცო ბორში რა ბორში იქნება! – ვანია ჯერ ჩაფიქრდა და მერე დააყოლა, – ერთი პატარა ჭიქა ზეთიც იქნებ მინილადო, თორემ სულ უცხიმოდ ბორში არ გამოვა გემრიელი.

– კი, ვანია, მაქვს ცოტა და ცოტას გინილადებ, – და ზეთიც მივეცი.

– ახლა გამოგივა ბორში, ვანია?

– კი, მარა, უხორცო ბორში კაი ვერაფერი გამოვა. – მითხრა და წავიდა, მადლობაც არ უთქვამს, ისე.

წერილი ბებია ლეონინას ლენინგრადიდან

რუსეთში ყოფნისას ჩემების და ჩემი კუთხის უსაშველო მონატრება მახსოვს, ეს მხოლოდ ნაწყვეტია მეხსიერებაში შემორჩენილი ბებიასადმი ლექსად მიწერილი წერილიდან.

ასე ლენინგრადის ვორექ,
ქოვფურინი, ბები, ცაშა,
ქორენანო ცოცხალეფი
საწყალ თამარა დო საშა.
მუ ამბე რე ჩქიმი სოფელს,
ქირზენანო მუთუნს დღაშა...
საწმოხონოს აქ მითინი
ვაგაკეთენს, ენა მიჩქუ,
მარა იშენ თექ ვორექ,
თექ მისხუნუ, მუჭოთ ჩქიჩქუს...

გრაალის გადარჩენა

(აკაკი ბაქრაძის ახალი წიგნის – „კარდუს“ გამო)

ამ წიგნს ქვესათაურად აქვს „გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი“. წიგნი გამოუცია ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებას, გამომცემლობა „ლომისს“.

თავიდანვე უნდა მივულოცო გამომცემლებს ჭეშმარიტად ნამდვილი ლიტერატურის, კარგი წიგნების გამოცემა.

ჩემს ასაკში ძნელია ამ ხასიათის, ამგვარი, ამ ჟანრის წიგნის წაკითხვა. თითქოს ახალი რა უნდა ეწეროს „გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებასა და ღვაწლში“, ასე თუ ისე, ხომ ვიცით, ხომ წაგვიკითხავს გრ. რობაქიძის შემოქმედებაზე, ახალი რა უნდა ეთქვა?

ჩემდა გასაოცრად, წიგნი თავიდან ბოლომდე სულმოუთქმელად იკითხება, აქ ყველაფერი ახალია; არის ხატვა, არის კვლევა, არის უნიკალური ფაქტები და ცნობები, არის ლიტერატურა, არის ლიტერატურათმცოდნეობა, არის ენათმეცნიერება, არის პოლიტიკა!..

აკაკი ბაქრაძისაგან ეს არ არის მოულოდნელი, მისი წიგნები ყოველთვის იწვევდა ცნობისწადილს, სიახლეს ყოველთვის მოველოდით მისგან, მაგრამ „კარდუს" სხვა მომხიბვლელობაც აქვს, ეს არის სრულყოფა, სიმწიფე, სიმძიმე... „კარდუ" სრულქმნილი წიგნია.

აქ ერთი სიტყვაც არ არის ზედმეტი, თვით ის გრძელი ციტატები, რისთვისაც მწერალი არაერთგზის იხდის ბოდიშს, სულაც არ არის საბოდიშო, სწორედ აუცილებელია და ერთადერთი, ასე ვრცლად უნდა მოეტანა ავტორს, რათა მიეღწია მიზნისათვის, აზრი გადმოეცა ვრცლად, სრულად, დამაჯერებლად დაეხატა პიროვნება, ეპოქა, ვითარება.

აკაკი ბაქრაძე პირადად არ იცნობდა გრ. რობაქიძეს, მაგრამ წიგნში გრიგოლ რობაქიძის ისეთი პორტრეტია დახატული, სხვაგან არსად მინახავს და წამიკითხავს. თვითონ ერთ სიტყვას არ ამბობს, გრ. რობაქიძე ასეთი ან ისეთი ყოფილაო. სხვათა სიტყვებით და ფოტოსურათებით იხატება გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი. ვინ არიან ეს სხვები? – თვითონ გრ. რობაქიძე, ზ. გიპიუსი, ალ. ქუთათელი, ა. ბელი, ი. პერესტიანი და სხვა.

მოვიყვან ერთ მაგალითს. აკაკი ბაქრაძეს ეს ნაწყვეტი მოაქვს ანდრეი ბელის წიგნიდან „ორ რევოლუციას შორის":

„1907 წლის 5 მარტს დიმიტრი მერეჟკოვსკის ლექცია წაუკითხავს პარიზში, ამ ლექციას ათას კაცამდე მსმენელი ესწრებოდა თურმე, ანდრეი ბელიც ყოფილა იქ. იგი იხსენებს:

„ერთხელ მერეჟკოვსკის ლექციას ვისმენდი რუსულ კოლონიაში. ვიღაც მტკიცე შესახედაობის მამაკაცი, გულზე ჯვარედინად ხელებდაკრეფილი, მხრებით კედელს მიყრდნობილი, ანეული პროფილით, როგორც ძველი მარმარილოს ქანდაკი, გაქვავებული იდგა.

– ვინ არის ის, გიპიუს? – ვკითხე ზინაიდა ნიკოლაევნას.

უცხო მამაკაცი არ ნავიდა შესაკამათებლად. მკაფიო ხმით ადგილიდან იქუხა, მისი პროფილივით მტკიცედ გამოძერწილი სიტყვებით. დადუმდა და ისევ დაიკრიფა ჯვარედინად ხელები გულზე, მიეყრდნო კედელს და არ იძროდა ადგილიდან.

– ქართველია, რობაქიძე, პროფესორი. – მითხრა მოგვიანებით გიპიუსმა“.

ამ გამოჩენილ მწერალს, სიმბოლიზმის კლასიკოსს, ქართველი პოეტების ჯგუფის ხელმძღვანელს, რომლის სახელი მოგვიანებით გერმანიაში გახმაურდა, ოცდასამი წლის შემდეგ შევხვდი თბილისში“.

პარიზი, მერეჟკოვსკი, გიპიუსი, ბელი – ლიტერატურის მოყვარულისათვის ეს ისეთი სახელებია, არ შეიძლება, არ დაინტერესდე, მაგრამ აქ უმშვენიერესი და ულამაზესი გრ. რობაქიძის პორტრეტია. ამ დროს მწერალი 27 წლისაა, მაგრამ მას უკვე იცნობენ როგორც ფილოსოფოსს, თან როგორ პორტრეტს ხატავს რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეფორმატორი, მწერალი: „მტკიცე შესახედაობის მამაკაცი, გულზე ჯვარედინად ხელებდაკრეფილი, მხრებით კედელს მიყრდნობილი, ანეული პროფილით როგორც ძველი მარმარილოს ქანდაკი... ადგილიდან იქუხა მისი პროფილივით მტკიცედ გამოძერწილი სიტყვებით. დადუმდა და ისევ დაიჭირა ჯვარედინად ხელები გულზე“.

ანდრეი ბელი მას ჯერ არ იცნობს. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს გრიგოლ რობაქიძე რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელზე. შემდეგში სტეფან ცვაიგისა და გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობის ამბავი ხომ მთელ ქვეყანას მოეფინა! – ევროპაც ასე გაიცნობს.

სვირელი მედავითნის შვილი ასეთი გამოვიდა.

არტისტული ბუნება მისთვის გამონაგონი არ იყო, მისი ბუნებრივი მდგომარეობა არტისტობაა, გარეგნულადაც და შინაგანადაც ის არტისტია.

წიგნში გამოქვეყნებულია ერთი მეტად უცნაური ფოტოსურათი: ნაპოლეონ ბონაპარტი თეთრ ცხენზე ამხედრებული, ხელაწეული, მედიდური გასცქერის ბრძოლის ველს. აკაკი ბაქრაძე აქვეყნებს ღია ბარათს, რომელზეც ნაპოლეონია გამოსახული, მეორე მხარეს კი გრ. რობაქიძეს მიუწერია: „რუსული ტექსტი ჩასასმელია“ – ქეთევან ამირეჯიბისათვის გაუგზავნია ასეთი ღია ბარათი. თითქოს რა შუაშია ნაპოლეონ პირველის ფოტოსურათი აკაკი ბაქრაძის წიგნში გრ. რობაქიძეზე? განუმეორებელი შტრიხია, სხვა ალბათ ამას ყურადღებას არც მიაქცევდა, აკაკი ბაქრაძე მწერლის სულს მიწვდა, ამ პატარა, უმნიშვნელო ღია ბარათით არა მარტო გარეგნობა იხატება.

გრ. რობაქიძის არტისტული სული ჩანს მის შემოქმედებაში – მისი პროზა, თუ არ მიწყენენ, ეს გამოთქმა უნდა ვიხმარო: „არტისტული პროზაა“.

ლიტერატურათმცოდნეთა ენაზე – პოეტური პროზა, უფრო უკეთ, არა მარტო პროზა, ყოველი სიტყვაა არტისტული; დაძაბული, დამუხტული, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, გზნებით დაწერილი. ის თითქმის არ წერს ჩვეულებრივი პროზის ენით, წერს აღტაცებით, ექსტაზში შესული, თავდავიწყებული, ეშხიანი სიტყვით

მთვრალი. ფილოლოგიური ანალიზის დროსაც კი სიტყვის სილამაზეს წარმოაჩენს. „ცხენს“, „სიცოცხლესა“ და „ცეცხლს“ იმიტომ აკავშირებს ერთმანეთთან, რომ იქ სიტყვა „ცეცხლია“. სიტყვა „ცეცხლი“, მისი ძირი „ცხ“ კომპლექსი ის დვრიტაა, საიდანაც წარმოიშვა „სიცოცხლე“. ესაა მთავარი მისთვის.

გრიგოლ რობაქიძეს, – წერს აკაკი ბაქრაძე, – „მძაფრი სურვილი ჰქონდა გამორჩეული ყოფილიყო სხვებში და არა მარტო მსოფლმხედველობით, მსოფლხატით, აზროვნებისა და წერის სტილით და მანერით, არამედ გარეგნობითაც, ჩაცმა-დახურვითაც“.

მართლაც, წიგნში გამოქვეყნებულია იშვიათი ფოტოდოკუმენტები, ეს ფოტოდოკუმენტები, შარჟები და მხატვართა ნამუშევრების ფოტომასალები ამდიდრებენ წიგნს. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: ავტორი წიგნს დართულ ზუსტ და ამომწურავ შენიშვნებში მადლობას უხდის გოეთეს ინსტიტუტს, რომელსაც 1997 წ. სექტემბერში მოუწყვია გამოფენა (ავტორი – ლაშა ბაქრაძე). მასალები გამოფენისათვის მოუწოდებია მრავალ სახელმწიფო დაწესებულებას და კერძო პირს, მეცნიერს, მწერალს, მუზეუმისა და არქივის მუშაკს.

როგორც ჩანს, დიდი კოლექტიური შრომაა განეული, შედეგიც შესაფერისია. მაგრამ მთავარი ამ წიგნში მაინც სხვა რამ არის, – გრაალის გადარჩენა!

გრ. რობაქიძისათვის ეს იყო მთავარი და აკაკი ბაქრაძისთვისაც ეს არის მთავარი.

რა არის გრაალი?

აკაკი ბაქრაძეს მიმოხილული აქვს გრაალის ისტორია. არსი ტრადიციული გრაალისა და გრ. რობაქიძისეული ახალი გრაალის რაობა.

ადვილი სათქმელია „მიმოხილული აქვს“, – მეცნიერული სიზუსტით, ყველა მითის, თქმულებისა და ლეგ-

ენდის მომარჯვებით გრაალის თემას ევროპულ ლიტ-ერატურაში ისე თვალსაჩინოს, ხელმისაწვდომს ხდის მკითხველისათვის, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით.

„გრაალის თემა უშუალოდ უკავშირდება ბრიტანე-თის ლეგენდარული მეფის ართურისა და მრგვალი მა-გიდის რაინდების ცხოვრება-მოღვაწეობას"...

„ფრიდრიხ შლეგელი (1772-1829) მეფე ართურის მრგვალ მაგიდას უკავშირებს იმ მაგიდას, საიდუმლო სერობის ღამეს ქრისტე და მისი მოწაფეები რომ უსხ-დნენ".

მოვიყვანე ერთი მაგალითი, წიგნში ზღვა მასალაა, რომელიც ლიტერატურით, ისტორიით, მითოლოგიით დაინტერესებულ ახალგაზრდას და არა მარტო მას, სახელმძღვანელოდ გამოადგება, მითითებულია იშ-ვიათი ლიტერატურა, რაც „კარდუს" სამაგიდო წიგნის ელფერს ანიჭებს.

ამ წერილს აკაკი ბაქრაძე ვერ წაიკითხავს, მისი ოჯახის წევრებმა კი შესანიშნავად იციან, თუ რა წე-რია ამ წიგნში. ვწერ სხვათათვის, იმათთვის, ვინც სასურველია იცოდეს, რა არის „გრაალის თასი", რა არის „მრგვალი მაგიდა", „მრგვალი მაგიდის რაინდები", „გრაალის მცველები".

გახსოვთ, ალბათ, პოლიტიკური ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდა", მეოცე საუკუნის ბოლოს ტრიუმ-ფით რომ მოვიდა ხელისუფლებაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ „მრგვალ მაგიდას" წმინდა წარსული და წმინ-და იდეები ასაზრდოებდა. რა დასანანია, რომ ბევრმა ქართველმა, თვით „მრგვალი მაგიდის" ზოგიერთმა ნევრმაც კი, დღესაც არ იცის, რა ღვთიურ საქმეს ემ-სახურებოდა, „რა წმინდა იყო განზრახვა და სურვილი ჩვენი".

დასანანია, რომ არც მომავალში ეცოდინებათ იმ „მრგვალი მაგიდის“ რაობა, ვინაიდან აკაკი ბაქრაძის ამ შესანიშნავ წიგნს ხომ არ წაიკითხავენ და არ წაიკითხავენ, მით უფრო, ფრიდრიხ შლეგელისა და წიგნში დასახელებული სხვა ავტორების წიგნებს ხომ ჯვარი სწერიათ...

სამარეში ისე ჩავლენ, ეგონებათ „მრგვალი მაგიდა“ რუსული „კრუგლი სტოლია“. რას ვიზამთ, ასეთია დღევანდელი საქართველო...

სამშობლო როგორიც არის, ისეთი უნდა გვიყვარდეს. ქართველი როგორიც არის, ისეთი უნდა გვიყვარდეს. ილია ჭავჭავაძემ მოგვცა ამის მაგალითი:

ლუარსაბ თათქარიძე დახატა ისე, როგორიც იყო მე-19 საუკუნის ქართველი; ცუდია თათქარიძეობა, ასეთი კაცი საეჭვოა, რომ საერთოდ ადამიანი იყოს, პირუტყვს უფრო ჰგავს. ასე სარკასტულად დააცხრა თავის თანამედროვეს დიდი ილია. ასეთია მისი თანამედროვე, ასეთია მისი სამშობლო, მაგრამ მწერალს ის უყვარს.

აკაკი ბაქრაძე „კარდუში“ ამ თემასაც ეხება, ოღონდ ცოტა სხვა კუთხით.

მწერალი განიხილავს ნიკოლო მინიშვილის პუბლიცისტურ თხზულებას „ფიქრები საქართველოზე“ და ავითარებს ახალ თვალსაზრისს. როგორც ცნობილია, ქართული აზრი, ქართველი საზოგადოება ნიკოლო მინიშვილის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ეროვნულ ენერგიაზე ვერ შეეგუა, მათ შორის გრ. რობაქიძეც.

აკაკი ბაქრაძე ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამს: „ქართველი საზოგადოება ნიკოლო მინიშვილს აუმხედრდა, ასევე მიესიენ ილიასაც, როცა „კაცია-ადამიანი“ დაიბეჭდა. მოკვლასაც კი უპირებდნენ. მიხეილ ჯავახიშვილსაც ქვა და გუნდა დაუშინეს „ჯაყოს ხიზნებისათვის“. ამგვარი დამოკიდებულების მსხვერპლი გახდა

ნიკოლო მიწიშვილის „ფიქრებიც“, თორემ „ბედნიერი ერის“, „ჯაყოს ხიზნების“, „ფიქრების“ არსს რომ ჩავნვდომოდით, საქართველოსა და ქართველი ხალხის ხვედრი დღეს სრულიად სხვა იქნებოდა“.

გრ. რობაქიძე სხვა თვალსაზრისზე დგას. იგი ქართველ ერში, ქართველი კაცის ხასიათში ეძებდა რასის „რჩეულობის“, „წარჩინებულობის“ ნიშნებს (გურიის მაგალითზე და სხვა).

გრ. რობაქიძე თანამედროვეთა კრიტიკაში, რა თქმა უნდა, ეთანხმება ნ. მიწიშვილსაც, მიხ. ჯავახიშვილსაც და სხვებსაც, მაგრამ ის აქ არ ჩერდება, ეძებს იმედს, ვერ ეგუება ერის დაცემას და ქმნის ახალ გრაალს.

„უფსკრულის პირას დგანან უკანასკნელი რაინდები. მტრის მორჩილებას ამჯობინებენ სიკვდილს. ისინი ატარებენ რელიქვიას – წმინდა ნინოს ჯვარს, ვაზისაგან გამოჭრილს და მისი თმებით შეკრულს. ის იყო, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს გადაშვებულიყვნენ წკვარამში, რომ პაწია, მტირალა გოგო შემთხვევით შეეხო ჯვარს. დაინახეს: გამხმარი ხე აყვავდა. ოქროსფერი მწიფე მტევნები მოისხა. აქამდე სასოწარკვეთილი რაინდები ზეადამიანური ძალით აღივსნენ. უძლეველნი გახდნენ. რაინდებმა ჯადოსნური მტევნები დაწურეს. წვენი თასში დააგროვეს ისე, როგორც იოსებ არიმათიელმა დააგროვა გოლგოთაზე დაღვრილი სისხლი მაცხოვრისა. მათ თასი ფარულად შეინახეს. იცავდნენ, ვითარცა სიწმინდეს. თასის გარშემო წმ. გრაალის მსგავსად ჩამოყალიბდა საიდუმლო ორდენი. საუკუნეების მანძილზე თასი გადაეცემა მცველიდან მცველს. თასში დევს გული – საქართველოს მზე. გრაალის გუშაგები დარაჯობენ „იდუმალ მიწას“ (აკაკი ბაქრაძე).

აი, ასეთ „დაუჯერებელ სიმბოლოს“ ქმნის გრ. რობაქიძე და ის დამაჯერებელია, ვინაიდან ის არის ჩვენი ისტორია, ჩვენი დიდი წარსული.

აკაკი ბაქრაძე ასეთ დასკვნას აკეთებს: „გრაალისათვის ბრძოლაში ლევან ორბელი და მისი ამხანაგები იმარჯვებენ. ველსკი და მისი ბოლშევიკ-კომინუსტები მარცხდებიან. „გრაალის მცველნის“ ალეგორიული შინაარსის ამოკითხვა ძნელი არ არის. ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი ხალხმა უნდა შეინარჩუნოს რწმენა-იმედი, ანუ დაიცვას გრაალი. ამით გაუმკლავდება იგი მტერს, შინაური იქნება იგი თუ გარეშე.

რწმენა-იმედის გადასარჩენად ქმნის გრ. რობაქიძე ახალ გრაალს. თასის გარშემო ჩამოყალიბდა საიდუმლო ორდენი, საუკუნეების მანძილზე თასი გადაეცემა მცველიდან მცველს.

ვინ არიან ეს მცველები? წმინდა გრაალის ცნობილი რაინდები: ლოენგრინი, პარციფალი, ბორსი და სხვა აქ არ არიან. აქ მოქმედებენ ქართველი რაინდები: ლევან ორბელი, ოდილიანი, ავალა, მამია, დათა, კოსტა, ჰიდდირ, საღარა, მარჯანი, უშანგ, ხორავ, ვასსა...

აკაკი ბაქრაძე ეძებს რომანის მოქმედ გმირებს, პროტოტიპებს და მიდის დასკვნამდე: „თუ ევროპულ ლიტერატურაში გრაალის გუშაგები რაინდები არიან, გრ. რობაქიძის რომანში გრაალს იცავენ მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები: „ოდილიანი – პაოლო იაშვილია, მამია ოდიშელი – შალვა დადიანი, ავალა – ტიციან ტაბიძე, ჰიდდირ – მამედ ბეგ აბაშიძე, მარჯანი – კოტე მარჯანიაშვილი“ და ა. შ.

აკაკი ბაქრაძე აქ ჟურნალ „ბედი ქართლისას“ იმოწმებს და კალისტრატე სალიას მოსაზრებას აქვეყნებს.

გრაალის მთავარი მცველი, რწმენა-იმედის გადამრჩენელი ლევან ორბელია – გრ. რობაქიძე. მართლაც,

გარდა რწმენა-იმედის გადარჩენისა, სხვა რა შეეძლოთ გრაალის მცველებს?

აქ უნდა გავიხსენო ერთი ძველი ამბავი. 1978 წლის 14 აპრილი. მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან აკაკი ბაქრაძემ თქვა: ჩვენ დღეს, ფაქტობრივად, ხელთა გვაქვს საბჭოური კონსტიტუცია, სულ ტყუილია ჩვენი მცდელობა, აქ რამე შევცვალოთ, ჩვენ ეს არ შეგვიძლია, კრემლს ასეთი კონსტიტუცია უნდა, ასეთს მიგვაღებინებენ. ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ: მთლიანად უარვყოთ ეს კონსტიტუცია, ამით ჩვენ მართალი ვიქნებით შთამომავლების წინაშე, გავაგებინებთ ქართველ ხალხს, რომ ქართული მწერლობა მკვდარი არ არის, ქართულ ენას ის არ დათმობსო...

აკაკი ბაქრაძე ტრიბუნიდან ჩამოვიდა და ტაშისცემით დაინგრა დარბაზი. იმ დღეს ყველა მწერალი გრაალის მცველი იყო, იმ დღეს გრაალი გადარჩა!

...ამ წერილს წერაქვის სუსხიან იანვარში ვწერდი, მუხლამდე თოვლი იდო, მოძრაობა თითქმის შეწყვეტილი იყო, თოვლსა და ყინვაში ვხედავ, გზაზე, შორს გაჩერდა მანქანა, ვერ ამოვიდა თოვლიან აღმართზე, მანქანიდან გადმოვიდა ახალგაზრდა, თბილისურად ჩაცმული ლამაზი ქალი და ჩემი სახლისაკენ გამოუყვა გზას. ვინ უნდა იყოს, ამ თოვლსა და ყინვაში ვინ მოდის ჩემთან!..

გათოშილი, გაყინული შემოვიდა, იმდენად იყო აღელვებული, სიცივეს ვერ გრძნობდა. ეტყობოდა, რომ მთელი გზა, თბილისიდან წერაქვამდე, წარმოთქვამდა იმ სიტყვებს, რომელიც ჩემთან უნდა ეთქვა, ყველა მისი წინადადება დამაჯერებელი იყო, მსჯელობა – ზუსტი და მართალი. აღმოჩნდა, რომ ის იყო აკაკი ბაქრაძის მონაფე, წინ დამიდო ქაღალდების სქელი დასტა. პირველი გვერდი იყო თხოვნა-წერილი, დანარჩენი

ხელმოწერები. ითხოვდნენ, აკაკი ბაქრაძე გადაესვენებინათ მთაწმინდაზე.

– ამისათვის ჩამოხვედით? – გავიოცე, დავიბენი... ხელმოწერას მთხოვდნენ.

თბილისი ითხოვდა აკაკი ბაქრაძის მთაწმინდაზე გადასვენებას – სასწაულს ჰგავდა! – თურმე კეთილი თესლი აკაკი ბაქრაძის მიერ გადაგდებული ნოყიერ ნიადაგში ჩაფლულა!

მოსულს სხვა თემაზე არც უსაუბრია, მანქანა შორს ელოდებოდა, ჩემს მოპატიჟებას ბოდიშებით შეხვდა, ვინაიდან მოსული იყო სხვისი მანქანით, მეზობელი მიდიოდა თურმე მარნეულში და იმას გამოჰყვა. ფუფუნებით მცხოვრები, გაბღენძილი ქალი ის არ იყო – ღირსებით სავსე ღარიბი ინტელიგენტი, ბუნებით ლამაზი და კეთილშობილი ქალბატონი ბრძანდებოდა.

– გვარი მაინც მითხარით, – მივაძახე, როცა ეზოში თოვლში შეტოპა...

– ნილოსანი! – მომიგდო, – ამას მნიშვნელობა არა აქვს, ყველა ხელმომწერი, ვინც გაჩვენეთ, ამავეს გააკეთებდაო.

არ არის ყველაფერი დაკარგული, – გავიფიქრე მე, – იმედი და რწმენა მართლა გადარჩენილია, მერე რა, რომ პატრიოტები სულს ღაფავენ და კოსმოპოლიტები ზეიმობენ. მოვა დრო და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამათ (მოულოდნელ სტუმარს და სხვა ხელისმომწერთ) უნდათ. დრო მოიტანს ამას, მთავარია, შევინარჩუნოთ გამძლეობა და გადავარჩინოთ რწმენა-იმედი, სწორედ რობაქიძისეული გრაალი.

დავუდგეთ ერთგულ მცველებად მას, როგორც ედგნენ ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლები ოდითგან დღემდე.

ცეცხლოვანი ტყვიები

ბოლოს ხუთნი გამოვედით ეგრეთ წოდებული „ბუნკერიდან“: ძმები პეტრიაშვილები, მარნეულის იმ დროინდელი გამგებელი, ერთი ქალბატონი და მე. უნდა გავქცეულიყავით თბილისიდან, მაგრამ საით, არ ვიცოდით. ცენტრალური ქუჩები მშვიდად გავიარეთ, მივუახლოვდით თბილისის გარეუბანს და აი, იქ უკვე ტყვიები დაგვადევნეს. ჩვენი თანმხლები ქალბატონი ჩამოგვრჩა, როგორ მოახერხა, არ მახსოვს, ერთ ოჯახს შეაფარა თავი. კაცებმა გზა გავაგრძელეთ. ზურგსუკან ტყვიები მოგვდევდა. ტყვიები სიბნელეში ცეცხლის ნაპერწკლების მსგავსად რიალებდა ჰაერში. მეცვა ღია ყავისფერი ძველებური ქურქი ცისფერი საყელოთი და შავი დიდი ბათინკები. ტყვიების ზუზუნში მივადექით თბილისის შემოგარენს. ძმებმა პეტრიაშვილებმა, ეს მთა გადავიაროთო, თქვეს. ვუთხარი, უჩემოდ წადით, მეტი აღარ შემიძლია, ჩემიანებთან სახლში წავალ, მომკლავენ და მომკლან-მეთქი.

ტყვიის ჯერი არ წყდებოდა. ძმებმა პეტრიაშვილებმა და მარნეულის გამგებელმა მთა-გორები გადაიარეს. მე იქვე რაღაც ნაგებობის კედელს ამოვეფარე და ვუყურებდი ცეცხლოვან ტყვიებს, ველოდებოდი მის ჩანყნარებას, რომ ჩემი ოჯახისაკენ ამეღო გეზი. დიდხანს მომიწია მოცდა, როგორც იქნა, სიჩუმე ჩამოწვა.

ცოტა ხანში შეშლილი და განნირული კივილით მორბენალი სილუეტი გამოჩნდა. როგორც კი ჩემი ლანდი შენიშნა, შემომძახა:

– იქ კაცები ჩაცხრილეს! ჩაცხრილეს!

ახლოს მოსვლა ვერ გაბედა. მე გახევებულს არაფერი მიკითხავს, გულში კი გავიფიქრე, ალბათ მთაზე გადასული ჩემი სამი მეგობარი იგულისხმა-

მეთქი. გავმწარდი. განთიადი დგებოდა, გამოვწიე ჩემი ბინისაკენ, მოურიდებლად მოვეხეტებოდი ქუჩაში. საოცარია, მაგრამ არც ერთი ჩემი სიკვდილის მსურველი არ შემხვედრია გზად – დილის 5 საათისათვის მივედი შინ ცოცხალი.

გზა შინისაკენ

ერთხელაც, შემოდგომის მიწურულს, იოლი არ აღმოჩნდა გზა სახლისაკენ. 90-იანების მერე ჩემი შვილის – ირმას სააგარაკო სახლი წერაქვში ჩემთვის სიმშვიდის მომგვრელ ნავსაყუდელად იქცა. თბილისიდან მარნეულამდე სამარშრუტოთი ჩამოვედი. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ის ერთადერთი ავტობუსი, რომლითაც შესაძლებელი იყო მარნეულიდან წერაქვში ასვლა, არ დამხვდა. რამდენიმე საათი ველოდე მაინც და როცა არ გამოჩნდა, გადავწყვიტე შაუმიანის (ძველად ნაღვარევად წოდებულ) გადასახვევამდე მივსულიყავი, იქნებ გამოევლო ჩემი სახლისაკენ მიმავალ რამე ტრანსპორტს.

გავიარე ათიოდე კილომეტრიც, დავდექი ნაღვარევის გზაჯვარედინთან და ველოდი სასწაულს, რადგან საღამო ჟამს არავითარი ტრანსპორტი არ დაიარებოდა წერაქვისაკენ მიმავალ გზაზე.

დაიწყო თოვა, ჩამოღამდა, ნაღვარევის ტრამალებიდან ისმოდა მგლების ყმუილი, მეცვა თბილი, ძველებური ღია ყავისფერი ქურქი, მოცისფრო საყელოთი. ციოდა, ველოდი, დრო გადიოდა. დავაპირე ფეხით დავდგომოდი გზას და ამ დროს გამოჩნდა საბარგო მანქანა. არიქა, მეშველა-მეთქი, ვიფიქრე, დავუქნიე ხელი მძღოლს, გამიჩერა შუაღამეში მადლიანმა.

– საით მიდიხარ? – გამომძახა თავისი კაბინიდან.

– წერაქვში, – ვუპასუხე მე.

– სიონამდე ჩაგიყვან, კაბინაში არ მაქვს ადგილი, უკან, საბარგოზე უნდა აძვრე.

– კი, ბატონო, – ვუთხარი და მივადექი საბარგო მანქანის უკანა მხარეს.

დიდი წვალების მერე, როგორც იქნა, ავბობღდი, საბარგულზე ადგილი არც კი იყო, ცხენი მოეთავსებინათ თავისი კაჭკით. ძლივს მოვკალათდი, საბარგო მანქანა დაიძრა. ბარდნიდა.

სიონში მორახრახე საბარგო მანქანიდან ჩამოვედი, მადლობა გადავუხადე მძღოლს და გავუდექი გზას სახლისაკენ, წინ კიდევ თხუთმეტიოდე კილომეტრი მქონდა გასავლელი ყინვასა და თოვლში, ღამესა და სიცივეში, და ფეხით მივყევი ამ გზას ბოლომდე.

ყველას მასპინძელი

5 მარტს ჩემი დაბადების დღეა. მთელი შეგნებული ცხოვრება ვცდილობდი, ამ დღით გამოწვეული ყოველგვარი ღრეობისათვის თავი ამერიდებინა. იყო შემთხვევები, როდესაც საკუთარ დაბადების დღეზე შინიდანაც კი წავსულვარ. არასდროს მგვრიდა სიამოვნებას მისი აღნიშვნა.

წერაქვული სუსხიანი მარტის თვე იდგა თავისი თოვლითა და ჭყაპით, მარტო ვიყავი. მენვია ვინმე ვანო ბურნაძე.

– ბატონო ნოდარ, მე და თქვენ ერთ დღეს დავიბადეთ, ჩემთან სახლში გეპატიჟებით, დაბადების დღე ერთად აღვნიშნოთ.

ბევრი ვიუარე, ვუხსნიდი, მოქეიფე კაცი არა ვარ-მეთქი.

– ბატონო ნოდარ, რა გამოდის? თქვენ დიდი კაცი ხართ და უბრალო ადამიანებთან ერთად სუფრასთან დაჯდომას არ კადრულობთ?

ეს ისეთი ნაწყენი ტონით მითხრა, რომ უარის თქმა ვეღარ შევძელი. ერთი სიტყვით, ვანოს ხრიკმა გაამართლა – ნამუსზე ამაგდო, იძულებული გავხდი, წავყოლოდი. მშვენივრად კი მოვილხინეთ, კაცმა რომ თქვას.

რამდენიმე წლის შემდეგ, ვანო ბურნაძე 5 მარტს ისევ ჩემს კართან გამოჩნდა...

მოკლედ რომ ვთქვათ, რამდენჯერაც მე წერაქვში გადავიხდი დაბადების დღეს, უთქვენოდ არც ერთ შემთხვევაში არ იქნება ეგ ამბავიო. მას მერე, რაც მე წერაქვში ჩამოვედი, ვანო ბურნაძემ სულ ორჯერ აღნიშნა ამ სოფელში თავისი დაბადების დღე და ორივეჯერ ორივე იუბილარი ერთად ვიყავით, ერთ სუფრაზე, მის ოჯახში.

ვანო ბურნაძე სოფელ წერაქვის გამორჩეული ნარმომადგენელია. ამ მხარეში ოცწლიანი ცხოვრების მანძილზე არ ყოფილა არც ერთი ღონისძიება, არც სტუმრიანობა, რომელიც ვანოს სახლში ქეიფით არ დასრულებულიყო. ვანო ამ სოფელში ყველას მასპინძელია. მისი სახლი მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. მუზეუმის თითქმის ყოველი სტუმარი, როგორც ნესი, გადაინაცვლებს ხოლმე ვანოსთან საქეიფოდ. ვისაც კი ერთხელ ჰქონია ვანოს სახლში სუფრასთან ყოფნის სიამოვნება განცდილი და ხელმეორედ ჩამოსულა წერაქვში, მუზეუმში არც კი შეიხედავდა, დაადებდა პირდაპირ ვანოს სახლისაკენ თავს. ვანოს კი სტუმრისათვის მუდამ მზად აქვს სუფრა და მისი პურ-მარილი ისეთივე ნრფელია, როგორც ამ ადამიანის ბუნება.

მის სახლში ნებისმიერი ადამიანის დასახვედრად იყო სუფრა გაშლილი, იქნებოდა ეს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს პირველი ლედი თუ ჩვეულებრივი სტუმარი.

ახლახან სხვადასხვა ქვეყნიდან მწერლები გვეწვივნენ მუზეუმში. ექსკურსიის მერე, ძველი ტრადიციის თანახმად, მათ, რაღა თქმა უნდა, ყველას მასპინძელი სუფრით დაუხვდა და მწერლებმა მის სახლში გვარიანად მოილხინეს.

წერილი რედაქციას

პატივცემულო რედაქცია! თქვენს გაზეთში ნავიკითხე მარინე მამარდაშვილის კეთილი, უპრეტენზიო რეპორტაჟი „ერთი დღე სოფელ წერაქვში", თბილისის 124-ე სკოლის სტუმრობის თაობაზე.

მადლობას გიხდით, რომ ყურადღება მოგვაქციეთ და ისეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ამბავი – ორი სკოლის შეხვედრა – ასე მნიშვნელოვნად აქციეთ. მართლაც ეს შეხვედრა გამორჩეული და ორიგინალური იყო.

როცა წერაქვში ექსკურსიით ჩამოდიან, პირველ ყოვლისა, კითხულობენ, სად არის წყალი, ველი, სადაც შეიძლება დასხდნენ და იქეიფონ.

ერთხელ იყო, წერაქვის სკოლას დიდი ავტობუსი („იკარუსს" რომ ეძახიან) მოადგა. გადმოხტნენ ბიჭები, გოგოები და სკოლაში შემოცვივდნენ. რაღაცას ეძებენ, ერთი ოთახი შეაღეს, მეორე, მესამე.

– ჩვენ საექსკურსიოდ ჩამოვედით, – მითხრეს ბავშვებმა, – ვეძებთ ოთახს, სადაც შეიძლება ქეიფი.

გავოცდი.

– როგორ შეიძლება, გაკვეთილის დროს უცხო ადამიანი შევიდეს სასწავლო ოთახში?

– მასწ, წყალი სად არის? – არაფრად ჩათვალეს ჩემი აღშფოთება, ისევ აგრძელებდნენ თავიანთი წადილის აღსრულებას, წყალიც უნდოდათ, ალბათ ჭიქების გასარეცხად.

– წყალი წყაროდან მოგვაქვს! – შეუგე მე, არ მოეწონათ, – პედაგოგები სად არიან? – ვიკითხე, – ერთადერთი იმედი ახლა პედაგოგებია... ამათ სიტყვა არ ესმით.

ბავშვები, რასაკვირველია, მოსწავლეებს არ ჰგვანან, ისე არიან ჩაცმულები. მე უკვე მრცხვენია. არ მყოფნის დღევანდელობის ცოდნა, მათი ჩაცმულობა აღვწერო, დიდი ხანია, თბილისში არ ვყოფილვარ და არ ვიცი ის უცხოური სიტყვები, რაც ამ ახალმა სამოსმა მოიტანა. უბრალოდ მიგანიშნებთ – ძალიან მდიდრულად ჩაცმულები იყვნენ. ეს იმ დროს, როცა ნერაქვში ბავშვი სკოლაში არ დადის მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ დაძონძილი ფეხსაცმელიც კი არა აქვს.

რა ვქნა?

– პედაგოგები! – რატომღაც პედაგოგები არ ჩამოსულან ავტობუსიდან.

– წვიმს, მასწ! ჩვენ გამოგვგზავნეს გასაგებად, დიდი ოთახი თუ აქვთო.

გავედი და ვნახე პედაგოგებიც. ისინი იმაზე წუხდნენ, რომ წვიმდა და ბავშვები ვერ იქეიფებდნენ. ეგება გადაიღოსო, ფანჯრებიდან უყურებდნენ ცას. ბოლოს ისე მოხდა, რომ სკოლაში არ შემოვუშვი – სკოლა რესტორანი არ არის-მეთქი. ავტობუსში იქეიფეს და უკან გაბრუნდნენ.

124-ე სკოლა სხვანაირად ჩამოვიდა. ავტობუსიდანვე მუხრან მაჭავარიანისა და მურმან ლებანიძის

ლექსებს კითხულობდნენ, სკოლის ეზოშივე გამართეს სახელდახელო შეხვედრა. მათ უკვე გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ჩამოვიდნენ საქართველოს უცხოეთში, სადაც ერთი ნაჭერი მინისა – სოფელი წერაქვი შერჩენოდათ ქართველებს. ძნელია ამის გაგება და დაჯერება, და მათ ეს უკვე იცოდნენ ვახუშტი ბაგრატიონისგან. როცა სტუმრები მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმში შევიყვანეთ, ეტყობოდათ, რომ კარგად ჰქონდათ წაკითხული მიხეილ ჯავახიშვილი, რაც, სამწუხაროდ, იშვიათობაა. წაკითხული ჰქონდათ, აგრეთვე, ქეთევან ჯავახიშვილის წიგნი – ისინი ექსკურსიისთვის მომზადებული ჩამოვიდნენ, ამიტომ აქ ყოველ ნივთს, ხეს, ბუჩქსაც კი სხვა თვალით უყურებდნენ.

ერთხელ კიდევ ერთი სკოლა მოვიდა დიდი ავტობუსით. მიადგნენ მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმს, ვიდრე მუზეუმის თანამშრომელი მოვიდოდა და კარებს გაუღებდა, არ დაელოდნენ, ღობე გაგლიჯეს და ეზოში შეცვივდნენ, მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლს ცხენივით შემოაჯდნენ და სურათი გადაიღეს. რად უნდათ ეს სურათი, ვის აჩვენებენ? აი, ეს არის ჩვენი უბედურება! ვაშლის ხეებს ტოტები დაამტვრიეს. ვაშლი ჩაკბიჩეს და იქვე დაყარეს. წერაქვული მუავე ვაშლი, ბუნებრივია, თბილისის ბაზრებში ნაყიდ ვაშლს ვერ შეედრება.

სასკოლო ექსკურსიებს მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იცი, რა მიზნით აწყობ. იცი, სად მიდიხარ, რატომ მიდიხარ, რა გინდა...

124-ე სკოლის ბავშვებმა ეს ჭეშმარიტება იცოდნენ და მუზეუმში როცა შედიოდნენ, ფეხებს საგულდაგულოდ იწმენდნენ, რაც ათი წლის განმავლობაში პირველად ვნახე. ექსკურსანტებს თუ არ გააფრთხილებ, პირდაპირ შეალაჯებენ ტალახიანი ფეხებით. თავის

სახლში როცა შედიან, ამას არ იზამენ, მაგრამ მუზეუმი ყველასია, საერთოა, არ ენაღვლებათ.

124-ე სკოლა ჩამოვიდა საჩუქრებით – ჩამოიტანეს იშვიათი წიგნები.

სოფელში წიგნი არ არის. თითზე ჩამოსათვლელია ოჯახი, ვისაც ვეფხისტყაოსანი აქვს, ხოლო ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვა დიდ პატრიოტთა წიგნებს წერაქვში კი არა, მარნეულის რაიონში ვერ იშოვით.

პურ-მარილიც არ იყო მათთვის უცხო, მაგრამ მარტო კი არ იქეიფეს სხვა სკოლებივით, წერაქველი ბავშვებიც მოისვეს გვერდით და ერთად, მეგობრულად ჭამეს პური. ხოლო როცა აიშალნენ, წერაქველ ბავშვებს შინ ნამცხვრები ჩანთებით გაატანეს.

ერთმა მოსწავლემ მისთვის განკუთვნილ ნობათს რომ შეხედა, თქვა: ამდენს ვერ წავიღებ, დიდი აღმართი უნდა ავიაროო.

რაც მთავარია, ასეთ საჩუქრებს პედაგოგები თავიანთი მწირი ხელფასებით წერაქვში ვერ ჩამოიტანდნენ, ეს მშობლების დამსახურებაა. შეიძლება შეძლებული იყო, გასცე კიდეც საბოძვარი, მაგრამ ის, რაც 124-ე სკოლის პედაგოგებმა და მშობლებმა გასცეს, სულ სხვანაირი იყო, სხვა სიკეთისა და ლაზათის ელფერი დაჰკრავდა და იმიტომაც გახდა დაფიქრებისა და განსჯის საგანი.

სკოლის წინ, ნაძვნარში, მდელოზე გამართული ლხინის შემდეგ პედაგოგებმა და მშობლებმა ნარჩენები ააგროვეს, ტომარაში ჩაყარეს და ადგილობრივ პედაგოგებს დაუტოვეს, შინ ძაღლი, კატა, ქათამი გეყოლებათო. თვალს არ ვუჯერებდი – ათასი ნასუფრალი ტყისპირი, წყაროსპირი მინახავს ნაგავში ჩამხრჩვალი,

წერაქვის ნაძვნარი კი სუფთა, გაკრიალებული დაგვიტოვეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ერთი კვირის თავზე მათ კვლავ გამოგზავნეს საჩუქარი, ამჯერად ბავშვების ტანსაცმელი...

როცა სიძულვილი მძვინვარებს მთელ ქვეყანაში, როცა თბილისი მიტინგებშია გახვეული, ამ დროს 124-ე სკოლა სიკეთისათვის იცლის. ჩემი აზრით, ეს კარგია, დასაფასებელია, ეს სამაგალითოა...

რეჟისორი მძლავრი

თავისებურად მძლავრია: გაჩვენებს თავს ანგელოზად და არაფერი უნდა ფულის მეტი – სახელიც უნდა, რასაკვირველია, მაგრამ ეს იმისთვის სჭირდება, რომ მეტი ფული გამოსძალოს საზოგადოებას.

ყველა რეჟისორი არ არის მძლავრი და არც ფულის შოვნის სურვილია დიდი ცოდვა, მაგრამ მძლავრობას აქ მეტად თავისებური იერი აქვს. პირველი და მთავარი რეჟისორის – მძლავრის, „იდეოლოგია" – ფილმი რეჟისორისაა. ამ იდეას ამკვიდრებს ფილმის გადაღების დროს და მას შემდეგაც. თეატრის რეჟისორი უფრო მოკრძალებულია: მთავარია რეჟისორი, პიესას როგორც მინდა, ისე დავდგამ. რისთვის უნდათ ეს „იდეოლოგია?" – სწორედ სახელისა და ფულის მოსახვეჭად. ახერხებენ კიდეც. დღეს უკვე დამკვიდრებულია აზრი: ფილმი რეჟისორისაა, სპექტაკლში მთავარი რეჟისორია. მგონი, საკუთრებადაც კი გამოაცხადეს ფილმები.

სინამდვილე სულ სხვაგვარადაა. ფილმშიც და სპექტაკლშიც მთავარ როლს მრავალი შემოქმედი ასრულებს: მწერალი, რეჟისორი (როცა რეჟისორი თა-

ნაავტორია, ან თავად წერს პიესას ან სცენარს, მაშინ ის რეჟისორი არ არის, მწერალია), მხატვარი, კომპოზიტორი, მსახიობი, კოსტიუმის მხატვარი, გრიმიორი, სცენის მუშა, ზოგჯერ ქორეოგრაფი და ა. შ. – ყველა ერთად ფილმის ავტორია, ფილმი და სპექტაკლი კოლექტიური შემოქმედებაა.

„ტელეფილმთან" ჩემი შეხვედრა ქართული კინოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. „ტელეფილმში" გადაიღეს ფილმი, რომელიც გახდა სიგნალი საბჭოთა კავშირის დანგრევისა. ფილმმა ყველა ჯილდო და პრემია აიღო და მთელი მსოფლიო მოიარა. ეს ფილმი გახლავთ „მონანიება".

ფილმის ერთ-ერთი ავტორი ვიყავი მე, ოღონდ ამის თაობაზე „ტელეფილმის" არცერთმა მუშაკმა არაფერი იცოდა. იცოდა მხოლოდ ნუგზარ ფოფხაძემ – რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ.

ეს ამბავი ასე დაიწყო და წარიმართა: ერთხელ „მნათობის" რედაქციაში (მაშინ იქ ვმუშაობდი) მოვიდა კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე და მითხრა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უკვეთავდა მრავალსერიან ფილმს, იმდაგვარს, როგორიც უკვე გადაიღო რეზო ჩხეიძემ და გიგა ლორთქიფანიძემ, და ამისათვის ეძებდა სცენარს.

მე მაშინ ვწერდი დისიდენტურ რომანს, რომელიც ვიცოდი, რომ არასოდეს გამოქვეყნდებოდა. ნელ-ნელა ვაგროვებდი მასალებს, ჯერ პერსონაჟების სახელებიც, ნაწარმოების სათაურიც კი არ მქონდა, მაგრამ სიუჟეტი უკვე მზად იყო, ვაგებდი დოკუმენტურ მასალაზე და ამიტომ ეფექტური მეჩვენებოდა. ბატონ თენგიზს უიმედოდ ვუამბე ჩემი მომავალი რომანის სიუჟეტი. ჩვენ ერთად მუშაობის დიდი გამოცდილება გვქონ-

და, ყურადღებით მომისმინა, თავიდან ეჭვით შეხედა საფლავიდან ავი კაცის ამოთხრის ამბავს და ჩვენც ასე დავცილდით ერთმანეთს.

მეორე დღეს, შუაღამით დამირეკა და მითხრა: შენი შურისმაძიებელი ისე ამედევნა, მეორე დღეა, ვერ ვიცილებ, რაღაც მოსაწონი ნაამბობში, მგონი, არის, დაწერე განაცხადი და ვცადოთო. დავწერე განაცხადი – სულ თვრამეტი გვერდი გამოვიდა.

როგორც მან მითხრა, განაცხადი წააკითხა რეზო ჩხეიძეს და მოეწონა. თენგიზ აბულაძემ ეს განაცხადი ცეკაში წაიღო. მაშინ ასე იყო: თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხარს არ დაგვიჭერდა, არ დაგვეხმარებოდა, მოსკოვში ამ სცენარს ვერ დავამტკიცებდით. განაცხადი წაიკითხა ედუარდ შევარდნაძემ და ნება დართო ბატონ თენგიზს, გადაეღო ეს ფილმი, თან ასწავლა როგორ გაეკეთებინა ეს. ფილმი უნდა გადაღებულიყო საქართველოში, მოსკოვის დაუკითხავად. ვინაიდან კინოსტუდიის ყველა სცენარი მოსკოვს უნდა დაემტკიცებინა, ფილმის გადაღება დაევალა საქართველოს ტელევიზიას, კერძოდ, ტელეფილმების სტუდიას.

დაიწყო კონსპირაციული მუშაობა. უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს არ უნდა გაეგო, რა ფილმს ვიღებდით. განსაკუთრებით ჩემი ავტორობა არ იყო სასურველი. ამ დროისათვის უკვე გამოკვეთილი ანტისაბჭოელი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში ასე ფიქრობდნენ. შეხლა-შემოხლაც მქონდა მათთან.

როცა ბატონი თენგიზი ცეკაში მიდიოდა, მე მას ნინასწარ ვუთხარი: თუ გინდა ეს ფილმი გადაიღონ, ჩემი გვარი არსად ახსენო-მეთქი, და მართლაც ასე მოხდა. მან ედუარდ შევარდნაძეს უთხრა, განაცხადი ჩემი

დაწერილიაო. როგორც დღეს გამოირკვა, ბატონ ედუარდს თავიდანვე სცოდნია ჩემი ავტორობის შესახებ.

ჩვენ მაშინ ეს არ ვიცოდით.

სცენარზე ჩვენი მუშაობა დღევანდელი თვალთახედვით კომიკურიც კი იყო.

თუ შევიკრიბებოდით, უსათუოდ გვიან ღამით, თენგიზ აბულაძესთან. იმ ოთახში არ ვჯდებოდით, სადაც ტელეფონი იდგა. ბატონი თენგიზი როცა ჩემთან მოდიოდა, ხილიანის ქუჩაზე, ბინაში საერთოდ არ შემოდიოდა, აქ ყველაფერი ჩართულიაო, ჩუმად გამომიყვანდა შინიდან და მივდიოდით „მზიურში", მოვძებნიდით მყუდრო, უკაცრიელ კუთხეს და იქ ვარჩევდით ეპიზოდებს სცენარისათვის. ძირითადად გვეშინოდა ალექსი ინაურის, საერთოდ უშიშროების კომიტეტის. სხვათა შორის, ეს შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა, ფილმი ორჯერ იყო დაპატიმრებული.

იყო ასეთი შემთხვევაც: უშიშროების კომიტეტიდან დარეკეს თურმე ჭოლა ჭყონიასთან (მაშინ ის დირექტორის მოადგილე იყო), რა უნდა ნოდარ წულეისკირს თენგიზ აბულაძესთანო. ამან მთლად მოგვიღო ბოლო, უკვე მალული შეხვედრებიც ჭირდა. თენგიზ აბულაძემ გადანყვიტა, რომ ფილმს ჰყოლოდა ბევრი ავტორი. პირველად შემოგვიერთდა მისი რძალი ნანა ჯანელიძე. მაშინ ის თეატრალური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი იყო. სადიპლომო სჭირდება, ბარემ ჩვენთან შეასრულოს ეს სამუშაოო. შემდეგ შემოგვიერთდა რეზო კვესელავა.

მე და თენგიზ აბულაძე საზოგადოებაში ერთმანეთს არ ვესალმებოდით.

ერთხელ ერთად მოვხვდით თბილისში პანაშვიდზე. ვითომ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ცალ-ცალკე ვიდექით ხალხში. ვატყობ, რომ თენგიზი მოუსვენრადაა, ამივლის

და ჩამივლის, ამივლის და ჩამივლის. ვიფიქრე, ალბათ რაღაც უნდა მითხრას-მეთქი და გავყევი. როგორც კი დამიმარტოხელა, გამინყრა, – განიშნებ თვალით, თავით, როგორ ვერ ხვდები, რომ შეხვედრა მინდაო.

აი, ასე ვმუშაობდით. კიდევ კარგი, გამოვიდა ის ფილმი...

სცენარი დაინერა, ფილმი ჩაუშვეს. ახლა ჰონორარი მეკუთვნის, თუმცა არსად, არცერთ დოკუმენტში, ჩემი გვარი არ არის.

კუთვნილი ჰონორარი აკაკი ბაქრაძის ხელით გამომიგზავნეს.

ფილმი რადგან ჩაუშვეს, ახლა მე უნდა დამენიშნოს ხელფასი და გადაღების პროცესში უნდა ვიმუშავო სცენარზე.

გამაფორმეს ლეილა გორდელაძის ფილმზე რედაქტორად და ხელფასს მაძლევდნენ ამ გზით.

დასასრულ, გამოვიდა ფილმი, დიდი ნარმატება ხვდა, მაგრამ ჩემი გვარი არ სწერია ეკრანზე.

თენგიზ აბულაძემ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში უკვე დაუფარავად განაცხადა, რომ ამ ფილმს ჰყავდა მეორე ანონიმური ავტორი – ნოდარ ნულეისკირი.

სწორედ ამ დროს ედუარდ შევარდნაძე გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად. ახალგამოსული ფილმი „მონანიება“ დააპატიმრეს, აკრძალეს, მაგრამ უკვე გვიანლა იყო, ის მაინც ვრცელდებოდა ხალხში, ვიდეოფირზე ჩუმად გადაღებული. ამასობაში ედუარდ შევარდნაძემ იაკოვლევის დახმარებით (მე ასე ვიცი) შეძლო ამ ფილმის გამოხსნა, ის აჩვენეს მოსკოვში და მოიწონეს.

შემდეგ ფილმმა იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში.

ბოლოს ედუარდ შევარდნაძემ, იმჟამად უკვე როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, აღადგინა სამართლიანობა: უცხოელ კორესპონდენტთან საუბრისას თქვა სრული სიმართლე და „მონანიების“ ერთ-ერთ ავტორს დაუბრუნა ავტორობა. პრეზიდენტის ფონდმა, რომელსაც მაშინ ნუგზარ ფოფხაძე ხელმძღვანელობდა, გამოსცა რომანის პირველი ნაწილი „აფთრები“, სწორედ ის დისიდენტური რომანი, რომლის სიუჟეტზეც დაიწერა „მონანიების“ კინოსცენარი.

შევარდნაძეები ნერაქვში

თანამდებობის მსურველი კაცი არასოდეს ვყოფილვარ. იყო დრო, როდესაც კულტურის მინისტრობა შემომთავაზა დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა. მაშინ დიდი წინააღმდეგობა გავუწიე ზვიად გამსახურდიას, მემძიმებოდა საქართველოს კულტურის მინისტრობა და თავი ვიმართლე – მწერალი ვარ, ჩემი საქმე მაქვს, არ შემიძლია-მეთქი.

– გოეთე ფინანსთა მინისტრი იყო, შენ რა ისეთი მწერალი ხარ, უარს რომ მეუბნები! – ხმა გამაკმენდინა.

მე მისი თანამებრძოლი ვიყავი და უკან დახევა არ შეიძლებოდა – ნამდვილი თანამებრძოლი ვიყავი, თავიც და ოჯახიც არაერთგზის მაქვს განწირული საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ედუარდ შევარდნაძეს კი თავიდანვე, 1972 წლიდანვე ვებრძოდი. ცნობილია ჩემი სიტყვა, წარმოთქმული მწერალთა კავშირში ედუარდ შევარდნაძის სტუმრობისას ქართული ენის დასაცავად; ასევე 1978 წელს წარმოთქმული სიტყვა ახალი საბჭოური კონსტიტუ-

ციის წინააღმდეგ, ისევ ქართული ენის დასაცავად. გენიალური იყო ფინალი შევარდნაძესთან ჩემი ურთიერთობისა: ედუარდ შევარდნაძე თბილისის მთელი ინტელიგენციის თანხლებით, დიდი დაცვით, სამხედრო ვერტმფრენით (რომელიც ერთ-ერთი წერაქველის ყანაში დაფრინდა და გლეხს ნათესები გაუნადგურა), იმ ხალხით, ვინც ტყვიას მესროდა, წერაქვში ჩამობრძანდა. თავად პრეზიდენტის ჩამოსვლამდე გვესტუმრა პირველი ლედი და ცხენი მაჩუქა. ეს არ იყო პრეზიდენტის უბრალო ჩამოსვლა... ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემს წერილზე ამგვარ პასუხს ნამდვილად არ ველოდი ქვეყნის პირველი პირისაგან. დიდი ზეიმი იყო სოფლისათვის, მთელ სოფელს ჩააცვეს და დაახურეს.

ედუარდ შევარდნაძის საპატივცემლოდ, რასაკვირველია, გაიმართა დიდი ლხინი. სუფრაზე იზა ორჯონიკიძემ ედუარდ შევარდნაძეს მღელვარედ უთხრა: შენთვის ტყვიას შევუშვერ შუბლსო. ჯანსუღ ჩარკვიანმა იხუმრა: რა ვიცი, შევარდნაძეზე ტერორისტული თავდასხმა უკვე ორჯერ განხორციელდა, მაგრამ შენ იქ არ დამინახიხარო.

პირველი ლედის ჩამოსვლის გამო გამართულ სუფრაზე თამადობა მომიწია. პრეზიდენტის მეუღლეს მადლობა გადავუხადე იმისთვის, რაც სკოლისა და სოფლისთვის გააკეთეს, იქვე დავაყოლე, რომ ჩემს პოლიტიკურ პოზიციას სიცოცხლის ბოლომდე არ და ვერ შევიცვლიდი. ქალბატონმა ნანულიმ იმისთანა ქათინაური მითხრა, რომ სუფრაზე მყოფნი შეიშმუშნენ კიდეც: ბატონო ნოდარ, თქვენნაირი ერთგული თანამებრძოლი ჩემს მეუღლეს ერთი მაინც რომ ჰყავდეს, მასზე აღარ ვინერვიულებდიო.

მართალია, წერაქვში გადმოსახლებით მივატოვე ყველაფერი, მწერლობაც კი, მაგრამ ვითარება ამგვარი

გახლდათ: სკოლა ჩამაბარეს და მისი ბედი ჩემს ხელთ იყო. ამან განაპირობა, რომ სკოლის დირექტორად ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, 1997 წელს უშუალოდ პრეზიდენტს მივწერე წერილი. წერილი, რომელმაც წერაქვისათვის ბევრი სასიკეთო სიახლე მოიტანა.

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ედ. შევარდნაძეს

სოფელი წერაქვი მარნეულის რაიონში აზერბაიჯანულ, სომხურ, ბერძნულ მრავალ სოფელთა შორის იამანის თვალივით ერთი ქართული სოფელია. ბურნაძეების, ცხადიაშვილების, ჟუჟუნაშვილების, ადამაშვილების, ბოსტოლანაშვილების და სხვა ქართული გვარების დღეგრძელობა ამ მიწაზე ცოცხალი დოკუმენტია იმისა, რომ აქ ქართველი ხალხი ოდითგან ცხოვრობდა. რაც ვახუშტი ბაგრატიონს ქართველთათვის მარად სათაყვანო წიგნში უწერია, ამ ქართული სოფლით, წერაქვით, დასტურდება: ძველი საბარათიანო აქამდე და ამის იქითაც გრძელდებოდა.

ვიღაცამ ეს მხარე რომ არ დაიჩემოს, აუცილებელია აქ ქართული სოფლის არსებობა, ქართული ელემენტის გაძლიერება, ზოგადად, ეს ყველამ კარგად ვიცით, საჭიროა კონკრეტული მოქმედება.

წერაქვი მიხეილ ჯავახიშვილის მშობლიური სოფელია, თვითონ მიხეილ ჯავახიშვილს მიაჩნდა თავისი სოფელი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ კუთხედ. შულავერიდან სომხეთის საზღვრამდე – მხარე თითქოს მოწყვეტილია დედასამშობლოს, ძველი საბარათიანო მატერიალურად და სულიერად გავერანებულ-გაპარტახებულია. რა თქმა უნდა, ეს გასაკვირი არ არის, მთელი საქართველო ასეა, საბარათიანო ვერ

იქნება გამონაკლისი. მაგრამ აქ საგანგებო ვითარებაა, ნამდვილმა პატრიოტებმა ამ მხარეს სამოცდაათიან წლებში მიაქციეს ყურადღება, მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა, ჩემი აქ ყოფნაც მათი დამსახურებაა, მიუხედავად ამისა, წერაქვი და მისი შემოგარენი ჯერჯერობით სრულ წყვდიადშია. აქ პირველად ჩემგან გაიგონეს ბავშვებმა სიტყვა „პატრიოტი". საქართველოს უკვე გადატანილი ჰქონდა უდიდესი ეროვნული კატაკლიზმები, ეროვნული აღმავლობაც ჩავლილი იყო და დაღმავლობაც, შევდივარ კლასში, ვესაუბრები ბავშვებს და მათ არ იციან, რა არის სიტყვა „პატრიოტი", როგორლა ავუხსნა ილია ჭავჭავაძე, ამაზე დიდი უბედურება რა უნდა დაატყდეს ქართველ ერს?! თვით აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა არ შეედრება ამ საზარელ ფაქტს. რად გვინდა ტერიტორია, თუ ამ ტერიტორიაზე ადამიანები არ ცხოვრობენ. 14-15 წლის ყმაწვილმა, რომელმაც არ იცის სიტყვა „პატრიოტი" – ეს მკვდარი საქართველოა! ამიტომ არის საჭირო, გამოვიხმოთ დიდი წინაპრის, გრიგოლ ხანძთელის აჩრდილი და საქართველოს კულტურული აღორძინება დავიწყოთ იქიდან, სადაც ყველაზე უფრო უჭირს.

წერაქველი გლეხკაცი უნდოდ უყურებს სოფელში რაიმე საგანმანათლებლო მოღვაწეობას. მან იცის, ათეული წლების განმავლობაში დარწმუნდა, რომ წერაქვის საშუალო სკოლადამთავრებული ვერსად მოეწყობა, პროტექტორი წერაქველს არ ჰყავს, ერთხელ და სამუდამოდ ხელჩაქნეული შვილებს მეღორეებად და მენახირეებად ზრდის, ამიტომაც არ არის სოფელში უმაღლესდამთავრებული: ისტორიკოსი, ფილოლოგი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი... ექიმების ცვენაა საქართველოში, წერაქვიდან არავის დაუმთავრებია სამედიცინო ინსტიტუტი, ექთანსაც, აფთიაქარსაც ვერ

იპოვით ე. ი. საშუალო სპეციალური განათლებაც არავის მიუღია. რატომ მოხდა ასე, იმიტომ რომ ეს მხარე მიჩნეული იყო თვითონ ქართველების მიერ „სათათრეთად“ ან „სასომხეთად“, სხვა რაღაცად, ოღონდ არა საქართველოდ. ამ მხარეში დასახლებას ან აქ მუშაობას ქართველი ადამიანი განიცდიდა როგორც უცხო ქვეყანაში გადასახლებას. ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიანო. 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია ამ მხარის სრული დაკარგვა, ისე, როგორც დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. დღეს მცირე რამ არის საჭირო, რომ აქაურმა ქართველმა გული არ აიყაროს საკუთარ მიწა-წყალზე და სხვაგან არ წავიდეს. ხვალ უკვე მცირე არ გვიშველის.

მე ბედმა მარგუნა სიცოცხლის უკანასკნელი წლები საქართველოს ამ მიყრუებულ კუთხეში, როგორც იოანე საბანისძე იტყოდა, „ყურესა ამა ქვეყნისასა“ გამეტარებინა. რაც მთავარია, ხალხმა ამ კუთხის მომავალი მე ჩამაბარა. საკუთარი შვილების ბედ-იღბალი მანდო, ქართული სკოლის დირექტორად დამნიშნეს. სკოლა უნდა დახურულიყო; არ ჰყავდათ ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის, უცხო ენების მასწავლებლები. სოფელში სკოლა თუ არ იქნება, მშობელიც იძულებულია, შვილს გაჰყვეს ქალაქში ე. ი. სკოლის დახურვა ნიშნავს, სოფელიც აჰყარო იქიდან. აი, ასეთ კრიტიკულ ვითარებაში მარნეულის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის ოთარ მაზმიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შევუდექით სკოლის შველას. სრულიად განსაკუთრებულია იზა ორჯონიკიძის როლი, მან მთელი თავისი გავლენა და ავტორიტეტი მოახმარა წერაქვის სკოლასა და მიხეილ ჯავახიშვილის მუზეუმს. აი, ასე ერთობლივად, მოკლე დროში, განათლების განყოფილებასთან ერთად, ბევრი რამ გაკეთდა მცირეკომ-

პლექტიანი სკოლისათვის, მაგრამ წერაქვის სკოლის ყოფნა-არყოფნა მაინც გადაწყვიტა სოროსის ფონდმა, სწორედ სოროსის გრანტების დახმარებით ჩამოვიყვანეთ მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის მასწავლებლები. ახალგაზრდა მასწავლებლები, ბუნებრივია, ვერ აკმაყოფილებდნენ სოროსის გრანტის მიღებისათვის დაწესებულ მოთხოვნებს, მაგრამ სოროსის საგანმანათლებლო პროგრამის გენერალური დირექტორის თამარ ხულორდავას, აკადემიკოს თეიმურაზ ჭანიშვილისა და მწერალ კობა იმედაშვილის დახმარებით წერაქვისათვის გამონაკლისი დაუშვეს. მხარში ამოგვიდგა უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი როინ მეტრეველი – უნივერსიტეტმა შეფობა აიღო წერაქვის სკოლაზე, ჩამოვიყვანეთ ახალგაზრდა პედაგოგები, უნივერსიტეტის სტუდენტები.

მოხდა სასწაული: დიდი უცხოელი ქველმოქმედის წყალობით, თუ წერაქველ ბავშვს ნლობით არ გაეგონა „თეორემა“, „ფორმულა“, „მენდელეევი“, „ნიუტონი“ – გაიგონა. გაჩნდა იმედი, წერაქვში არა მარტო მასწავლებლები მოვიდნენ, მოვიდნენ მოსწავლეებიც. მშობლებმა ჩამოიყვანეს სხვა სკოლებში წაყვანილი შვილები. სოროსის ფონდმა გამონაკლისის დაშვებით უდიდესი საქმე გაუკეთა სოფელ წერაქვს. წერაქვის სკოლის მაგალითზე ფონდს შეუძლია არნახული საგანმანათლებლო მუშაობა გაშალოს სწორედ საქართველოს მთიანეთში, მიუვალ მცირეკომპლექტიან სკოლებში. იქ, სადაც ხელისუფლებას უჭირს უსახსრობის გამო პედაგოგების ჩაყვანა, სოროსის ფონდს ეს შეუძლია.

წერაქვის სკოლისათვის მარტო უცხოელს არ გაუწევია ქველმოქმედება, შესანიშნავმა ქართველმა ქალმა, ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ერთ-ერთმა ავტორმა ნანა შათირიშვილმა თითქმის უფასოდ გად-

მოგვცა წიგნები და სკოლის დერეფანში პირველად გაისმა ინგლისური სიტყვები. სოფელმა, როცა დაინახა, რომ მათი შვილებისათვის ნამდვილად ზრუნავდნენ, წლევანდელი 1997 წლის ზაფხულის არდადეგები ჩვენთან ერთად გაატარა – სამი ჰექტარი სკოლის მიწა გამათოხნინა. ეს მიწა ჩვენ მოგვცა რაიონის გამგეობამ, დაგვახმარა ტექნიკა, სანვავი... მიუხედავად ასეთი საერთო ენთუზიაზმისა, არის ბევრი ისეთი რამ, რაც ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება, რაც მხოლოდ კეთილი სურვილებითა და მოწადინებით არ მიიღწევა.

სექტემბრიდან შესაძლოა კვლავ აღვმოვჩნდეთ კატასტროფის წინაშე, კვლავ დაგვეფანტონ პედაგოგები, კვლავ დადგეს წერაქვის სკოლის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

კომუნისტების დროიდან წერაქვის სკოლას ემსახურებოდა ერთი ძველისძველი ავტობუსი. თბილისიდან ჩამოჰყავდა პედაგოგები, თან სოფელსაც უწევდა სამსახურს. ეს ავტობუსი სკოლის უსახსრობის, მარაგნაწილების უქონლობის გამო, ისე დაიშალა-დაიძონძა, მოძრაობა შეწყვიტა და ჯართად იქცა.

სექტემბრიდან თბილისიდან პედაგოგებს ვერ ჩამოვიყვანთ, ხოლო თუ ჩვენ მათ მოვთხოვთ ჩვეულებრივი ტრანსპორტით იარონ, სოროსის გრანტი გზის საფასურად არ ეყოფათ. თუ თქვენი კეთილი ნება იქნება, სათანადო სამსახურებს არ გაუჭირდებათ, კომუნისტების მსგავსად, წერაქვის სკოლას გამოეყოს რაიმე ტრანსპორტი. ეს აუცილებელია არა მარტო სკოლისათვის, არამედ სოფლისთვისაც, საერთოდ ამ მხარისთვისაც. საქართველოს პრეზიდენტს ასეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხებით არ უნდა ვაწუხებდეთ, მაგრამ სოფლის სატკივარი საქართველოს სატკივარია!

ბატონო პრეზიდენტო, სულიერ უდაბნოში 65 წლის მწერალს ხელში თოხი მიჭირავს ჩემს მოწაფეებთან, მათ მშობლებთან ერთად, ვთოხნი სამ ჰექტარ მინას, ეგებ სიმინდი მოვიყვანო, მერე ის გავყიდო და ბავშვებს წიგნები ვუყიდო, სკოლას სახურავი გამოვუცვალო და ა. შ. ყველაფერ ამას ჩვენ ავიტანთ, ოღონდ ის მასწავლებლები, რომლებიც ასეთი დავიდარაბით ჩამოვიყვანეთ თბილისიდან, ისევ არ დაგვეფანტონ. პირდაპირი ტრანსპორტი თბილისსა და წერაქვს შორის არ არსებობს და არც იარსებებს, ვინაიდან ეს წამგებიანია – მგზავრი არა ჰყავს. მხარის ხელმძღვანელობამ არაერთხელ დანიშნა ასეთი ავტობუსი, მაგრამ სწორედ ამ მიზეზით არაერთხელვე მოიხსნა. ამიტომ არის აუცილებელი და გადაუდებელი, წერაქვის საშუალო სკოლისათვის ავტობუსის ან მცირე ავტობუსის გამოყოფა. ის გადაწყვეტს სკოლის პრობლემასაც და სოფელსაც გამოადგება.

ნოდარ ნულეისკირი
მწერალი,
წერაქვის საშუალო სკოლის დირექტორი

ეს წერილი დავწერე და იზა ორჯონიკიძის მეშვეობით მივაწვდინე პრეზიდენტს.

* * *

სკოლაში შეგვატყობინეს, რომ პირველ ლედის – ნანული შევარდნაძეს სურდა ჩვენთან სტუმრად ჩამოსვლა. 1 ივნისს, ბავშვთა დღეს, იგეგმებოდა ეს შეხვედრა. სკოლამ და სოფელმა სამზადისი დაიწყო. მართალია, ჩემი პირადი დამოკიდებულება ნამითაც არ

შემიცვლია, მაგრამ ვინაიდან პირველ ლედის სკოლაში მოსვლა სურდა და ვგრძნობდი, რომ სოფლისათვის დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო, ბუნებრივია, საჭიროდ მივიჩნიე, ჩემი პირადი პოზიციები გვერდზე გადამედო.

სკოლაში ჩატარდა კრება, პედაგოგები და მოსწავლეები ერთად ვმსჯელობდით, თუ როგორ დავხვედროდით პრეზიდენტის მეუღლეს. სხვადასხვა ვერსია გამოითქვა, მაგრამ ერთ-ერთი მოსწავლის – იაგო კვიციანის აზრი ყველას ერთდროულად მოგვეწონა. იაგომ თქვა:

– ცხენებითა და დროშით დავხვდეთ, სოფელში რომ შემოვლენ, ექსკორტს ცხენდაცხენ გამოვაცილებთ.

ქალბატონი ნანულის ჩამოსვლას თავსხმა წვიმა დაემთხვა.

შაკა ხაფთანი იყო ჩვენი მედროშე. ცხენოსნები გზაზე განლაგდნენ. მაცნე სოფლის თავში იდგა. ექსკორტის დანახვისთანავე ცხენით გაქუსლა დანარჩენი ცხენოსნებისაკენ. პირველი ლედის ექსკორტი ცხენოსნების ალყაში მოექცა, მედროშე წინ მოუძღოდა პრეზიდენტის მეუღლესა და მის ამალას. სოფლის ახალგაზრდა ვაჟკაცები, წვიმაში ერთიანად გალუმპულები, ამაყად მოაჭენებდნენ ცხენებს, მაშინდელი საქართველოს სამფერი დროშა ერთიანად დასველებულიყო, მუქი სისხლისფერი დროშა მოფრიალებდა ექსკორტის წინ.

პირველი ლედი და მისი თანმხლები პირები შთაბეჭდილების ქვეშ იყვნენ. ჩანაფიქრმა გაამართლა, ქალბატონი ნანული დახვედრით მოიხიბლა. სოფელს უამრავი საჩუქარი ჩამოუტანეს: თბილი ქურთუკები, ფეხსაცმელები და, რაც მთავარია, სკოლას ჩამოუყვანეს ცხენი, ბენჟამენი. როგორც კი გავიგე, რომ ცხენი მაჩუქეს, იმ წამსვე გადავწყვიტე, სვანებისათვის მიმებარებინა, ვინაიდან მე უკვე ასაკში ვიყავი და ცხენს ვერ მოვუ-

ვლიდი. მიუხედავად იმისა, რომ ბენჟამენი გაუხედნავი ულაყი იყო, საბარგო მანქანიდან ჩამოიყვანეს თუ არა, სვანი გია გერლიანი უმალვე მოახტა და სვანების უბნისაკენ გასწია. საჩუქრების მიღების პირველმა სიხარულმა გადაუარა სოფელს. ბენჟამენი სვანების უბანში იმყოფებოდა. ულაყი და გაუხედნავი ცხენი სოფლისათვის თავის ტკივილი გახდა. ვერ ამაგრებდნენ, დარბოდა ყანებში, ჯეგავდა ყველაფერს. ბენჟამენი ლევან კვიციანს ვაჩუქე, სამი ვაჟის პატრონი იყო, თან როგორც თვითონ, ასევე მისი ვაჟები ცხენებშიც კარგად ერკვეოდნენ.

მას მერე, რაც ცხენი გვაჩუქეს, მთავრობიდან არაერთხელ მოიკითხეს ბენჟამენის ჯანმრთელობის მდგომარეობა, შემოგვითვალეს კიდეც, საჯიშედ გამოიყენეთო.

საგონებელში არა მარტო მე, ის ოჯახიც ჩავარდა, რომელსაც ცხენი ვაჩუქე. ერთ დღესაც ჩემთან ლევან კვიციანი ამოვიდა.

– რა ვუყოთ ამ ცხენს, ნოდარ, დაკოდვით არ დავკოდოთ, გახედვნით არ გავხედნოთ, ასე გადაჯეგავს მთელ სოფელს, გაუხედნავი ულაყი არაფერში გამოგვადგება.

– მე გჩუქნი ამ ცხენს და როგორც საჭირო იქნება, ისე მოექეცი.

– რამდენიც არ უნდა მაჩუქო, ნოდარ, ეს მაინც შევარდნაძის ცხენია.

– როგორც საჭიროდ მიიჩნევ, ლევან, ისე მოექეცი, ეს ცხენი შენია.

– კი მაგრამ, ამ ცხენს გახედვნისას ფეხი რომ მოტყდეს, მერე ან მე ან შენ როგორ ვაგოთ პასუხი შევარდნაძესთან.

– მე მაჩუქეს, ჰოდა მე შენ გჩუქნი.

– კი გაჩუქეს, მაგრამ ბოლომდე შენი არ არის, მაინც შევარდნაძის ცხენია. ამ ცხენს სანამდეც შევძლებ, შეგინახავ, მერე კი რაიმე უნდა მოიფიქრო, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნებაზე მიშვებული ულაყი საშიშია. კი გეცოდინება, ნოდარ, ცხენს დაკოდვა უნდა, მერე გახედნვა, ეს ნაჩუქარი ცხენი ძვირადღირებული და ჯიშიანი კია, მარა სამი წლის არის უკვე და ყველაფერი დაგვიანებულია, სოფელში ბავშვებია ბლომად, რაიმე უბედურებას არ გადაგვყაროს პრეზიდენტის საჩუქარმა. მე გითხარი ჩემი, ნოდარ.

რა უნდა მეპასუხა, მართლაც ასე იყო: ბენჟამენი ბოლომდე ჩემი არც კი იყო. რაღაც პერიოდი ცხენს კვიციანები ინახავდნენ. მესამეჯერ, როდესაც ცხენი მოიკითხეს, მთავრობიდან შემოგვითვალეს, – გახსოვდეთ, სტაფილო და ქიშმიში უყვარსო.

რაღაც უნდა მომეფიქრებინა.

ერთ დღესაც ჩემმა შვილიშვილმა, თათიამ და მისმა მეგობრებმა აიჩემეს, ცხენზე ჯირითი უნდა ვისწავლოთო. სვანებმა, რა თქმა უნდა, მხარი აუბეს, ცხენები ჩვენ გვყავს და გასწავლითო. არხეინად დაადგნენ გოგო-ბიჭები გზას. შაკას ჰყავდა ფაშატი. შეიკრიბნენ კლასელები დროის გასატარებლად, მაგრამ დაიჭიხვინა თუ არა ფაშატმა, გაიგო ბენჟამენმა და აიწყვიტა, მოქრის გამწარებული ულაყი, მოათრევს მის უკან ჯაჭვს, რომლითაც დაბმული იყო. გოგოებმა გაქცევა ვერ მოასწრეს, მათ უკან იდგა ფაშატი, სვანებმა იმარჯვეს, იაგო, შაკა, გია – ჩემი შვილიშვილის კლასელები – ეძგერნენ ცხენს, ზოგი ფაფარში წვდა, ზოგიც წინ გადაეღობა. გოგოების კივილზე გამოვარდა ჯეირან კვიციანი და შეახტა ცხენს, ძლივს დაიმორჩილა და სახლისაკენ წაიყვანა.

მოკლედ, სვანები რომ არა, შევარდნაძის ცხენი ჩემს შვილიშვილს გადაჯეგავდა და მის მეგობარ გოგოებსაც მოაყოლებდა ზედ.

რაღაც უნდა მომეფიქრებინა, რომ ეს ცხენი მომეშორებიდა სოფლიდან.

ბენჟამენი დააბეს და, რა თქმა უნდა, ისევ აიწყვიტა.

– ამ ცხენს, ერთხელ იქნება, მოვკლავ, სულ გამითელა სიმინდი, – გამწარებული წერაქველი გლეხი ქვას დაწვდა.

– არ გაბედო, – გამოსძახა ვალოდიამ, – გახსოვდეს, ეს შევარდნაძის ცხენია, მას რომ რაიმე მოუვიდეს, მთელ სოფელს გადაგვასახლებენ, პასუხს გვაგებინებენ.

– მე რომ ყანა გამინადგურდა, ჩემთან ვინ აგებს პასუხს? ან დაამაგრეთ ეს ცხენი, ან მოვკლავ.

– ნოდარს ვეტყვი, მოიფიქრებს რაიმეს, ოღონდ ამ ცხენს არაფერი დაუშავო.

მამუკა ბოსტოღანაშვილი, ზედმეტსახელად ჩოპრა მუშაობდა იმ დროს ჩემთან, სკოლაში, შრომის მასწავლებლად. მითხრა, ბენჟამენს მე მოვუვლი, თუ მანდობთო. გავიხარე – გამოსავალი მოიძებნა თითქოს.

ჩოპრამ ბენჟამენი თავლაში დაამწყვია, სოფელმაც დაისვენა დროებით.

– ცოტა ხნით სიბნელეში მეყოლება და შევიჩვევ ასე, – მითხრა მამუკამ.

– აგაშენა ღმერთმა!

მე და ჩოპრას სახლისაკენ ერთი გზა გვქონდა. სკოლიდან ერთად მივდიოდით, სასაფლაო უნდა ჩაგვევლო. სასაფლაოს გავხედე და ჩოპრას ვუთხარი: „გახსოვდეს, მამუკა, მეც ამ სასაფლაოზე უნდა დავიკრძალო“.

ჩოპრამ ჯერ გაკვირვებით შემომხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა. იმავე დღეს ჩემს ირმასთან მივიდა სახლში და ჰკითხა:

– დავიჯერო, ამხელა ადამიანი წერაქვის სასაფლაოს იკადრებს? ან სიკვდილზე რატომ ფიქრობს? რა დროს მაგის სიკვდილია? (რა არის ცხოვრება: ჩოპრა ბოსტოლანაშვილი ამ საუბრიდან რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა, ინფარქტი დაემართა, სოფელში კი ექიმი არ იყო და ახალგაზრდა კაცი ასე დაგვეღუპა. იგი, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჩემზე ადრე მიაბარეს წერაქვის მიწას).

ჩოპრას თავლაშიც ვერ გაჩერდა ბენჟამენი. გამოიყვანა თუ არა ცხენი მამუკამ, გაექცა. ვერც ერთი ოჯახი წერაქვში ვერ აჩერებდა შევარდნაძის ნაჩუქარ ულაყს. ბოლოს, სკოლის ეზოში დავამწყვდევინე, ვიფიქრე, შემოსაზღვრულში დაცული იქნება და მგელი არ შეჭამს-მეთქი. სუსხიანი წერაქვული შემოდგომის პირი იყო, როდესაც მე, ვალოდიამ და სხვა პედაგოგებმა უსაშველო ბენჟამენის გასხვისება გადავწყვიტეთ. შაუმიანის სამხედრო ნაწილში ვალოდია ჟუჟუნაშვილს ნაცნობი ჰყავდა, რომელიც სიამოვნებით მიიღებდა ამ იშვიათი ჯიშის ცხენს. ერთხმად გადაწყდა, ბენჟამენი შაუმიანის სამხედრო ნაწილისთვის გვეჩუქებინა.

პრეზიდენტის სტუმროობის შედეგები

არ ვიცი, მაგრამ შეიძლება სწორედ ჩემმა ნერილმა განაპირობა ის მოვლენები, რაც მას მერე მოხდა. 1998 წლის 1 ივნისს ნანული შევარდნაძე ეწვია სოფელს, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე წერაქვში გრანდიოზული ჯავახიშვილობა ჩატარდა და ჩამობრ-

ძანდა საქართველოს პრეზიდენტი. სკოლას შეჰპირდა დიდძალ თანხას და მოგვიანებით 10 000 ლარი გადასცა, რომლითაც 1999 წლის მარტის თვეში შევიძინეთ ტრაქტორი. ამ ტრაქტორთან დაკავშირებით გარკვეულ ხიფათსაც გადავეყარეთ. როგორც კი ფული ჩაგვირიცხეს, ტრაქტორისათვის განკუთვნილი თანხა ვანდე ჩემს ირმას, რომელიც მიუხედავად სიფრთხილისა, თაღლითებს გადაეყარა. ირმამ შეიძინა ტრაქტორი და მანქანით ჩამოიყვანა სოფელში. მას სოფლის შემოსასვლელში მთელი მოსახლეობა ელოდებოდა. ტრაქტორს ძვრა ვერ უყვეს: აღმოჩნდა, რომ ჩამოწერილი, ჯართადქცეული ტრაქტორი გადაუღებავთ და ისე გაუსაღებიათ ახლად. რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ გადახდილი ფულის ამოღება და ჯართის გამყიდველთათვის უკან დაბრუნება.

მაგული, ჩემი პატარა სამეგრელო

მაგული ზედანიას, ჩემი ბიძაშვილის ოჯახი თავისი ვაუებით – ზაზა და დავით კვირკველიებით, ექიმ ზურაბ ზედანიათი, სამაგალითო ოჯახია და სამაგალითო ადამიანები არიან, ეს მათ გენში აქვთ. დედაჩემის, თამარას მშობლების – ლეონასა და მიხას მოდგმა არც შეიძლებოდა ალბათ სხვაგვარი ყოფილიყო.

ლეონასა სწორედ ის მეწამლე, რომელმაც „თუთარჩელას“ წერისას შთამაგონა ახალი პერსონაჟის – სოფლის ექიმის შექმნა. მას ჰქონდა ბაღი და მეწამლეობა თაობებით გადაეცემოდა. ბებიაჩემი არა მარტო კურნავდა ხალხს, არამედ ყოველ გაჭირვებულსაც ეხმარებოდა. მისი აღზრდილი ადამიანი ვალდებულიც კი იყო, სიკეთე ეთესა, ამის მეტს არაფერს ასწავლიდა თავის შვილებსა და შვილიშვილებს.

ლეონინას შემდეგ მეწამლეობა გადავიდა ოლიაზე, მაგულის დედაზე, ოლიამ კი მეწამლეობა გადასცა თავის რძალს, ზურაბ ზედანიას მეუღლეს და მისი შვილები დღემდე მისდევენ ამ ოჯახურ ტრადიციას ბანძაში.

ზურაბ ზედანია, თარასხანის ვაჟი, შემთხვევით არ გამხდარა ექიმი. ექიმი ბევრია, მაგრამ ზურაბი მთელ სანათესაოსა და მოდგმას ემსახურებოდა წლების მანძილზე. ზოგი ავადმყოფი მასთან მისვლასაც ვერ ახერხებდა და ტელეფონით უყვებოდა თავის სატკივარს, ჩემი ბიძაშვილი ტელეფონიდანვე აძლევდა დანიშნულებას, რადგან თითოეული მათგანის ავადმყოფობის ისტორიები ზეპირად იცოდა და ზედმიწევნით ახსოვდა, ვის რა უჭირდა. სანათესაოზე გადაყოლილი ექიმი გახლავთ ზურაბ ზედანია.

მაგული ზედანია შემთხვევით არ გამხდარა სანათესაოს გამტან-გამომკვებავი. დიდი მადლის თესვა და-ძმას იმთავითვე მოსდგამდათ.

მაგულის ოჯახი ერთადერთი იყო, რომელიც მე და ირმას მუდამ გვერდში გვედგა. ჩემმა საწყალმა შვილმა იცოდა გაცხარებულ გულზე თქმა, – მე ნათესავები არ მყავს, მაგულის ოჯახის გარდაო, – შეიძლება ასეც კი იყო, კაცმა რომ თქვას.

მაგულისნაირი ქალი იშვიათად იბადება ქვეყანაზე. იმ საშინელი გაჭირვების დროს, მისი ოჯახი ნათესავების თავშეყრის ადგილი იყო. ქვრივი ქალი, რომელიც დღეში არაერთხელ უწყობდა სუფრას მოსულთ, კვებავდა მშიერ-მწყურვალ ახლობლებსა და ნათესავებს, თან ამას ისეთი კეთილშობილებითა და ლაზათით ახერხებდა, თვით მისი ვაჟებიც, ზაზა და დავითი, რძალი მაია, შვილიშვილი, ბათათოები, ნათიაც და თათიაც შეჩვეულები იყვნენ ამ ყოფას და ცხოვრების წესად ჰქონდათ ქცეული ყველას დაპურება.

თვითონ მაგული ბანძელია, ისევე როგორც მე, მეუღლე კი სოხუმიდან ჰყავდა. ასე და ამგვარად, მის ოჯახში ლამის მთელი სამეგრელო და აფხაზეთი იყრიდა თავს, მაგულისა და მისი მეუღლის ნათესავები.

როდესაც ნერაქვიდან თბილისში ჩავდიოდი, უსათუოდ მივიდოდი მაგულისთან, იქ იყო ჩემი პატარა სამეგრელო. მაგულისა და მისი ოჯახის სითბოს, სიყვარულისა და ამაგის დავიწყება შეუძლებელია. მაშინაც კი, როდესაც ინსულტი გაქვს გადატანილი და ყველაფერი თითქოს გამქრალია, მაინც ბევრი რამ არის ისეთი, რასაც ვერაფერი წაშლის – ადამიანური ურთიერთობები წარუშლელი და მარადიულია.

მაგული მახვედრებდა ცხელ კერძს და მიყვებოდა ჩვენების ამბავს. მართალია, სამეგრელოში მრავალი წელი ვერ ვახერხებდი ჩასვლას, მაგრამ ჩემი ბიძაშვილისგან ყველას შესახებ ვგებულობდი და ხშირად ვხვდებოდი კიდეც მათ მაგულის სახლში, სადაც წამყვანი სასაუბრო ენა მეგრული იყო.

იმ პერიოდში მაგულის ბიჭები მუშაობდნენ კაზინოში მცველებად, ჩემი ძმისშვილი, მერაბ წულეისკირი კი მომმარაგებლად. მათი ხელფასი მთლიანად მაგულის ქვაბებში მიდიოდა, რომელიც შემდეგ მთელს საახლობლოზე ნაწილდებოდა.

მქონდა ერთი შინაურული სადღეგრძელო:

– გაუმარჯოს ირმასა, „კრიალოსან" ფირმასა!

ერთხანს ირმას საგამომცემლო საქმიანობა ჰქონდა გამართული და მის ფირმას „კრიალოსანი" ერქვა, საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა და საბავშვო წიგნებს გამოცემდა.

აიტაცეს ეს სადღეგრძელო და მაგულის ოჯახში სუფრას რომ გაშლიდნენ, ტრაპეზს ზაზა ისე არ დაას-

რულებდა, რომ სადღეგრძელო – „გაუმარჯოს ირმასა, „კრიალოსან“ ფირმასა“ – არ ეთქვა.

ერთხელაც მაგულიმ ჰკითხა პატარებს, ბათურიებსა და ჩემს შვილთაშვილს:

– ბები, რა გინდათ, რომ სადილად გაგიკეთოთ? – გაისუსნენ მისი შვილიშვილები, იცოდნენ, რომ გასაჭირი იყო და ხმა არ ამოუღიათ.

ჩემი შვილთაშვილი გიორგი სულ სამიოდე წლის იყო, მივიდა მაგულისთან და უთხრა:

– ბები, ბები, ჩაპას რომ აქვს, სადილად ის მინდა.

– ჩაპა ვინ არის, ბურთო? ან რა აქვს ამისთანა სადილად?

– ასეთი რომ არის, შავი! – გაუწვდინა გიორგიმ თავისი პატარა გაშლილი ხელი და გააშუა ჰაერში, – ასეთი ბრტყელი.

– მერიკო, ახლავე მითარგმნე ერთი, შენი შვილი რას მეუბნება.

მერიკოს მომწვანო-მოთაფლისფრო თვალებში წყალი ჩადგა.

– ჩაპა ლამარას ძაღლია, – ხმა დაუწვრილდა მერე და აუკანკალდა, – ბრტყელი და შავი კატლეტია! – ძლივს დააბოლოვა წინადადება, ბოღმისაგან ბურთი გაეჩხირა ყელში.

– რაო?! ძაღლს აჭმევს კატლეტს ეგ დედაკაცი და საკუთარ შვილთაშვილს არა? ძაღლის იქით არ ანახოს არაფერი ღმერთმა!

– ჩემი ბრალია, მაგული ბები, გიორგი იქ არ უნდა მიმეყვანა! – დაიწყო თავის მართლება მერიკომ.

– ბებიაშენის ღორობა რა შენი ბრალია? – განიწმატდა მაგული. – გექნებათ კატლეტი სადილად დღესვე! – თქვა მტკიცედ და გვარიანი მეგრული წყევლაც მიაყოლა ზედ.

დავმუნჯდით ყველა. სიდუხჭირე, რომელიც მაშინ მეფობდა, მაგულისა და მისი ოჯახის წევრების მსგავსი ადამიანების წყალობით იყო გასაძლები და გადასატანი. საიდან აღმოჩნდა სუფრაზე ბავშვებისათვის კატლეტი, მოგვიანებით გავიგე.

მაგულიმ შვილს დაურეკა, სასწრაფოდ მოდიო. მოვარდა შეშინებული დავითი.

– რა მოხდა, დედა?

– არაფერი, ცალკე უნდა დაგელაპარაკო! – გაიხმო დედამ შვილი, – მოისმინა დათომ მაგულის მონაყოლი, ბრაზისაგან სახე წამოუწითლდა, მერე დაფიქრდა.

– ჯერ ხელფასის დრო არ არის, დედიჯან, მარა მოვიფიქრებ რამეს.

– არ ვიცი, დათო, საიდანაც გინდა, იქიდან მოიტანე ხორცი, ვერ დავუშვებ, რომ კატლეტს ვიღაცის ძაღლი ჭამდეს და ჩემი შვილიშვილები კი დამშეული მეზრდებოდნენ.

– კაი, დედიჯან, შენ მაგაზე არ იდარდო.

წავიდა დავითი და ცოტა ხანში მოიტანა ხორცი ბავშვებისათვის.

შეუდგა მაგული სამზარეულოში საქმიანობას, თან შვილიშვილებს მიახარა:

– დღეს კატლეტი გექნებათ სადილად, პატარებო.

– არ მინდა ისევ ეგ გაროხის საზიზღარი კატლეტი! – მორთო ტირილი ზაზას პატარა გოგომ. ერთი ტომარა ბარდა იყიდა დავითმა, იაფი იყო მაშინ, მთელი სანათესაოს გამოსაკვებად, ბუნებრივია, ყოველთვის დიდი მარაგი უნდა ჰქონოდათ.

შვილიშვილებს ბარდა რომ იოლად და გემრიელად ეჭამათ, მაგული ბარდის კატლეტებს ამზადებდა და პატარებს ხორცის გემო დავიწყებოდათ საერთოდ.

– გაროხის არა, ბათათო, ხორცის იქნება! – დაამშვიდა უფროსმა დამ.

პატარამ ტირილი შეწყვიტა. მაგული სამზარეულოში აგრძელებდა ფუსფუსს.

მაგული და მისი ოჯახი თავდადებული და თავგადაკლული იყო თავისიანებისათვის. არადა, არც თვითონ ულხინდათ და საკმაოდ ბევრსაც იკლებდნენ ჩვენი, ნათესავების გამო.

გემრიელად მიირთვეს პატარებმა კატლეტი და პიურე. უფროსებიც დაგვაპურა მაგულიმ, როგორც ყოველთვის, ღომით გაგვიმასპინძლდა.

ბავშვებმა გაიხარეს, მაიმუნობდნენ. მაგული კი გამარჯვებული და კმაყოფილი იყო.

და საიდან მოვიდა ის ხორცი? დავითს ვერ უთხოვია ვერავისთვის, ფული ვერ უსესხია, წასულა და სისხლი ჩაუბარებია. სწორედ საკუთარი სისხლის გაღებით იყიდა ხორცი და ამგვარად შეასრულა დედის თხოვნა.

ეს ამბავი კაი ხნის მერე გამოვარკვიე, თორემ მაშინ ამაზე არაფერი უთქვამს:

– აჰა, ხორცი, დედიჯან! – თქვა მხოლოდ, – გავიქეცი, აბა, მე, სამსახურში მეჩქარება. – და წავიდა.

ასეა, გენაცვალე! ზოგი ძაღლს არ აკლებს არაფერს, ზოგიც კი საკუთარი ჯიშისა და ჯილაგისათვის სისხლსაც გაიღებს ისე, რომ არც შეიმჩნევს ამას.

ეს რამ ჩაგადენინა-მეთქი, რომ ვკითხე:

– ნოდარ ბიძია, ფული ვერ ვიშოვე და, აბა, რა უნდა მექნა, დედაჩემს შევპირდი და ხომ არ გავაწბილებდი! – მივიღე პასუხად.

მონდომება, რომლითაც მაგული წლების მანძილზე ოჯახებს აპურებდა და ის, რასაც ეს ქვრივი და მისი ბიჭები აკეთებდნენ, ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

უგემრიელესი მეგრული სამზარეულო, შეუდარებელი, ფასდაუდებელი თანადგომა და უზომო სიყვარული დახარჯა ამ ქალმა თავისიანებზე. ტვირთად რამდენი ადამიანი აწვა ამ ოჯახს, ზიდა ეს ტვირთი დიდხანს დაუყვედრებლად, მანაც და მისმა ოჯახმაც შიმშილით სიკვდილისაგან, უიმედობისაგან და სასონარკვეთისგან იხსნა არაერთი ადამიანი.

ჩემს ოჯახზე რა ამაგიც აქვს, გავიხსენე ამ ერთი პატარა ეპიზოდით, მაგრამ მე კარგად ვიცი, ბლომად სიკეთეს თესდა სხვათათვისაც.

აი, ასეთი იყო მაგული ჩემთვის. იგი დღემდე ჩემი პატარა სამეგრელოა – მე ამ იშვიათი ქალისა და მისი ვაჟების მადლიერი ვიქნები ყოველთვის.

ნეროები

შემოდგომაა, ნისლით არის არემარე დაფარული, ვმუშაობთ ეზოში. მოულოდნელად გამყინავი ხმა შემოგვესმა ციდან. ნეროები მიფრინავდნენ თბილ ქვეყნებში თურმე. ბურუსის გამო დაბლა ფრენდნენ, მთლად ჩვენს თავებზე გადაიფრინეს, ცივ ნისლში, რომელშიც ერთმანეთს თუ ვარჩევდით, ისიც გაჭირვებით, თითოეულის არამარტო დანახვა, შეთვალიერებაც კი მოვახერხეთ. ფრინველთა გუნდის გადაფრენა და მათი დაბრუნება ყოველწლიურად მინახავს ჩემი თვალით, თუმცა არასოდეს ასე ახლოს არ ყოფილან ნეროები ჩვენთან. ეს ღვთიური ფრინველები! სითეთრეში მათი ფრთების ტლაშუნისა და ყიჟინის ხმამ დაარღვია წერაქვის სუსხიანი სიჩუმე და გაარღვია შემოდგომის ნისლით დაბურული ცა. მათი გზა თბილი ქვეყნებისაკენ წერაქვის ცის გადაკვეთით გრძელდებოდა ხოლმე.

შოშიტა

ყმაწვილობისას ერთი ბავშვური გატაცება მქონდა: შაშვის ბარტყებს ვდარაჯობდი. როდესაც შეიღინღლებონდენ და მოიზრდებოდნენ, ბუდეში ვეღარ ეტეოდნენ და ხშირად ვარდებოდნენ ბუდიდან. ვიცოდი, რომ ასეთი ბარტყი განწირული იყო, ან კატა გადასანსლავდა ან რომელიმე სხვა მტაცებლის მსხვერპლი გახდებოდა. დედა შაშვი ძირს ჩამოვარდნილ ბარტყს იქვე კვებავდა. ამოჩემებული მქონდა შემთხვევის მიერ შესაჭმელად გადადებული ბარტყების გადარჩენა. მიმყავდა სახლში და ვზრდიდი. ვიჭერდი მათთვის კალიებს, ვაღონიერებდი, როცა მოყოჩაღდებოდნენ, ნელნელა იწყებდნენ ფრენას, ჯერ პატარა მანძილებზე დაფრთხიალებდნენ, მერე კი გაშლიდნენ ნახშირივით შავ, უკვე კარგად მოზრდილ ფრთებს და აიჭრებოდნენ ცაში. სახლში შეფარებულ შაშვის ბარტყს შოშიტას ვარქმევდი. დიდი მოვლა-პატრონობისა და მზრუნველობის მიუხედავად, ხშირად მეხოცებოდა, მაგრამ რამდენიმე შოშიტა მაინც გავზარდე.

წყარო

თხუთმეტიოდე წლის წინ მიმაჩნდა, რომ სკოლაში აუცილებელი იყო ერთი კომპიუტერი მაინც. ღვთის წყალობით, არა მარტო მე ვიყავი ასეთი – დღესდღეობით თითქმის ყველა სკოლაშია სათანადო ტექნიკა, მაგრამ მაშინ, უკვე მერამდენედ, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ვერ გამიგო ალბათ და ძალიან დიდი ბრძოლის გადატანაც კი დამჭირდა, რომ ერთი კომპიუტერი მომეპოვებინა წერაქვის სკოლისათვის. რა როგორ მოხდა, გაზეთ „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილ-

ში ავსახე, დავხატე ის საცოდავი რეალობა, რომელშიც მიწევდა მოღვაწეობა. დღეს კი მიმაჩნია, რომ რაღაცის გაკეთება მაინც შევძელი, თუმცა დარწმუნებული ვარ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყოველი კეთილი წამოწყებისას მნიშვნელოვანი დაბრკოლებები რომ არ შემხვედროდა, ვინ იცის, იქნებ მეტიც მომესწრო.

„ღია საზოგადოება – საქართველო" – ყველაზე დახურული და ბნელი საზოგადოება"! – ამ წერილმა კიდევ ერთხელ მაჩვენა, რომ მრავალი კეთილი ადამიანი არსებობდა ამ ქვეყანაში. წერილში ნათქვამ სიტყვებს საქმითი გამოძახილი ჰქონდა ჩემთვის ძალიან თბილი და კარგი ადამიანებისაგან, რომელთა მადლიერიც ვარ დღემდე. მინდა ყოველივე დეტალურად გავიხსენო და სრულად მოვიყვანო ის წერილიც, რომელმაც წერაქვის სკოლისათვის კომპიუტერი მომაპოვებინა.

პირველი „ახალი საქართველოს" იმდროინდელი რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი ამომიდგა გვერდში, რომელსაც ყველაფერი მოვუყევი და ვთხოვე, ჩემი წერილის გამოქვეყნების საშუალება მოეცა. გაზეთში წერილს ჩემ მიერ მოპოვებული 4 რეკომენდაცია დაურთეს, რომელებიც „ღია საზოგადოება – საქართველოში" ჩემი პროექტის წარსადგენად დამჭირდა და პირველივე გვერდზე განათავსეს.

„რა საზოგადოებაა ეს? ვინ შექმნა, რისთვის შეიქმნა, ვინ არის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც სოროსის მიერ მოცემულ ფულს განაგებს? ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ამ საზოგადოების დირექტორი! – ყველაფერი ეს საიდუმლოებით მოცულია; საზოგადოების კარი ყოველთვის დაკეტილია. ზარი უნდა დარეკო, კარს ოდნავ გამოაღებენ, გკითხავენ: „ვინ

გინდა, რა გინდა". კარებშივე უნდა უთხრა სათქმელი, კარებიდანვე გამოგისტუმრებენ. ეგებ ისეთი სათქმელი გაქვს, არ გინდა მეკარეს უთხრა, ეგებ საერთოდ არ გინდა არაფერი, უბრალოდ, ცნობის ნადილი გიბიძგებს გაიგო, შენს სამშობლოში რა ახალი საზოგადოება დაარსებულა, რა ახალი დაწესებულება ამუშავებულა. ამას ვერა და ვერ გაიგებ!

მაინც მოდიან აქ საწყალი პედაგოგები, გამათხოვრებული სკოლის დირექტორები, ეგებ სოროსის გრანტი მოიპოვონ. ეს სიმკაცრე და „წესრიგი" მოგონილია ამათ მოსაგერიებლად. მეტსაც გეტყვით: მთელი ეს დოკუმენტები, რომელიც აქ, ამ საზოგადოებაში უნდა შეავსონ, შეთხზულია იმისათვის, რომ სოროსის გრანტი მიეცეს იმას, ვისაც მოისურვებს ამ საზოგადოების რამდენიმე წევრი. მაგ.: უნდა დაიწეროს პროექტი, ბიზნესგეგმა და ა. შ. მრავალი რამ უნდა დაიწეროს. ე. ი. ფიზიკის კაბინეტის, ან ქართული ლიტერატურის კაბინეტის მოწყობილობა რომ შეიძინო, ვთქვათ, ქართველ მწერალთა პორტრეტები იყიდო მაღაზიაში, უნდა დაიწეროს „პროექტი", თუ როგორ იყიდი ამას. შემდეგ, როცა იყიდი და სკოლაში მოიტან, უნდა დაიწეროს ბიზნესგეგმა, თუ რას გააკეთებ პირველ თვეში, პირველ კვარტალში და ა. შ. მკითხველი დამეთანხმება, ასეთი ბიზნესგეგმის დაწერა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მაინც უნდა დაწერო. ხოლო როცა ამ პორტრეტებს კაბინეტში ბიზნესგეგმის მიხედვით განათავსებთ, უნდა დაწეროთ „მოსალოდნელი შედეგი". ესეც არანაკლებ ძნელი გასაკეთებელია, თუ სიცრუეს არ დაწერ. საკითხავია, ვისთვის იწერება ეს „მოსალოდნელი შედეგი"? სოროსს უნდა შევატყობინოთ „შედეგი"? ბავშვებმა კაბინეტში დაათვალიერეს ქართველ მწერალთა

პორტრეტები და ზოგი მწერლის სახელი და გვარი დაიმახსოვრესო, სოროსს უნდა ვაცნობოთ?

რისთვის არის საჭირო ეს იწილო-ბიწილო? – თურმე მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ წერაქვის სკოლას დახმარება არ მისცენ. აი, ეს არის და ეს!

მე ხომ ჭეშმარიტება არ ვიცოდი. ისე გულმოდგინედ შევუდექი ბიზნესგეგმის და ბიუჯეტის წერას, ჩემს სიცოცხლეში არაფერი დამიწერია ასე მონდომებით: რომანებზე, მოთხრობებზე, პიესებზე, კინოსცენარებზე არ მიმუშავია იმდენი, რამდენიც ამათ ბიზნესგეგმაზე ვიმუშავე. „ღია საზოგადოება – საქართველოს" კოორდინატორის ელენე ნაკაშიძის მითითებები დაუძლეველი აღმოჩნდა! ისიც უნდა ვთქვა: ერთადერთი სულიერი, ვისთანაც მე მოვახერხე მაინც, ასე თუ ისე, ორი სიტყვა მეთქვა, ელენე ნაკაშიძე იყო. სამწუხაროდ, ნაკაშიძის ქალს შუბლზე ეწერა, რომ მე სოროსის გრანტს არ მომცემდნენ. ვიფიქრე, ალბათ ობიექტურ სამართლიან საზოგადოებაში მოვხვდი, გრანტს აძლევენ ჩემზე უარეს ყოფაში მყოფ სკოლას, მაშინ განზე გავდგები-მეთქი. ნურას უკაცრავად, გამოირკვა, რომ თბილისის ზოგიერთი სკოლისათვის უკვე ორჯერ, სამჯერ მიუციათ გრანტი. ჩემ გვერდით კონსულტაციაზე იჯდა სკოლის წარმომადგენელი, რომელსაც ერთხელ უკვე გაუმარჯვია ამ „კონკურსში" და ახლა მეორედ ცდიდა ბედს.

შევეცადე წერაქვის სკოლის პრობლემები ელენე ნაკაშიძისათვის გამეგებინებინა, ამაოდ! ვიფიქრე, ესენი მაინც უცხოელებს ემსახურებიან, იციან ჯოისი, ბეკეტი... ალბათ მაღალი რანგის კოსმოპოლიტები არიან-მეთქი. ბაიბურში არ არიან. ეგებ პატრიოტები არიან და დღევანდელი ხელისუფლება არ მოსწონთ? მეტი საქმე არა გაქვთ! მაშინ ისიც შევაპარე, რომ მე

დღევანდელი ხელისუფლება მხარს მიჭერს, წერაქვის სკოლას და მეც, პირადად. რეკომენდაციას გამინევს საქართველოში ვინც გინდათ, ყველა: გამოჩენილი და ძალიან გამოჩენილი პიროვნება, – არავითარი რეაქცია! ქალბატონს შუბლზე ეწერა და ეწერა, რომ ეს გრანტი ჩემთვის არ იყო განკუთვნილი. რა ვქნა? ხელი ჩავიქნიო და წავიდე ისევ ჩემს მიგდებულ, მიყრუებულ სოფელში? როცა შეიძლება კარგი მათხოვრობით მცირის მიღწევა სკოლისათვის, არ უნდა ითაკილო ეს მათხოვრობა. უცხოელი იძლევა ფულს, – წერაქვის დაქცეულ სკოლას დაეხმარეთო, ქართველებში, იმ აღმასრულებელ საბჭოში ნუთუ ერთი კაცი არ აღმოჩნდება, ვინც იმ უცხოელს მხარს დაუჭერს. ეს ფიქრი ელენე ნაკაშიძეს გავანდე: არ შეიძლება, თქვენ გყავდეთ ისეთი აღმასრულებელი საბჭო, ვინც სულ არ იცნობს ქვემო ქართლის პრობლემებს, წერაქვს, ჯავახიშვილსა და წულეისკირს-მეთქი. ელენე ნაკაშიძეს შუბლზე ეწერა – გრანტს არ მოგცემენ. ბოლომდე მაინც არ მჯეროდა: წერაქვის სკოლას უცხოელი თუ ფულს მისცემდა, ქართველი წაართმევდა! გუნებაში კი ვფიქრობდი, რას მაწერინებენ ამდენს; რა პროექტი უნდა დავწერო – სუეცის არხს ვაშენებ თუ ასუანის კაშხალს! მაინც დავწერე. გვერდით დავისვი კონსულტანტები და დავწერე. ვაჩვენე ელენე ნაკაშიძეს, ამჯერად უკეთესი აღმოჩნდა, შვებით ამოვისუნთქე, ლმობიერი სიტყვები მითხრა. შუბლზე მაინც მსხვილი ასოებით ეწერა: სოროსის გრანტს შენ არ მოგცემენ.

არ მოგვცეს.

ახლა საკითხავია, რატომ არ მოგვცეს? მოვითხოვე, წერილობითი პასუხი გაეცათ. არ იძლევიან პასუხს. კარებში გეტყვიან „არას“ და მორჩა. არავის ნახვა არ შეიძლება, ვერსად დაიჩივლებ.

დაუშვათ, იმიტომ არ მომცეს სოროსის გრანტი, რომ პროექტი არ იყო კარგად დაწერილი. შეიძლება ეს? სკოლას ეხმარებით თუ პროექტის ავტორების ფანტაზიას აძლევთ სოროსის მიერ სკოლისათვის განკუთვნილ ფულს? მაშინ დაარიგეთ, როგორც ჰონორარი და სკოლას თავი დაანებეთ.

გასაკვირი არ არის, რომ პროგრამას, რისთვისაც ეს პროექტები, ბიზნესგეგმები და ბიუჯეტები იწერება, ეწოდება „განათლების ეროვნული პროგრამა". განათლების მინისტრის ალექსანდრე კარტოზიას, მისი მოადგილის თამაზ ტატიშვილის, სახელმწიფო კანცელარიის განათლებისა და კულტურის განყოფილების გამგის კობა იმედაშვილის და თვით ქალბატონ ნანული შევარდნაძის, რომელიც წერაქვის სკოლას მეურვეობას უწევს, რეკომენდაციები მქონდა, – წერაქვის სკოლას გრანტი მიეცითო. შენც არ მომიკვდე, არავინ არაფრად ჩათვალეს!

წერაქვის სკოლას როცა უცხოელის მიერ მოცემულ გრანტს არ მისცემ, შეიძლება ასეთ პროგრამას ეროვნული ეწოდოს? ეს ციინიზმი არ არის? ვთქვათ, არასამთავრობო ორგანიზაციაა და არავის ემორჩილება „ღია საზოგადოება", კი, ბატონო, დასაშვებია, დღეს ეს მოდაშია, იყოს ასე, მაგრამ საქართველოში არ უნდა არსებობდეს საზოგადოება, თუნდაც არასამთავრობო, თავისი აღმასრულებელი საბჭოთი, თავის კოორდინატორ ელენე ნაკაშიძით, რომელმაც არ იცის წერაქვის ქართული სკოლის მნიშვნელობა ამ მხარისათვის, არ იცის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, არ წაუკითხავს „ჯაყოს ხიზნები", ან ამ წიგნიდან არაფერი გაუგია, გარდა ეროტიკისა?!

სხვათა შორის, არა მარტო წერაქვის, მთელი ქვემო ქართლის, შიდაქართლის, მესხეთ-ჯავახეთის ქართულ

მოსახლეობას „ჯაყოს ხიზნების“ პრობლემა ზვავივით აწევს მხრებზე. ნუთუ ეს ქართველმა კაცმა დღესაც ვერ უნდა შეიგნოს?

მე რამდენადაც ვიცი, ამ საკითხში ქართველობა ერთიანია, თითქმის ყველას ესმის ჩვენი ისტორიული უბედურება. ხელისუფლება, დღეს არსებული ყველა პარტია, ეროვნული მოძრაობის ყველა ფრთა, ძველ კომუნისტურ ხანაში და დღესაც ერთი აზრით იყო და არის გამსჭვალული: საქართველოს ამ ძველისძველ მხარეებში ქართული კერები უსათუოდ უნდა არსებობდეს, ხელი უნდა შევუწყოთ მათ, თუ გვინდა ამ მხარეების შენარჩუნება. ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ ალბათ ერთადერთი საზოგადოებაა, რომელსაც თურმე არ ესმის და არც უნდა ამ პრობლემის გაგება. სხვაგვარად ვერ ამიხსნია ჩვენი დამარცხება. წერაქვის სკოლა კონკურსში დამარცხდა? რა კონკურსში დამარცხდა? ვისთან კონკურსში? თქვენ, პატივცემულო ღია საზოგადოებავ! არც იცით, არც გაინტერესებთ, სად არის სოფელი წერაქვი, რა ვითარებაა მის გარშემო. ღატაკ წერაქვში ხალხი ცხოვრობს, როგორც პირველყოფილ თემურ ნეს-ნყობილებაში, არა გვაქვს შუქი, გაზეთი, რადიო, ტელევიზია, არავითარი მაღაზია, არავითარი აფთიაქი, არ დადის ტრანსპორტი, არა გვაქვს არავითარი ინფორმაცია, ხვალ თბილისი რომ დაიპყროს აღა მაჰმად-ხანმა, ჩვენ გავიგებთ იმ თვეში. დანგრეულია გზები, არ ცხვება პური, არ არის არავითარი გასართობი ახალგაზრდებისათვის. აქ სკოლაა ყველაფერი და ერთადერთი, ისიც ათას გასაჭირშია ჩაფლული, დახურვას ძლივს გადავარჩინეთ, სოფელს არ შეუძლია შეინახოს. ასეთ დაღუპულ, გაერანებულ მხარეს, სოფელს და სკოლას თქვენ აჯიბრებთ თბილისთან ან თუნდაც ბათუმთან?

წერაქვის სკოლას კონკურსს გარეშე უნდა მისცეთ, თუ რამ გაგაჩნიათ, ეს თქვენ არ გესმით და გაგებაც არ გინდათ, ამაზე სიტყვაც კი ვერ დავძარი თქვენს კოორდინატორთან. კონკურსგარეშე კი არა, თქვენი საზოგადოების აპარტამენტებში ფეხი რომ შევდგი, იმითაც მადლობელი უნდა ვყოფილიყავი – ასეთია თქვენი საზოგადოების თანამშრომელთა დამოკიდებულება ყველა ჩემნაირისადმი.

ახლა, როგორც ირკვევა, გრანტები მიგიციათ ბათუმის სკოლებისათვის. ამისათვის სწორედ რომ მადლობა გეთქმით. აჭარლებს, იმავე ძირძველ, ნამდვილ ქართველებს ყველაფერი ეკუთვნით ჩვენგან.

თქვენი საზოგადოების მხრიდან სიწრფელეს აქაც ვერ ვხედავ. ბათუმის სკოლები თქვენთვის საფარია! თორემ ქვემო ქართლში აჭარელთა მთელი რიგი სოფლებია, აქ ქართული სოფლები სულს ღაფავს. რა საკვირველია, ბათუმზე უფრო ამ სკოლებს უჭირთ. მიეცით რომელიმე მათგანს უცხოელის მიერ მათთვის მოცემული საჩუქარი? ჰმ, კონკურსში ვერ გაიმარჯვეს?..

აჭარელი ბავშვები წერაქვის სკოლაშიც სწავლობენ, ცხოვრობენ წერაქვის ყოფილ ფერმაში საქონელთან ერთად, თურმე ვერ გაიმარჯვეს კონკურსში თბილისელებთან და ბათუმელებთან! სირცხვილი თქვენ, ღია ფონდო, ყველაზე დახურულო და ბნელო, ჭეშმარიტ ქართველთათვის.

სტიქიის გამო ექსორიაქმნილნი, გადმოსახლებულნი მარნეულის რაიონში, ჯერ ფეხი ვერ აუწყვიათ ახალი ყოფისათვის, ლუკმაპური და სამოსი ვერ უშოვიათ, წერაქვის ფერმაში ძროხებთან მცხოვრებნი უნდა მოვიდნენ თქვენთან და ბიზნესგეგმის დაწერაში უნდა შეეჯიბრონ თბილისელებს?

ერთი მათგანი თამარ გაბაიძე ნიჭიერი ბავშვია, დიდი მსხვილი თვალები აქვს, გონიერებით სავსე. თურმე ის თვალები ტკივა, ვერ კითხულობს. მშობლებს შევუთვალე, ბავშვს ექიმი და სათვალე სჭირდება-მეთქი. მართლაც თამარ გაბაიძე რამდენიმე დღით გაუჩინარდა. მოვიდა კვლავ უსათვალოდ, აღმოჩნდა, რომ ექიმთან კი წავიდნენ, მაგრამ ფული არ ეყოთ და ხელცარიელი უკან დაბრუნდნენ.

აი, ასეთ ყოფაში მცხოვრებთ მადლით მოსილი უცხოელი დახმარების ხელს გვიწვდის, ქართველი ნაკაშიძე კი ბარიერებს მართავს, როგორმე არ მივიღოთ ეს დახმარება.

ეს მარცხი ჩემთვის მეტად პრინციპულია. პირად კონკურსში კი არ დავმარცხებულვარ, ჩემი მოთხრობები კი არ დაუწუნიათ, დაიწუნეს წერაქვის საქმე. წერაქვის საქმე მარტო ჩემი პირადი საქმე არ არის, ვისაც ესმის, ის საერთო ქართული საქმეა. ამიტომ ჩამაბარეს. მე არ მითხოვია თბილისისათვის სამსახური, აქეთ მთხოვეს. მით უფრო ძველი კაგებეს მსგავს დანესებულებას მე სამათხოვროდ ხელს არ გავუწვდიდი. სოროსის გრანტი, აი, ამ საერთო ქართული საქმისათვის ვითხოვე. დამარცხდა საერთო საქმე, როგორ ფიქრობს „ღია საზოგადოება“, შემიძლია მე დავთმო პოზიციები?..

ამ წერილს ვთარგმნი და სოროსს გავუგზავნი მოთხოვნით: გააუქმოს ეს საზოგადოება და ახალი შექმნას, ვისაც ეცოდინება საქართველოს ჭეშმარიტი გასაჭირი.

სოროსი გრანტებს საქართველოს აძლევს და არა „ღია საზოგადოება – საქართველოს“. საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს განათლების სამინისტრო, სახელმწიფო კანცელარიის კულტურისა და განათლების განყოფილება რეკომენდაციას წერაქვის

სკოლას აძლევს, გრანტს სხვას აძლევენ, ეს სოროსს არ უნდა გავაგებინოთ?

თუ არ გვინდა, უცხოელს არასასურველი ნერილი მიუვიდეს საქართველოდან, კეთილი ინებოს იმ დაწესებულებამ, ვინც დააფუძნა ეს საზოგადოება, იმანვე გააუქმოს. ეს არ არის ჩემი ახირება, ამას მოითხოვს სამართლიანობა.

ეგებ მეტისმეტია, რაღაც უსამართლობას ჩავდივარ. უკან დავიხევ, ბოდიშს მოვიხდი, არაფერი გასაყოფი საზოგადოებასთან არ მაქვს, ოღონდ დამარწმუნონ, რომ ისინი სწორად მოიქცნენ.

ელენე ნაკაშიძემ მე ამაში ვერ დამარწმუნა. ავიჩემე ეს ელენე ნაკაშიძე! შესანიშნავი ქალბატონი, არაჩვეულებრივი გარეგნობის, ბრწყინვალე გვარის ადამიანი. ალბათ კარგი ოჯახის პატრონიც. ეგებ სულ არ არის დამნაშავე და მე ტყუილუბრალოდ ვატრიალებ მის ლამაზ სახელსა და გვარს. რა ვქნა, სხვას ვერავის დაველაპარაკე, თვითონ ელენე მაფრთხილებდა განუწყვეტლივ: „ეს ჩვენი საიდუმლოებაა“. ე. ი. მე არ უნდა დავლაპარაკებოდი არავის ამ საზოგადოებაში. როგორც დამნაშავე, ქურდი ჩუმად შევდიოდი საზოგადოების მისაღებში, მუნჯურად ვიჯექი ძვირადღირებულ სავარძლებში და ველოდებოდი ჩვენს კონსულტანტს თუ კოორდინატორს, ელენე ნაკაშიძეს. ახლა ვფიქრობ, ეგებ მართლა დავაშავე რამე, საზოგადოებას შემუშავებული, საკუთარი წესრიგი დავურღვიე, ალბათ ჩემდა უნებურად! ყველა მოთხოვნა შევასრულე, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ. ერთადერთი, რაშიც ელენე ნაკაშიძეს არ დავუჯერე, ეს იყო კომპიუტერის ყიდვის მოთხოვნა. თუ კონკურსში გავიმარჯვებდი, 5000 დოლარად ვყიდულობდი კომპიუტერს თავისი ყველა ატრიბუტით, დენის წყაროს ჩათვლით.

ელენე ნაკაშიძე კომპიუტერის ხსენებაზე ძალიან ღიზიანდებოდა, რად გინდა კომპიუტერი, სკოლას სხვა გასაჭირი არა აქვს? რა თქმა უნდა, გასაჭირი უამრავია! – ზამთრისათვის შეშა არა აქვს და სახურავიდან წყალი ჩამოდის, მაგრამ სოროსის გრანტს თუ მომცემდნენ, შეშა მეყიდა?

შორს ვიყურებოდი. სკოლისათვის ისეთი რამ უნდა მეყიდა, რასაც შემდეგში ვერასოდეს შეიძენდა.

ეს ტენდენცია ძირში აღმოსაფხვრელია, კომპიუტერი უსათუოდ თბილისის სკოლებს უნდა ჰქონდეთ, პროვინციებს ეყოფათ შეშა.

პატივცემულო „ღია საზოგადოებავ"! საქართველო მარტო თბილისი არ არის, წერაქვიც საქართველოა, წალკაც და ბოლნისიც.

ელენე ნაკაშიძეს კატეგორიულად რომ ეთქვა, კომპიუტერს თუ ახსენებ, გრანტს არ მოგცემთო, რაღა თქმა უნდა, უკან დავიხევდი.

ვერა, ვერ ამიხსნია, რატომ არ მისცეს წერაქვის სკოლას გრანტი. მირჩევნია გაუთვიცნობიერებლები, უცოდინრები იყვნენ ჩემი დამჩაგვრელები, ვიდრე სხვა რამ, უფრო საზარელი წარმოვიდგინო.

თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ და იმიტომ ვცხარობ: მე უსამართლოდ მოვითხოვე სოროსის გრანტი და აღმასრულებელმა საბჭომ სამართლიანად არ მომცა?

შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს იმის გამოც, რომ მრავალი კეთილშობილი პიროვნება, კრისტალური ადამიანი ჩავრიე ამ ბინძურ საქმეში. რა ვიცოდი, თუ ისეთი სათნოება, როგორიც ქველმოქმედებაა, საქართველოში სიბილწის ჭაობში იყო ჩაფლული. ბოდიშს ვიხდი ყველას წინაშე!

ეს წერილი იმისათვის არ დამიწერია, რომ გრანტი მაინცდამაინც წერაქვის სკოლამ მიიღოს. უნდა აღდგეს

სამართლიანობა: უცხოელთა მიერ მოცემული ყოველი კაპიკი დანიშნულებისამებრ უნდა განაწილდეს.

საქართველოს საბიუჯეტო კრიზისი კი არ კლავს, კლავს ზნეობრივი კრიზისი.

სხვათა მიერ მოცემული ფული ვერ გაგვიყვია, როგორც მშიერი მგლები, ნაპოვნ მძორს მივესევით, დავიტაცებთ და შინ მივარბენინებთ, მერე კი გაკვირვებულები ერთმანეთს ვეკითხებით – როგორ გამოვიდეთ კრიზისიდან. ვიწვევთ პარლამენტისა და მთავრობის სხდომებს, ვსახავთ გზებს კრიზისის დასაძლევად.

ეს კრიზისი საუკუნის კრიზისია, თითქმის დაუძლეველი, შეიძლება დროებით მართლა გამოვიდეთ კრიზისიდან, ცოტა ხანში კვლავ იფეთქებს, ვიდრე ისეთი საზოგადოება, როგორიც „ღია საზოგადოება – საქართველოა", თუნდაც ერთი იარსებებს საქართველოში".

ჩემ მიერ გაზეთში გამოქვეყნებული მღელვარებით აღსავსე წერილი წაუკითხავს ოთარ ჩხეიძეს, მოთათბირებია თავის შვილებს, დაურეკავს რედაქციაში და შეუტყობინებია, რომ ჩხეიძეების ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილებით, წერაქვის სკოლას იმ დროისათვის საუკეთესო კომპიუტერი ექნებოდა. გავიხარე, მადლიერების გრძნობას ვერ ვიტევდი გულში, სიტყვა „მადლობა" ვერ იტევდა იმ სიხარულს, რაც მათმა ამ პატრიოტულმა გადაწყვეტილებამ მომიტანა. ორიოდ კვირაში წერაქვში იშვიათი სტუმრები გვეწვივნენ სანატრელი საჩუქრით. კომპიუტერის გარდა, ჩხეიძეების ოჯახმა სკოლას წიგნები ჩამოუტანა. ამ მეგობრული და კარგი ადამიანური ჟესტით მათ სინათლე შემოიტანეს ჩემს საცოდავ სკოლაში. ჩხეიძეების ჩამოსვლითა და

მათი განუმეორებელი საჩუქრით წერაქვის სკოლისათვის ახალი სიცოცხლე დაიწყო.

სოფელ წერაქვში მუშაობისას საკმაოდ ბევრი რამ მაქვს ტკბილად მოსაგონარი, მათ შორის სკოლის გაზეთზე მუშაობა ჩემს მონაფეებთან ერთად. დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ვაკეთებდი მათი ჩანახატებისა თუ მოპოვებული მასალების რედაქტირებას, სკოლაში ჩხეიძეების მიერ ნაჩუქარ კომპიუტერზე ვანყობდით და გვქონდა ჩვენი პატარა ლიტერატურული წინსვლებიც. პედაგოგები და მოსწავლეები ერთად იყვნენ ჩაბმული გაზეთ „წყაროს“ გამოცემის პროცესში. მართალია, ჩემი არც ერთი მოსწავლისაგან მეცნიერი, პროფესორი არ გამოსულა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ჩემს აღსაზრდელებს საკმაოდ ბევრი რამ ვასწავლე.

აქვე ერთი კარგი ქართველი, თბილი ადამიანი მინდა გავიხსენო. ვინაიდან უკვე გამაჩნდა კომპიუტერი, მჭირდებოდა კომპიუტერის უბადლო მცოდნე, ადამიანი, რომელიც გარკვეულ კონსულტაციას გაგვიწევდა. რა თქმა უნდა, სკოლაში მყავდა ახალგაზრდები, მაგრამ მაინც სპეციალისტის მოყვანა ვამჯობინე, მივადექი გამომცემლობა „მერანს“ და ვთხოვე, თავიანთი კონსულტანტი კვირაში ერთი დღით დაეთმოთ ჩემთვის. თავი ვიმართლე, დიდ დროს არ წავართმევ, მცირე ხნით თქვენმა სპეციალისტმა იქნებ ჩემი სკოლისათვის მოიცალოს-თქო. არ დამზარდნენ, მომაკედლეს ყიფიანის გვარის კაცი. ლაღი, წრფელი, ზრდილი და თავშეკავებული ადამიანი, რომელთანაც ის მცირეხნიანი მუშაობა ნამდვილი სიამოვნება იყო. მისი ცოდნის გარდა, იუმორიც ძალიან წაგვადგა ბევრ რამეში. ერთ დღესაც აბეზარი ბავშვივით ჩავაცივდი, ხომ კარგი კომპიუტერი გვაქვს და ხომ კარგი კომპიუტერი გვაქვს-მეთქი, ჯერ

ღიმილიანი ეჭვით მიყურა, მერე კი ფრთხილად, ტაქტიანად მომახსენა:

– კი, ბატონო ნოდარ, ახლა რაც კი რამ არის, მათ შორის საუკეთესოა და რასაც თქვენ თანამოაზრეებთან ერთად აკეთებთ, მართლაც სამაგალითოა, თუმცა, არ მიწყინოთ, მაგრამ, უნდა გითხრათ: წარმოიდგინეთ, ბოინგი რომ დაუდოთ წერაქველებს შუა სოფელში, რაში გამოადგებათ? – ეს მკითხა და მცირე ხნით დუმილი ჩამონვა, თან ეღიმებოდა, მერე კი დააყოლა, – ბატონო ნოდარ, ეს თქვენი ნაქები წერაქველები დაშლიან იმ ბოინგს და ყანების შემოსაღობად გამოიყენებენ.

სამასწავლებლოში ყველას ძალდაუტანებელი სიცილი წაგვსკდა.

– მართალი ხარ, ალბათ, – ვუთხარი მე.

გულში კი ვიფიქრე, ეს ადამიანი კომპიუტერს გულისხმობდა თუ მე?!.

„ნერილი დამანერინე, რაღა“ და „რას იპარავ?!“

თავიდან, როცა ჩამოვედი, წერაქველები ჩემი ხშირი სტუმრები იყვნენ, მწერალი კაცი ხარ და საჩივარი დამინერეო. სათითაოდ ვუშვებდი მათ კატეგორიული უარით.

– მწერალი კაცი ხარ, რაღა, ბატონო ნოდარ, ერთი ნერილი რა იქნება, რომ დამანერინო.

– ვის უჩივი?

– ძმას.

– გამასწარი ახლა აქედან! დამეკარგე, მომშორდი, მეტი აღარაფერი მითხრა, არ მაინტერესებს.

სტუმარს „გამარჯობაშივე" ვატყობდი, რისთვის იყო ჩემთან ამოსული.

– მსგავსს არაფერს ვნერ! – მოვუჭრიდი ხოლმე სათქმელს. უარის მიღების მერე, ჭიშკარში გასვლისას ჩაიდუდღუნა ერთმა გლეხმა:

– შე როცა გინდა, კი კარგად ნერ მაგეებს.

ასეა. ზოგს წერილი საჩივრისაგან ვერ გაურჩევია, მწერალი „შპიონისაგან", ან კიდევ უკეთესი – ქურდისგან, მაგრამ ყოველივე ამას ღიმილით უნდა შეხვდეს შეგნებული ადამიანი და შეეცადოს, შემდეგი თაობა ოდნავ მაინც ნაკითხი გაიზარდოს, და სწორედ ამაში შეიტანოს თავისი წვლილი.

გვიან გაზაფხულზე, შემოდგომის პირას, წვიმიანი ამინდები თუ მიეწყო ერთმანეთს, ზაფხულშიც კი შეიძლება ჩუმი ნადირობის მოწყობა... თიბათვეს დავირაზმეთ მე, ირმა და თათია, შევეფინეთ მწვანედ აპრიალებულ ტყეს, დავლაშქრეთ ველ-მინდვრები. ნანვიმარზე ფერდობებზე ქოლგა სოკო მოყავისფრო წინწკლებით მოედება ხოლმე არემარეს. ეკრეფთ და თან ვმასლაათობთ.

– რას იპარავ?! – შემომესმა ერთი აქაურის ხმა.

– ჰაერს! – ვუპასუხე მე.

გასაოცარია შეკითხვა: არა „რას ეძებ?" ან „რას კრეფ?", არამედ „რას იპარავ", ჰოდა, რა მექნა, ვუპასუხე შესაბამისად.

მართალია, საჩივრების წერისგან თავს ვიკავებდი, მაგრამ თუ ვინმეს სადმე ჩემი სიტყვა წაადგებოდა, ჩემი იარაღის სასიკეთოდ გამოყენებაზე უარს არ ვეუბნებოდი – ქართული მადლიანი სიტყვა იყო მუდამ ჩემი იარაღი.

ერთი საზარელი შემთხვევა მინდა გავიხსენო, რომელმაც მთელი სოფელი შეძრა.

მარნეულის რაიონის გამგებელს
*ბატონ **გოჩა ლორიას***

სოფელ წერაქვის მოსახლეობა შეაძრწუნა მიმდინარე წლის 3 ივნისს მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ: 22 წლის ახალგაზრდა, სავალდებულო სამსახურიდან ახლადდაბრუნებული ილარიონ (ილო) მაისურაძე, გადმოვარდა საბარგო მანქანის ძარიდან და სასიკვდილოდ დაიმტვრა. ყმაწვილი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე წაიყვანეს თბილისში და წევს რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ექიმები მცირე იმედს იძლევიან, მესამე დღეა, ახალგაზრდა გონზე ვერ მოსულა. საჭიროა მრავალი ოპერაცია, რისი ღირებულების გადახდაც გლეხის ოჯახს არ შეუძლია.

სანათესაოში, სოფელში თითო ლარობით აგროვებენ ფულს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. სოფელ წერაქვში არ არის ერთი მდიდარი კაცი, ვისაც შეიძლება დიდძალი ფული ესესხო და ადამიანი გადაარჩინო.

ამიტომ მოგმართავთ უმორჩილესი თხოვნით: ეგებ დაგვეხმაროთ, ეგებ ვინმე გვიპოვოთ, ვინც დაგვეხმარება, ეგებ ასეთი შემთხვევისათვის რაიმე სახსარი გაგაჩნიათ. დაგვერწმუნეთ, უფრო საშინელი რამ წერაქვში არ მოხდება.

ამ წერილით მივადექით მარნეულის გამგეობას, შეძრწუნებული ამ საშინელი ამბით, მე და იმ ახალგაზრდის თანასოფლელები. გამგეობის იქით ჩვენთვის არავითარი სხვა ხსნა არ იყო. მინდა ხასგასმით აღვნიშნო მაშინდელი გამგეობის ადამიანური თანადგომა. გვითხრეს, ჩვენ, მართალია, თანხა არ გაგვაჩნია,

მაგრამ გაგიხერხებთ რამესო. შეაწრიალეს გუბერნია, მოიძებნა 10 000 ლარი ახალგაზრდა ყმაწვილის გადასარჩენად და მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ჟორიკო, ტრაქტორი, აქტები, შემთხვევა ოპერის თეატრში და დანამატი ხელფასზე

იმ პერიოდში, წერაქვში, ერთი ძველი ზვიადისტი ახალი გამოსული იყო ციხიდან. რაც კი რაიმე ტრანსპორტი დაიარებოდა, ყველაფრის მართვა შეეძლო. დატრიალდა ჟორიკო, მოიძია ძველი ნაცნობები, მე თავისთავად. მთელი სოფელი ჩაბმული იყო ამ საქმეში, მარნეულის ბეტონის ქარხნიდან შევიძინეთ საკმაოდ კარგი ტრაქტორი, რომელიც მომდევნო ხუთი წლიწადი, დაუღალავი ჟორა ჟუჟუნაშვილის წყალობით, ემსახურებოდა სკოლასა და სოფელს.

მთელი დღეები ტრაქტორი ტყე-ღრეში დაპქროდა და გამოპქონდა სოფლელებისა და სკოლისათვის შეშა. ხნავდა მიწებს. ვახერხებდით იმასაც, რომ ტრაქტორიც გამართულად ყოფილიყო და სკოლისთვის საჭირო რამ აუცილებლად შეგვეძინა.

სკოლის დირექტორობისას ჩემს მოსწავლეებს ნიგნისა და საწერკალმის ყიდვა არ ესაჭიროებოდათ. სპორტული დარბაზიც გვქონდა და ბურთიდან დაწყებული, საჭადრაკო დაფებით დამთავრებული, იმ დუხჭირ დროებაში მაინც არაფერი გვაკლდა.

ჩემს მერე ნებისმიერ ადამიანს გაუძნელდება ნერაქვის სკოლის დირექტორობა, რადგან სხვა ვერ შეძლებს ბავშვებსა და პედაგოგებს შეუქმნას ის პირობები, „ფუფუნება“, რასაც შევაჩვიე. არ ვიცი, რამდენად

გამომდიოდა, არადა, ძალიან მოწადინებული კი ვიყავი, ყველა ჩემ ირგვლივ მყოფი კმაყოფილი ყოფილიყო.

ეს არც ისე იოლია და ია-ვარდით მოფენილი გზა ნამდვილად არ გაგვივლია მე და ჩემს თანამშრომლებს წერაქვის სკოლის აღორძინების საქმეში, მაგრამ ცუდის გახსენება არ გამომდის და მცირედი კონფლიქტები, ასე მგონია, ხსენებადაც არ ღირს, ჩაიარა, მორჩა.

მინდა თბილი სიტყვებით გავიხსენო თენგიზი, კანცელარიის მიერ დანიშნული სამარშრუტოს უწყინარი მძღოლი. სწორედ ამ სამარშრუტოთი დაჰყავდათ პედაგოგები და ჩამოჰქონდათ ჩემთან თბილისური ამბები. ბატონი თენგიზი კარგახანს პატიოსნად გვემსახურა, მერე კი დიდი ბრძოლით მოვიპოვე სკოლისათვის ავტობუსი.

პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარი ფულიდან მოგვრჩა კიდეც მცირეოდენი და დასამახსოვრებელი ღონისძიებები ჩატარდა, ყოველ შემთხვევაში, მე ახლაც მახსოვს.

სახლში დღემდე შემონახული მაქვს ჩემი სკოლაში მუშაობისდროინდელი აქტებისა და ოქმების შავი პირები, რომელიც მშვენიერი ნყაროა ვითარებისა და მდგომარეობის დეტალური აღდგენისთვის.

აქტი

1999 წლის შობა-ახალი წლის საზეიმო შეხვედრისათვის პედსაბჭოს გადაწყვეტილებით ბავშვებისათვის გამოიყო პრეზიდენტის ნაჩუქარი ფულიდან თითო ბავშვზე 3 ლარი (50 ბავშვზე სულ 150 ლარი).

გაიცა შეფუთული კანფეტები, ნამცხვარი, ნაძვის ხის სათამაშოები, ნიღბები, კოკა-კოლა, ფანტა, ტორტი, კალათბურთის ბურთები (სულ 50 ლარი).

1999 წლის შობა-ახალი წლის საზეიმო შეხვედრისათვის დაიხარჯა სულ 200 ლარი.

სკოლის დირექტორი
ნოდარ წულეისკირი
1999 წლის იანვარი

სასაცილოდ არ ეყოფა ალბათ მკითხველს ეს მეწვრილმანეობა, მაგრამ მინდა მოგაგონოთ: ეს ის დროა, როდესაც პენსია ჯერ კიდევ 13 ლარია მხოლოდ და ხელფასები თვეობით იყინება.

კიდევ ერთ ასეთ აქტს გაგაცნობთ:

სკოლამ პრეზიდენტის ნაჩუქარი ფულიდან შეიძინა ფირები, დაბეჭდა 3 ფირი. მე-7 კლასელები ექსკურსიაზე წავიყვანეთ თბილისში. შეხვედრა გვქონდა ქალბატონ ნანა ალექსანდრიასთან. მისი ხელმძღვანელობით ბავშვებს მოუმზადეს საჩუქრები, ქალბატონმა ნანამ წერაქვის სკოლის მოსწავლეებთან ჭადრაკის თამაშიც მოისურვა, ბავშვებს დაათვალიერებინეს ოპერის თეატრი. სკოლამ ამ ღონისძიებისათვის და ფირების დაბეჭდვისათვის გამოყო 100 ლარი.

ამ აქტის მოყვანით არამარტო იმის ხაზგასმა მინდა, რომ ბავშვებს უნიკალური საშუალება მოეცათ, ნანა ალექსანდრიასთან ეთამაშათ ჭადრაკი, რითიც მთელი ცხოვრება შეუძლიან იამაყონ, არამედ ამ დღეს მომხდარი ერთი გაუგონარი ამბავიც მინდა მოვიგონო.

ოპერისა და ბალეტის თეატრში შესვლა წერაქველ ბავშვებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას რომ დატოვებდა, რა თქმა უნდა, წინასწარვე ვიცოდით, მაგრამ რაც მოხდა, ტრაგიკულია, ჩემი აზრით.

თეატრში რეპეტიცია მიმდინარეობდა, ბავშვები გაშტერებული თვალებით ათვალიერებდნენ ირგვლივ ყველაფერს და პირდაფჩენილები უსმენდნენ ქალბატონ ნანას. იმდენად თვალშისაცემი იყო წერაქვის სკოლის მოსწავლეების სოციალური პრობლემა, რომ ჩემი ირმა, რომელიც ბავშვებს ახლდა, თავს უხერხულადაც კი გრძნობდა პატარების საქციელის გამო. თუმცა სოფლელი ბავშვებისგან საზოგადოებაში ქცევის წესების არცოდნა მონაგონია იმასთან, რაც რამდენიმე წუთში მოხდა. ერთ-ერთი მოწაფე ბიჭუნა, მის ვინაობას განგებ არ დავასახელებ, ეცა უცებ სკამებს და მთელი ძალით დაუწყო ჯაჯგური.

– რას შვრები, თავს მჭრი?! – გაუწყრა ყმაწვილს ირმა.

– მასწ! მასწ! – თან გაიძახის, თან სკამებს ებღაუჭება ბავშვი. ირგვლივ მყოფთა შეშფოთება არაფრად ჩააგდო, ერთი სკამი რომ ვერ მოანჯღრია, სხვებს მისდგა, – ვერ გავიგე, რათ არი ე სკამები დაბმული?! – ახლა უკვე ისტერიულად, მთელი ძალით ეძიძგილავება და თან გაიძახის, – რათა?! რათა?! რათა?!

ხალხში გაწყრომას აზრი არ ჰქონდა, ირმამ დაუყვავა და უთხრა:

– ალბათ იმიტომ, რომ არ მოიპარონ.

როგორც კი ბიჭუნამ მისთვის გასაგები პასუხი მიიღო, გაყუჩდა და სკამებსაც შეეშვა.

ეს ეპიზოდი სამასწავლებლოში მსჯელობის საგნად იქცა. ბავშვს კი ავუხსენით, რომ ამგვარად საზოგადოებაში მოქცევა არ შეიძლება, მაგრამ გაიგო კი, ან როგორ გაიგო?! ისე, კაცმა რომ თქვას, რა ბავშვის ბრალია, ტყის იქით არაფერი უნახავს და ჩვენ ოპერისა და ბალეტის თეატრში წავაბრძანეთ. აქაც მე გამოვდივარ დამნაშავე! შეეშვი, სად მიგყავს, რომ მიგყავს, ვერ

ხედავს, ვერ აღიქვამს, ვერ იგებს, არ შეუძლია, რატომ? ეს საკმაოდ რთული საკითხია, ეს ბავშვიც ხომ ერთ-ერთი ჩემი აღსაზრდელთაგანია...

არადა, მაინც რას ერჩოდა იმ სკამებს?

პედსაბჭოზე ბევრი ვიმსჯელეთ, მაგრამ გამოსავალი ვერ ვიპოვეთ.

ერთხელ ისე მოხდა, რომ საახალწლოდ ხელფასი დააგვიანეს, რაც იმ დროისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ვინაიდან სკოლაში პრეზიდენტის ფონდი გვქონდა, გადავწყვიტე, მცირედით შევშველებოდი ჩემს თითოეულ თანამშრომელს. მახსოვს მათი მადლიერი სიტყვები და მოულოდნელი სიხარულით გასხივოსნებული სახეები.

29 თანამშრომელი მყავდა სკოლაში მაშინ ტექნიკური პერსონალის ჩათვლით, თითოეულს ვაჩუქე 20 დოლარი.

ჩემი გადაწყვეტილებით, მდიდრულად ვერა, მაგრამ პურის გარეშე მაინც არც ერთი მათგანი არ ყოფილა იმ ახალ წელს.

არ ვიცი, ეს შეიძლება თუ არა მიღწევად ჩაითვალოს: ხუთი თაობა ჩემი მოწაფეები მოეწყო უმაღლეს სასწავლებლებში. ზოგს ალბათ დღემდე ენატრება ის დრო, ზოგი, ვინ იცის, იქნებ მაძაგებს კიდეც – მე რაც შემეძლო, გავაკეთე.

რაც შეეხება ტრაქტორის ბედს, ჩემი სკოლიდან წამოსვლიდან რამდენიმე ხანში ტრაქტორი გაფუჭდა და მას შემდეგ ნერაქვის ერთ ფერდობზეა მიტოვებული და ჯართად ქცეული.

ბრძოლა ავტობუსისათვის

ტრანსპორტის მინისტრს ბატონ
მერაბ ადეიშვილს

ბატონო მინისტრო! მოგმართავთ მწერალი, წერაქვის სკოლის დირექტორი ნოდარ წულეისკირი.

თქვენ მიიღეთ ჩემი წერილი საქართველოს პრეზიდენტის რეზოლუციით. უფრო უკეთ, წერილი პრეზიდენტს ბატონ ედ. შევარდნაძეს მივწერე. მან ჩემი წერილი თქვენ და ბატონ ირ. ანდრიაძეს გამოგიგზავნათ შემდეგი რეზოლუციით „მ. ადეიშვილს დ. ძოწენიძეს: გთხოვთ განიხილოთ და აღმოუჩინოთ დახმარება ამ მეტად მნიშვნელოვან სკოლას, მაცნობეთ". იქვე მეორე რეზოლუციაა: ბატონ ანდრიაძეს: „სანამ გადაწყდება ავტობუსის გამოყოფის საკითხი, იქნებ მაინც რაიმე მოვუხერხოთ, რომ არ ჩაიშალოს სასწავლო პროცესი".

ბატონო მინისტრო, ეს რეზოლუციები ყურადღებით არ წაიკითხეთ? ჩემი წერილი რომ ყურადღებით არ წაგიკითხავთ, ეს ასე თუ ისე გასაგებია, მაგრამ პრეზიდენტის რეზოლუცია შეიძლება ყურადღებით არ წაიკითხოთ?

სანამ გადაწყდება ავტობუსის საკითხიო, – წერს პრეზიდენტი, ე. ი. თქვენგან ელოდა, რომ წერაქვის სკოლას გამოუყოფდით ავტობუსს, მანამდე ანდრიაძე უნდა დაგვხმარებოდა.

თქვენ რა გააკეთეთ? – დაავალეთ მძღოლებს, რომლებიც დადიან თბილისი-მარნეულის გეზით, გაეგრძელებინათ გზა წერაქვამდე და მასწავლებლები ეტარებინათ. კი, ბატონო! ეს არ არის ურიგო გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ჩვენ გვერჩია ჩვენი ავტობუსი. ეს აუცილებელია სკოლისათვის და სოფლისათვისაც. პრეზიდენტი შემთხვევით კი არ დაწერდა

ავტობუსის გამოყოფამდეო, იცის მან, რომ წერაქვი ვერ იარსებებს უტრანსპორტოდ.

კარგი, გამოგრჩათ ავტობუსი! ჩვენ მაინც მადლობას გიხდით, რომ მთლად უყურადღებოდ არ დაგვტოვეთ და მძღოლები გამოგვიგზავნეთ, მძღოლები კი გამოგვიგზავნეთ, მაგრამ რას და როდის აკეთებენ, როგორ ასრულებენ მძღოლები პრეზიდენტის დავალებას, ერთხელ მაინც არ უნდა იკითხოთ?

მაცნობეთო – პრეზიდენტი გწერთ. აცნობეთ?

წერაქვის სკოლაში ირაკლი ანდრიაძე მეუღლითურთ ჩამობრძანდა, როცა თავის დროზე მსგავსი დავალება მიიღო. ასევე სოფლის მეურნეობის ყოფილმა მინისტრმა ბაკურ გულუამ ამგვარი რეზოლუციებისა და დავალებების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი თხოვნის შედეგად პირველი მოადგილე ბატონი გვარჯალაძე გამოგზავნა წერაქვში არაერთგზის.

მათგან ყურადღება არ მოგვკლებია დღემდე.

თქვენ გამოგზავნეთ მძღოლი – ალექსანდრე ყუფარაშვილი და მთელი ეს საქმე ამით დაამთავრეთ. მძღოლს კი არ ვიწუნებ, ბატონ ალექსანდრეს საგანგებოდ ვუხდი მადლობას. მინისტრის დამოკიდებულებას საერთო ქართული საქმისადმი ვიწუნებ და განგაშს ვტეხ.

როცა ჩემთან ალექსანდრე ყუფარაშვილი და სხვა მძღოლებიც მოვიდნენ, მაჩვენეს ჩემი წერილი პრეზიდენტის ორი რეზოლუციით, თან საყვედურიც მოაყოლეს: ჩვენ კერძო პირები ვართ, საკუთარი ათიათასლარიანი მანქანებით დავდივართ და უფასოდ, თანაც ასეთ გზებზე როგორ გატაროთო. მართლებიც იყვნენ, მაგრამ მე მძღოლებისათვის არაფერი მითხოვია, ვთხოვე სახელმწიფოს მეთაურს – სახელწიფოს პრეზიდენტს, მანაც თავის მინისტრს – სახელმწიფოს მოხე-

ლეს დაავალა, იმიტომ, რომ ეს სახელმწიფო საქმეა და კერძო პირები – მძღოლები არაფერ შუაშია.

მე ვიცი, თქვენ მეტყვით: ყველაფერი პრივატიზებულია, სახელმწიფო საკუთრებაში არაფერი დარჩა და რა ვქნათო.

არ არის ასე. მე კარგად ვიცი, რა შეუძლია დღევანდელ საქართველოს და რა არა. შეუძლებელს პრეზიდენტს არაფერს ვთხოვდი. სხვათა შორის, ჩემს იმ წერილში, რომელიც თქვენ ყურადღებით არ წაგიკითხავთ, კონკრეტულად წერია ჩემი თხოვნა.

წერაქვის სკოლას და თვითონ სოფელს ავტობუსი აუცილებლად სჭირდება ფულის გასაკეთებლად, გასამდიდრებლად კი არა, საარსებოდ. სხვაგვარად წერაქვი აიყრება და სხვაგან წავა, რაც არ შეიძლება. ამიტომ მიმაჩნია ეს სახელმწიფო საქმედ, არა მარტო სკოლის საქმედ. თქვენ კიდევ, შესაძლოა უცოდინრობის გამო, შესაძლოა არ მიგინიჭებიათ პრეზიდენტის რეზოლუციისათვის ამდენი მნიშვნელობა, სახელმწიფო საქმე გააუბრალოეთ, მძღოლების გადასაწყვეტი გახადეთ. პრეზიდენტმა წერილი თქვენ გამოგიგზავნათ და არა მძღოლებს. თქვენდამი გამოგზავნილ წერილს მძღოლები რატომ დააფრიალებენ? მე, მწერალს, ვინც დაწერა ეს წერილი, ვისაც სისხლხორცეულად მაინტერესებდა, რა რეზოლუცია დაადო პრეზიდენტმა, არ მქონია პრეზიდენტის რეზოლუციანი წერილის წაკითხვის ბედნიერება, მძღოლებს კი მანქანაში, საჭის ზემოთ ედოთ და ავტოინსპექტორებს აჩვენებდნენ.

მე მათ თავიდანვე ვუთხარი, – თუ არ შეგიძლიათ პედაგოგების ტარება, არ დამაკარგვინოთ ის მანქანა, რომელიც აგრეთვე პრეზიდენტის განკარგულებით, უკვე კარგა ხანია ნესრიგიანად, პატიოსნად სკოლასაც და სოფელსაც გვემსახურება-მეთქი. მანქანა სკოლის

ნინ იდგა, მივიყვანე, ვაჩვენე, კანცელარიის კუთვნილი მანქანა იყო, ამგვარი რეზოლუციით ბატონ ირაკლი ანდრიაძის მიერ გამოგზავნილი.

დამაკარგვინეს ის მანქანა, რახან დაგვავალეს, ჩვენ მოგემსახურებითო. ძაღლუმადურად გვემსახურნენ ერთი-ორი თვე, ცივი უარი გამოგვიცხადეს: ცუდი გზებია, მგზავრები არ არიან, ჩვენ ნაგებაზე ვერ ვიმუშავებთო.

კიდევ კარგი, სოფლის დანგრეული ავტობუსი, რომელიც წერაქვსა და მარნეულს შორის ხანდახან დაღოლავს, შევინარჩუნეთ. თქვენი მძღოლები მოითხოვდნენ, იმასაც არ ემუშავა, რათა მოგება ენახათ, ვერ ნახავდნენ მოგებას, – წერაქვის გზა წამგებიანია, იმიტომ არის საჭირო სახელწიფო სტრუქტურების ჩარევა, თორემ თბილისსა და მარნეულს შორის, მარნეულსა და სადახლოს შორის მძღოლები იხვეწებიან, ფულს იხდიან მარშრუტისათვის.

შევინარჩუნეთ ის ავტობუსი, თორემ ახლა, თქვენი მძღოლების იმედით, რა უნდა გვექნა? – ვირის ტაჭკით უნდა ჩამოვსულიყავი თბილისში და ეს წერილი ჩამომეტანა. როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მძღოლების აუგი კი არ მინდა, მათ ჩვენ – წერაქვის სკოლის პედაგოგებს პატივი გვცეს, პრეზიდენტის ხათრით (ასე ამბობენ ყოველ შემთხვევაში!) იარეს ზაფხულის არდადაგების დაწყებამდე. წერაქვის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მადლობას უცხადებს მძღოლს – ფირმა „ტრანსქველის“ პრეზიდენტს ალექსანდრე ყუფარაშვილს, ვინც გაუკეთა ორგანიზაცია და მძღოლები აიძულა წერაქვში ევლოთ. მადლობას უცხადებს ყველა მძღოლს, ვინც მოგვემსახურა.

მძღოლი წერაქვის სკოლისათვის პედაგოგზე არანაკლები მნიშვნელობის პირია. თუ დილით თავის დროზე არ ჩამოვიდა სოფელში და თბილისიდან პედაგო-

გები არ ჩამოიყვანა, გაკვეთილები ცდება, სკოლა არ მუშაობს. წერაქვის სკოლაში სასწავლო პროცესს განაგებს არა დირექტორი, არა დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, არამედ – მძღოლი.

კანცელარიის მიკროავტობუსის მძღოლი, რომელიც ადრე გვემსახურებოდა, ჩვენი კოლექტივის ნომერ პირველი წევრი იყო. სამი წლის მანძილზე არც ერთი დაგვიანება-გაცდენა არ ჰქონია. ფაქტობრივად, წერაქვის სკოლის ყველა წარმატება მას უკავშირდება. ის ბუნებით კეთილშობილი პიროვნებაა. გარდა ამისა, მას აღმოაჩნდა მძღოლისათვის მეტად საჭირო თვისებებიც: მოხერხება, უშიშრობა, რისკი... ერთხელ, როცა კოლექტივის ხელფასი მოგვქონდა, უკეთურმა ადამიანებმა წერაქვის ტყიდან ცეცხლი გაგვიხსნეს. მიკროავტობუსს ავტომატის ჯერი მიაყარეს ჯერ წინ, მერე უკან (ალბათ შესაშინებლად!), ერთი ტყვია მოხვდა კიდეც ავტობუსს. მანქანა პედაგოგებითა და მათი შვილებით იყო სავსე. ასეთ საზარელ ვითარებაში ჩვენი მძღოლი არ დაიბნა, ყაჩაღებს მოაჩვენა, რომ მანქანას აჩერებდა, სვლა შეანელა, შეაწყვეტინა სროლა და... გაექცა. გადაარჩინა ბავშვები, მათი მშობლები და ხელფასიც. ამ ადამიანის სახელი და გვარი თენგიზ დათვებაშვილია. დღესაც მუშაობს კანცელარიის გარაჟში, ვითომც არაფერი, ჩვეულებრივი მძღოლია, რომელსაც ხანდახან ხელფასსაც კი არ აძლევენ.

განა ამის დავიწყება ვინმეს შეუძლია წერაქვში? მძღოლებისაგან, არც თქვენებისაგან და არც ჩვენი ძველი მეგობრისაგან – თენგიზ დათვებაშვილისაგან კარგის მეტი არაფერი გვახსოვს.

მცირე, უწყინარი, მორიდებული საყვედურით მოგმართავთ თქვენ, ბატონო მინისტრო, თქვენ შეგეძლოთ, თუ მონადინება და კეთილგანწყობა იქნებოდა, წერაქ-

ვის სკოლისათვის გამოგეყოთ ავტობუსი. ან თავიდანვე, პრეზიდენტისთვის გეთქვათ ცივი უარი და ასე ეშმაკურად (გაიძვერულად რომ არ ვთქვათ!) არ ჩამოგეშორებინეთ მეც და პრეზიდენტიც. ახლა რა ვქნა, სასწავლო წელი დაიწყო, წერაქვის სკოლაში სწავლა შეჩერებულია. კვლავ პრეზიდენტს მივადგე მუხლზე ჩოქვით? რა უნდა ვუთხრა: დაგასმინოთ? გიჩივლოთ? მინისტრმა არ შეასრულა თქვენი თხოვნა-მეთქი. ჩემთვის ამგვარი საქციელი და ამ წერილის დაწერაც სათაკილოა, მაგრამ იძულებული ვარ! ჩემსა და თქვენს თავმოყვარეობაზე, ღირსებაზე მაღლა ეროვნულ საქმეს ვაყენებ, მე ასე მგონია, წერაქვის საქმე ქართველი ერისათვის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანია. ამიტომ ვწერ ამ წერილს და ლაფის არ მეშინია. რომ არ დავწერო, არ შეიძლება, იმიტომ ვარ ამ სკოლის დირექტორი, რომ უნდა შევინარჩუნოთ აქ ქართული სკოლა. თქვენ, მინისტრმა, – სახელმწიფო მოღვაწემ, ალბათ სახელმწიფოებრივად მოაზროვნებმაც, უნდა იცოდეთ და, ალბათ იცით კიდეც, თუ სად არის სოფელი წერაქვი, რა მნიშვნელობა აქვს მას საქართველოსათვის, რა მნიშვნელობა აქვს ამ საცოდავ ორმოცბავშვიან ქართულ საშუალო სკოლას სოფლისთვის და ქვეყნისთვის. ეს არ არის ჩვეულებრივი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, ამ სკოლას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მთელი ამ მხარისათვის – ქვემო ქართლისათვის. მკითხველს გაუკვირდება, თქვენც ალბათ გუნებაში გეცინებათ, მაგრამ ეს ასეა!

მარნეულიდან სადახლოს გზას რომ დაადგებით, შაუმიანის გადასახვევიდან სომხეთის საზღვრამდე მრავალი სომხურ-აზერბაიჯანული სოფლისა და დაბის გავლით წერაქვი არის ერთადერთი ძველი საქართველოს პირველი სადროშო – საბარათიანო დაპყრობ-

ილი მტრულადაც და ძმურადაც. ქართველთა კვალი მხოლოდ აქ, წერაქვშია. აქამდე ყველაფერი უცხოა, სხვაა – „არ იზრახება ქართული" ან ჩამოსახლებული სოფლებია ძალიან სუსტი ქართული სულით, ან გაუცხოებულია: შეაველს – შულავერი ქვია, ნაღვარევს – შაუმიანი, თეთრ ციხეს – ახკულა და ა. შ.

წერაქვი არის ცოცხალი საბუთი, რომ ეს მხარე ოდესღაც საქართველო იყო, აქამდე, სომხეთის საზღვრამდე, ხუჯაბის ჩათვლით, ქართველები ცხოვრობდნენ.

ქართველთა გვარები, ძველი გვარები: ბარათაშვილ-მელიქიშვილ-ადამაშვილები დღეს მხოლოდ სასაფლაოს ქვებზეა და ეს ქვებიც აქვე ყრია.

აქ თუ ქართული სკოლა გაუქმდება, სოფელი აიყრება, როგორც არაერთგზის აიყარა და ეს უკანასკნელი ქართული თავშესაფარიც გაქრება. თუ მასწავლებლებს თბილისიდან ვერ ჩამოვიყვანთ, აქ ადგილობრივი კადრი არ არის და სკოლაც დაიხურება.

აი, რა მნიშვნელობა აქვს იმ ავტობუსს, რომელიც პრეზიდენტის რეზოლუციაშია ნახსენები და რასაც თქვენ ყურადღება არ მიაქციეთ.

თავის დროზე ამ სკოლამ აღადგინა წერაქვი (სხვათა შორის, არაერთგზის!). პირველად 1919 წელს იოსებ იმედაშვილმა გახსნა აქ ორკლასიანი სასწავლებელი და თითქმის გადაგვარებულ, ბაიათების მომღერალ სოფელს ქართული სული ჩაბერა. შემდეგ კომუნისტების ხანა დადგა, პირველ ხანებში, ე. წ. სტალინურ ეპოქაში ჰყვაოდა წერაქვის სკოლა და სოფელიც ღონიერი იყო. შემდეგ ნელ-ნელა დაიმცრო ქართული სკოლის მნიშვნელობა, ბოლოს სულ დაიხურა. დაიხურა და სოფელიც აიყარა, ქალაქებს მიაშურეს. ისტორიული სოფელი გავერანდა. სწორედ მაშინ, სოფლის ყოფნა-

არყოფნის კრიტიკულ ზღვარზე, გაიხსნა აქ ქართული სკოლა ოთხი ბავშვისთვის. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე იყო. ამაში მრავალი პატრიოტი კომუნისტი და არაკომუნისტი მონაწილეობდა. მათ გვარებს აქ ვერ ჩამოვთვლი, რადგან ეს სხვა თემაა, მაგრამ ეს ისტორიაა და ამას არავინ დაივიწყებს.

ბოლოს ხელისუფლებამ წერაქვში სვანებიც ჩამოასახლა და ძველი საქართველოს ერთი კუთხე მკვდრეთით აღსდგა.

წერაქვმა ორი დიდი მოღვაწე მისცა საქართველოს – მიხეილ ჯავახიშვილი და იოსებ იმედაშვილი. წერაქვს ახლახან ჟურნალისტმა ე. ჩაბრაძემ „ქართული ოაზისი“ უნოდა. წერაქვში ჩამობრძანდა ჯერ პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი ნ. შევარდნაძე და შემდეგ თვითონ პრეზიდენტი და მთელი თბილისი; მწერლები, მეცნიერები, თეატრისა და კინოს მუშაკები. სად, რომელ სკოლას აქცევენ ასე ყურადღებას?! – ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, სკოლის ისტორიაც იმიტომ გავიხსენე – წერაქვის სკოლის დახურვა არ შეიძლება. თქვენ, როგორც ჩანს, ამ რეზოლუციის შინაარსი ვერ გაიგეთ, თორემ ასე სასხვათაშორისოდ არ მიაგდებდით ამ საქმეს.

მე და თქვენ (მე მწერალს, თქვენ – მინისტრს) სულ არ უნდა გვჭირდებოდეს პრეზიდენტის თხოვნა-განკარგულება. პრეზიდენტს სკოლის საკითხებით არ უნდა ვაწუხებდეთ. ერთხელ უკვე ვახსენე ბაკურ გულუა, მას არ დასჭირვებია პრეზიდენტის რეზოლუციანი წერილი, რაც შეეძლო, გაუკეთა წერაქვის სკოლას ვაჟკაცურად, პატიოსნად. არ გამჭირვებია მასთან საუბარი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩემთვის ყოველთვის ღია იყო. ბაკურ გულუა მოწოდებით არის სახელმწიფო მოღვაწე.

რაც მე წერაქვში სკოლის დირექტორი ვარ, პრეზიდენტი მოწადინებულია, დაგვეხმაროს, მისი ყურადღე-

ბა არ გვაკლია, ჩემდა გასაოცრად, პრობლემები როგორც წესი, გვიჩნდება ქვეშევრდომებთან, მოხელეებთან – არ სრულდება მისი განკარგულება. ან სრულდება ნანილობრივად, ნახევრად, ნელ-ნელა, ისე, რომ სულს ამოგხდიან, მათხოვრად გაქცევენ. კერძოდ, როგორც თქვენ შეასრულეთ!

ვთქვათ, გადადგა შევარდნაძე, გადადგა ანდრიაძე, დავრჩით მე და თქვენ ქვეყანაზე, წერაქვის სკოლა უნდა დავხუროთ? თუ ეს დახურვა დამოკიდებულია უშუალოდ თქვენზე, ქართველ მინისტრზე?

არ შეიძლება ქართველ მინისტრს, ან რომელიმე სახელმწიფო მოხელეს ამერიკა უყვარდეს და არ უყვარდეს თავისი გაუბედურებული სოფლები: წერაქვი, მათხოჯი, ხიდისთავი... და ა. შ.

ვინც ნამდვილი ქართველია, აღზრდილია „ვეფხისტყაოსნის“ იდეალებზე, გინდ რიგითი მოქალაქე იყოს, გინდ დღევანდელი ბიზნესმენი, გინდ სახელმწიფო მოხელე, საქვეყნო საქმეს, თავის წილ საქმეს, ყოველთვის პატიოსნად გააკეთებს. განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მე ვიცნობდი ერთ ასეთ სახელმწიფო მოხელეს, ვინც, ჩემი თვალსაზრისით, ნიმუში იყო სახელმწიფო მოღვაწეობისას. ეს ადამიანი გახლავთ რამაზ ნიკოლაძე – სახელმწიფო კანცელარიის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი. ვიდრე ბატონი რამაზი ცოცხალი იყო, წერაქვის სკოლას ტრანსპორტის, საწვავის გასაჭირი არ ჰქონია. ისიც ხელმძღვანელობდა, რა თქმა უნდა, რეზოლუციებით, მაგრამ შემსრულებელი იყო კარგი, რაც მთავარია, პატიოსანი.

რატომ ადგას დღეს წერაქვის სკოლას გასაჭირი და რატომ იწერება ეს წერილი? შევარდნაძე არ შეცვლილა, ანდრიაძე არ შეცვლილა.

რა შეიცვალა, რატომ ჩამოგვართვეს ის მიკროავტობუსი, რომელიც გვქონდა და თქვენთან სახვეწრად რატომ გაგვიხდა საქმე? შეიცვალა რამაზ ნიკოლაძე, მოვიდა ახალი სამმართველოს უფროსი. აუგს მასზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ სხვა კაცი მოვიდა, უფრო პრაქტიკულად მოაზროვნე. ზედმეტი ხარჯი წერაქვისათვის ვერ გაიმეტა და ბატონი ირაკლი ანდრიაძე აიძულა, მოეშორებინა წერაქვის „ტვირთი". თქვენზე მიდგა ჯერი, თქვენც ოსტატურად „შეასრულეთ" პრეზიდენტის „განკარგულება" და ყველამ ერთად წერაქვის სკოლა მშრალზე დატოვეთ.

როცა ბატონი რამაზი გარდაიცვალა, მაშინვე ვიცოდით, რომ ასე მოხდებოდა. ამით განსხვავდებოდა რამაზ ნიკოლაძე ყველასაგან, მას დიდი თანამდებობა ეკავა, თანაც ტრანსპორტს განაგებდა, ვინ უნდა ყოფილიყო დღევანდელი გაგებით? როცა მის ცხედართან გამოსამშვიდობებლად მივედით და ოროთახიანი ვიწრო დერეფნიანი ბინიდან სიდუხჭირემ შემოგვანათა, როგორც რამაზ ნიკოლაძის სახალხო ჯილდომ, საზოგადოება გაოგნდა, თითქმის დაუჯერებელი იყო! მხოლოდ მაშინ მივხვდით, ვინც იყო იგი!

ასეთი ადამიანი საუკუნეში ერთხელ იბადება. აი, ეს შეიცვალა. წავიდა რამაზ ნიკოლაძე და წავიდა წერაქვის სკოლის საქმეც.

ასეა, მარტო პრეზიდენტის კეთილგანწყობა, მოწადინებაც კი არაფერს შეცვლის, თუ შემსრულებლები არა ჰყავს კარგი.

ბატონო მინისტრო! წერილით მოგმართავთ საჯაროდ, პრესით, რადგანაც აქ აღძრულ საკითხებს საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, თქვენთან შეხვედრა და საუბარი თითქმის შეუძლებელია. ერთხელ მქონდა მცდელობა თქვენს სამინისტრო-

ში მოვსულიყავი და როგორმე თქვენამდე მომეღწია, მაგრამ ამაოდ. ამიტომ იძულებული გავხდი, პრესისათვის მიმემართა.

* * *

ავტობუსის მოსაპოვებლად თბილისის მერთან – ვანო ზოდელავასთან მისვლა დამჭირდა. მივადექით მერიას მე და ჟორიკო ჟუჟუნაშვილი. როდესაც მერის კაბინეტამდე მივედით და ვიკითხე, მერს შეეძლო თუ არა მიღება, ერთმა მოხელემ მიცნო:

– ერთი წუთით, ბატონო ნოდარ, – მითხრა, მერე დააყოლა: – მერი თათბირს მართავსო.

– დაველოდებით, – ვუპასუხე მე.

რამდენიმე წუთში მობრუნდა. მერს თურმე თათბირი დაუშლია. შევწუხდი, მაგრამ ვერაფერი ვთქვი. შეგვიძღვნენ მერის კაბინეტში, ბატონი ზოდელავა ძალიან თბილად დაგვხვდა, თავად წამოგვყვა, სამი სავარაუდო ავტობუსი ჰქონდათ საჩვენოდ, საუკეთესო ჩვენ მოგვცეს და ასე გამარჯვებული დავბრუნდით ავტობუსით წერაქვში.

სოფლის დედაკაცები და UNICEF-ი

გამთენიისას ჩავიარე სოფლის გაჩერებამდე კილომეტრ-ნახევარი ფეხით. 8 საათი წერაქვის ავტობუსის გასვლის დროა. ავტობუსის მძღოლს წერაქვიდან მარნეულამდე FedExpress-ს ფუნქციები აქვს შეთავსებული, მას აბარებენ და ატანენ ყოველგვარ ბარგს, ყველაფერს, რაც ესაჭიროებათ. რაღას აღარ აბარებენ: მის სიაში მოხვედრილა წამალი, პამპერსი, მწვანილი და პროტეზიც კი.

ვზივარ ავტობუსში და ჩემი ფიქრები დასტრიალებს სკოლას. მადლიანი Unicef-ი ყოველგვარი საკანცელარიო ნივთით გვამარაგებდა უკვე მერამდენე წელია, იქნებ წელსაც გამოიჩინონ გულისხმიერება. მოსნავლეს უამრავი რამ ესაჭიროება სახელმძღვანელოების გარდა – რვეული, კალამი, ფანქრები, ფერადი ქაღალდები, გასაფერადებლები, საკლასო ოთახებში საჭიროა ცარცი და სხვა ათასი წვრილმანი, საზრუნავი, რომელიც ჩემი უთავბოლო მათხოვრობის წყალობით მოშორებული ჰქონდა მშობელს. სახელმძღვანელოებს გამომცემლობებს ვთხოვდი. გამომცემლობა „განათლების“ დირექტორის – ლუკა ხუნდაძის მრავალწლიანი ქველმოქმედება ჩემს ინსულტიან თავს დღემდე ახსოვს. ჩემს მეხსიერებას ასევე შემორჩა კახმეგ კუდავას მიერ ერთ წელს, სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ გადმოცემით წერაქვის სკოლისათვის გაწეული კეთილი სამსახური.

ვარ გართული ჩემს ფიქრებში, ვგეგმავ, ამ ღვთისნიერ ხალხს რა სიტყვებით შევხვდე, რომ ჩემს ნალოლიავებ სკოლას ზურგი წელსაც არ შეაქციონ.

– ოხრად დაურჩეს მაგასა, ეგ მინისწილი, ეგა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ შემოიჭრა თავში ფრაზები, ავტობუსის ჯაყჯაყსა და ბღუილში ჩემ წინ სოფლელი ორი დედაკაცი ცხარედ განიხილავდა რაღაცას თუ ვიღაცას.

– ეგ ამოსაგდები, აბა, ეგ როგორა თქვა, ქალო, ჰაა?!

– მაგას თავი ვინა ჰგონია?!

გავარკვიე ნაფეთ-ნაფლეთ ფრაზებში, რომ ავტობუსის ბოლო რიგში მყოფ გოგოს ქოქოლას აყრიდნენ დედაკაცები. ლანძღეს და არ დაიღალნენ, მთელი გზა, საათ-ნახევარი ჩემს ფიქრებში პერიოდულად შემოი-

ჭრებოდა ავტობუსის ბღუილის მიერ ვერდახშული სიტყვები.

– ეგ მართლა ჩათლახი და გათახსირებული ყოფილა, როგორ არა რცხვენიან?!

გადაერთო ჩემი გონება და მათი საუბრიდან სიტყვა „რცხვენიან" დაიჭირა. ვერ მოვასწარი ფიქრებში გამერჩია და გამეანალიზებინა ეს „რცხვენიან" ფორმაა, მალევე შეცდომიანი ქართულის უნიკალური ნიმუშები შემომესმა.

– არა, ქალო, მე მაინც უნდა ამოვიდოდი და...

– იმ წინებზე შეშას მოვქონდი და ეგა ჩემი დასაფსობი თვალებით ვნავხე, ხის ძირას ჩახუტებული არ იყო იმასთანა, ეგ ნაჩათლახარი, ეგა.

– რას ამბობ, ქალოჯან.

– ჰო, აბა, მართალს ვამბობ.

გონება დამეღალა და მათ შეცდომიანი ქართულზე ფიქრს შევეშვი, ამასობაში მარნეულს მივადექით.

უკანა რიგში მჯდომი გოგონა წამოდგა, მისი ჩამოსვლის დრო იყო. გოგონამ ავტობუსის მძღოლს ფული გადაუხადა.

– კარგად იყავით, ძალო, – უთხრა საათ-ნახევრიანი ნაქოთქოთარით გადაქანცულ ორ დედაკაცთაგან ერთს.

– კარქა იყავი, შვილო, – მიეალერსა ისიც.

ნახევარი, რაც მესმოდა, წყევლით ეს გოგო მინაში ჩადეს, დამარხეს, მინა ზედ მოაყარეს და ფეხით კარგადაც გატკეპნეს, ვითომც არაფერი.

– ოჯახში ხო ხართ კარქა? – უფრო დათბა ძალო.

– კი, მადლობა.

– კარქა იყავით, შვილო, კარქა.

იღბლიანი დღე აღმოჩნდა ჩემთვის, Unicef-ი თბილადაც დამხვდა, საკანცელარიო ნივთებითაც მომამარაგა და მომავალშიც შემპირდა დახმარებას.

კმაყოფილი ვბრუნდებოდი წერაქვში, მარნეულის გაჩერებაზე კი გენიალურ სცენას შევესწარი: მართალია ჟორას, ავტობუსის მძღოლს ყველაფერს აბარებდნენ, მაგრამ მსგავსი მგონი პირველად მოხდა.

– ჟორა ძია ხარ, ხო? – მიადგა მძღოლს ყმანვილი.

– კი, რა არი რო?

– აი, ეს კბილებია, პროტეზია, რა, და სიონამდე გზაში დაგხვდებიან და მიე.

– ჰო, კაი, – თქვა ჟორიკომ და პროტეზი ავტობუსში, საჭის ზემოთ დადო. დაიძრა ავტობუსი, ახრიალდა ძრავა, გავუყევით გზას.

პროტეზს სიონამდე არავინ დახვედრია. სიონში მძღოლმა გაჩერებაზე სოფლის კაცებს გასძახა:

– ბიჭო, პროტეზი დამიტოვეს და პატრონი არ გამოჩენილა. არავინ არ დამხვდა, გაიკითხეთ ერთი აბა, ქვემოთკენ პროტეზს ელოდა ვინმე? დილაზე რომ ჩამოვივლი, დამხვდეს.

შინ გულდამშვიდებული მივედი და კარგი ამბავი მივიტანე – წელსაც რვეულები და სხვა ათასი წვრილმანი უსასყიდლოდ ექნებოდა წერაქვის სკოლას.

რამდენიმე ხნის მერე პროტეზის ამბავი ვიკითხე. დიდხანს უტარებია ჟორას ვილაცის პროტეზი აღმადაღმა, პატრონი არ გამოუჩნდა და გადაუგდია მერე, თურმე.

მაღლიერებით

ჩვენი სკოლა, დაუჯერებელია, მაგრამ დღეს ერთ-ერთი საუკეთესოდ მოვლილი სკოლაა რაიონში, შეიძლება ქვეყანაშიც. ეს პრეზიდენტის სამსახურის დამსახურებაა.

წერაქველებს ახსოვთ ირაკლი ანდრიაძის ჩამობრძანება, რასაც მრავალი სასიკეთო რამ მოჰყვა სკოლისათვის.

ახლახან ჩვენთან მეორედ ჩამობრძანდნენ საერთაშორისო საზოგადოების „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", წარმომადგენლები.

საზოგადოება შეფობას უნევს ჩვენს სკოლას. მათ სტუმრობას მოჰყვა უფასო წიგნები, რვეულები, ათასი წვრილმანი.

ქვემო ქართლში ქართული ენის სწავლების გაძლიერების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის ცნობილი და დღეს უკვე პოპულარული ბრძანებულების შესაბამისად, პედაგოგები დამატებით ხელფასს ვღებულობთ, გვემსახურება მცირე ავტობუსი, გვყავს სოროსის გრანტის მფლობელი პედაგოგები.

ყველაფერი ეს და სხვაც მრავალი ჩვენ დავიმსახურეთ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგული სამსახურის გამო.

პედაგოგიური კოლექტივის, მოსწავლეების, სკოლის ყველა თანამშრომლის სახელით, მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც კი ოდესმე დაგვხმარებია წერაქვის სკოლის ფეხზე დაყენების საკითხში.

უამრავი პიროვნება ამოგვიდგა მხარში. კობა იმედაშვილის წყალობით სოროსის გრანტი დაენიშნა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებლებს.

განსაკუთრებით დიდი მადლიერების გრძნობა დაგვეუფლა, როცა ქვემო ქართლის სამხარეო ხელმძღვანელობის – ლევან მამალაძის, შოთა მაისაშვილის და დავით გეგელაშვილის ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღების შედეგად, მივიღეთ პრეზიდენტის მიერ გამო-

ყოფილი დამატებითი ხელფასი ქართული ენის სწავლების გასაძლიერებლად.

თუ ასე გაგრძელდა, თუ არ შეფერხდა კარგად წამოწყებული საქმე, შედეგიც არ დააყოვნებს.

როგორ სრულდება ქართული ენის პროგრამა წერაქვის საშუალო სკოლაში

პირველი, რაც წერაქვის სკოლაში გავაკეთეთ, ჩამოვაყალიბეთ ლიტერატურული წრე, გავაერთიანეთ ის მოსწავლეები, რომელთაც, ასე თუ ისე, შეეძლოთ წერა.

შემდეგ თანდათან განვავითარეთ, გავაფართოვეთ და თითქმის ყველა მოსწავლე ჩაერთო.

ლიტერატურულმა წრემ გამოუშვა გაზეთი „წყარო". ეს იყო ნაბეჭდი გაზეთი, დავბეჭდეთ თბილისში და მოსწავლეებმა მთელ სოფელში გაავრცელეს, რა თქმა უნდა, უფასოდ.

გამოვუშვით მხოლოდ ერთი ნომერი, უსახსრობის გამო გამოცემა ვერ გავაგრძელეთ.

დავდგით სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი" (ვაჟა-ფშაველას მიხედვით), რასაც დიდი მონონება ხვდა, აჩვენეს მარნეულში, დაესწრო გამგებელი, ადგილობრივი ინტელიგენცია (დამდგმელი ქართულის მასწავლებელი – მარლენ ბესტავაშვილი).

შემოვიღეთ „ვეფხისტყაოსნის" გაძლიერებული სწავლება. ზაფხულის არდადაგებზე ჩემთან შინ დადიოდნენ მოსწავლეები, ყოველ ეპიზოდს არჩევდნენ, ვუკოლ ბერიძის კომენტარებით ხსნიდნენ.

ასევე დიდ ყურადღებას ვუთმობდით ძველ ქართულს, ბავშვებმა იცოდნენ ძველი ქართული ანბანი, გაძლიერებულად ე. ი. მასწავლებლების უშუალო

ზედამხედველობით, გაკვეთილზეც და გაკვეთილის შემდეგაც ვასწავლით ტექსტებს.

ერთმა წერაქველმა მოსწავლემ ქეთევან ჟუჟუნაშვილმა „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"... მარნეულშიც კი წაიკითხა.

ქართული ენის დღე – 14 აპრილი, ასევე ეროვნული მნიშვნელობის დღეები წერაქვის სკოლაში ყოველთვის განსაკუთრებით აღინიშნებოდა.

მასწავლებლების უსაქციელობა

ერთ დღესაც ჩემი სკოლის მამაკაც პედაგოგებს გაკვეთილების შემდეგ ჩუმად დაულევიათ სკოლის ერთ-ერთ კაბინეტში, ლაყლაყით ჩამჯდარან ჟორიკოს ავტობუსში (უფრო სწორად, სკოლის ავტობუსში, მაგრამ ნლების მანძილზე ჟორიკოს ავტობუსი ერქვა), შემთვრალები აშარებიან მძღოლს, გამწარებულა ჟორა, გაუჩერებია მანქანა, ჩემი ნაქები პედაგოგები ავტობუსიდან სათითაოდ ჩამოუყრია წერაქვის შემდგომი სოფლის – სიონის გაჩერებაზე და მშვიდად გაუგრძელებია გზა.

ჟორიკო მასწავლებლებმა ჩემთან დააბეზღეს, დავიბარე სამასწავლებლოში ჩემი მძღოლი და ვკითხე, თუ რა ხდებოდა.

პედაგოგები რატომღაც საზეიმო სახეებით იდგნენ, ეტყობა, ელოდნენ, რომ ჟორას დავსჯიდი.

– ბატონო ნოდარ, მე მძღოლი ვარ. ან მე რად მღუპავენ, ან იმ ხალხს რას მაღუპინებენ, მე რომ მაბარია მთელი გზა. მე მათზე პასუხს ვაგებ. მე გზას ვუყურო თუ მათი უაზრო ლანძღვა-გინება ვისმინო და ვიგერიო. სასმელმა თუ მაგათ გონება აურია, მე ვიყავი ფხიზე-

ლი. იქა ქალები იყვნენ, ეგენი კიდევა მრავალსართუ-ლიან გინებებს ისროდნენ. ერთხელ ვუთხარი, ორჯერა, წესიერად ილაპარაკეთ, მასწავლებლები ხართ და მეც ხელს ნუ მიშლით, მარა გაიგეს რო? არ მამისმინეს, ჰოდა, სიონის სკოლასთან ჩამოვაბრძანე. მამიშალეს ნერვები. – მომახსენა ჟორიკომ.

გადავხედე ჩემს პედაგოგებს, მერე კი მძღოლს მი-ვუბრუნდი.

– კარგი გიქნია, ჟორიკო, თუ რაიმე მსგავსი გაიმეორეს, მე ნებას გაძლევ, სადაც გაგიხარდება, იქ ჩამოსვა.

სამასწავლებლოში ჩამოსული და სხვა ადგილობრი-ვი ქალბატონი პედაგოგების სიცილი ატყდა. დაიბნენ „დამნაშავენი".

– რა გაგიკვირდათ ამისთანა? არ იცით, რომ მას-წავლებლების უსაქციელობა ჩემს სკოლაში არ შეიძლე-ბა?

დიდხანს მიყურეს ხბოს თვალებით, დამუნჯდნენ, მე კი მეღიმებოდა. აი, ამგვარი ეპიზოდიც იყო წერაქ-ვის სკოლაში.

სოფიო გრიგალაშვილი

ერთი ჩემი ახლობლის ქალიშვილს, რომელიც ამერი-კიდან ჩამოვიდა, უმაღლესში სწავლის გასაგრძელე-ბლად ატესტატი ესაჭიროებოდა. ვიფიქრე, ჩემთან თუ ისწავლიდა, სკოლისათვის სახელიც იქნებოდა და ბავშ-ვისათვისაც გარკვეული შეღავათი. შევთავაზე მის მშო-ბლებს, გოგონას წერაქვის სკოლაში ევლო, გამოყო-ლოდა კვირაში სამჯერ კანცელარიის მიერ დანიშნულ სამარშრუტოს პედაგოგებთან ერთად და სკოლის მას-

წავლებლები ყოველმხრივ შეუწყობდნენ ხელს. მშობლებიც და ბავშვიც იოლად დავიყოლიე: ასე და ამგვარად, მე-11 კლასის მოსწავლედ პირდაპირ ამერიკიდან წერაქვის სკოლას მოევლიანა სოფიო გრიგალაშვილი. მან დაამთავრა წერაქვის საშუალო სკოლა და დღესდღეობით შესანიშნავი მსახიობია – ხან ერთი სპექტაკლის ფრაგმენტში ვნახე საინფორმაციოს მეშვეობით, ხანაც კი არაერთ ცნობილ სერიალში მოვკარი თვალი.

ჰოუ!

მყავდა ერთი მოსწავლე – ვასო ბოსტოლანაშვილი. მამა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებდა ფიზიკური სამუშაოს შესრულებას, და ვასოს და მის უმცროს ძმას ვალერის ოჯახში ლუკმაპურის შესატანად უწევდათ შეშის მანქანებს ტყეში სამუშაოდ გაჰყოლოდნენ.

ვალერი უნიჭიერესი ბიჭუნა იყო, ანა კალანდაძის პოეზიის მოყვარული. სამწუხაროდ, მკითხველმა არ იცის რა ჯაფა ადგათ ხოლმე ბავშვებს სოფელში, მე კი თითოეული მათგანის მდგომარეობა ვიცოდი, ამიტომაც ვიძრობდი ცხრაპირ ტყავს, მათთვის და მათი მონაგარისათვის უკეთესი მომავალი მინდოდა მომეპოვებინა.

ვინაიდან ვასო უფროსი ვაჟი იყო, მას აწვა ოჯახის ტვირთი, ბავშვი გაკვეთილების მერე სულ ტყეში ატარებდა დროს და ტყემ იმისთანა რამეს შეაჩვია, სულ ვცდილობდი გადამეჩვევინებინა. ყოველთვის, როდესაც სკოლიდან ვბრუნდებოდი ჩემს მოსწავლეებთან ერთად:

– ვასო, – დავუძახებდი მას მოულოდნელად, ყმაწვილი კი ინსტინქტურად მპასუხობდა:

– ჰოუ!

– ბიჭო, როცა გეძახიან, „ჰოუთი“ კი არ უნდა გასცე პასუხი, უნდა თქვა „ბატონო“. რა უნდა თქვა?

– ბატონო! – მპასუხობდა დარცხვენილი ვასო.

სკოლიდან სახლისაკენ ერთი გზა გვქონდა გასავლელი, არ ვეშვებოდი ვასიკოს, გამუდმებით ვეძახდი, ის კი:

– ჰოუ! – მპასუხობდა და მეც გაუთავებლად ერთსა და იმავეს ვუმეორებდი.

ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიე ჩემსას.

– ვასო! – გავძახებდი მოსწავლეს.

– ბატონო! – მპასუხობდა სახეანითლებული.

„კვაჭი კვაჭანტირაძე“, სიონელი ბავშვები და ჩვენი ძალებით გამართული კიდევ ერთი ჯავახიშვილობა

ჩემი დაუღალავი ირმა წერაქვის სკოლის გარდა, ქვემო სოფელ სიონშიც დადიოდა და იქაურ ბავშვებსაც ასწავლიდა ინგლისურს. იმავე პერიოდში ორიოდე წელი ერთ იქაურსაც ქალბატონსაც ამზადებდა, რათა მასაც შეძლებოდა ბავშვების სწავლება და სკოლა ინგლისური ენის მასწავლებლის გარეშე არ დარჩენილიყო.

ამას გარდა, ირმა მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის დირექტორიც იყო. მუზეუმს მაშინ ექსკურსიამძღოლის შტატი ჰქონდა, რომლის 25 ლარიან ხელფასსაც ჩემი შვილი ყოველ წელს ბავშვებს უყოფდა, ოღონდ ერთი პირობით: მათ ჯავახიშვილის შემოქმედება ზედმინევნით უნდა სცოდნოდათ. სამ მოსწავლეს შეარჩევდა, მაღალკლასელს, შეასწავლიდა ჯავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას და თითო წელი ამუშავებდა მუზეუმის ექსკურსიამძღოლებად, მერე კი ამ სამეულს შეცვლიდა.

სიონელ მოსწავლეებს განსაკუთრებით შეუყვარდათ ირმა მასწავლებელი, მოზარდები მის ყოველ მითითებას გულიანად ასრულებდნენ.

იმ დროს, რაღა თქმა უნდა, ღონისძიებების ჩასატარებლად ხელმძღვანელობა ვერავითარ თანხას ვერ გამოყოფდა, თუმცა ყოველ წელს იმართებოდა ჯავახიშვილობა.

ჩემმა ირმამ სიონელ ბავშვებსაც შეასწავლა ჯავახიშვილის შემოქმედება, მათ ირმას მიერ სახელდახელოდ მომზადებული მოკლე სკეტჩი დადგეს „კვაჭი კვაჭანტირაძიდან" ნერაქვის მუზეუმის სცენაზე.

მთელი სემესტრი მუშაობდნენ მასწავლებელი და მოსწავლეები, რომ ეს ღონისძიება შემდგარიყო.

სიონელი ბავშვები სკოლის ავტობუსით ჩამოვაყვანინე წერაქვში და მათ თავი ნამდვილად არ შეურცხვენიათ, ასახელეს ჩემი შვილიცა და თავისი სოფელიც. მოვიწვიე სტუმრები, თბილისის ინტელიგენცია, იმედი არ მქონდა, რომ ჩამოვიდოდნენ, მაგრამ მოახერხეს, პატივი დაგვდეს და ეწვივნენ სოფელ წერაქვს. ჯავახიშვილობას ესწრებოდა მთელი სოფელი. სტუმრებს, რა თქმა უნდა, მკაცრად არ შეუფასებიათ ბავშვების მსახიობური შესრულება. ნამდვილად ლამაზი დღე იყო. სკეტჩისა და მუზეუმის სცენაზე ჯავახიშვილის შემოქმედების მიმოხილვის შემდეგ, გაიმართა თამაშობა. ნერაქველი და სიონელი ჭაბუკები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ჭიდაობაში.

იმ დღეს ორმა სოფელმა – ნერაქვმა და სიონმა გაიხარა. კეთილი ხალხიც გვესტუმრა.

ჯავახიშვილობა შედგა.

გზა წერაქვის სკოლის ზარამდე

დილით საქონელს ვუვლით და 9 საათზე სკოლაში მისვლას ვერ ვასწრებთო, – მითხრეს ერთხელ აქაურმა პედაგოგებმა.

თბილისელები კვირაში სამჯერ 8 საათზე იკრიბებოდნენ სპორტის სასახლესთან – ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს. უფრო ადრე ვერ ხერხდებოდა ვერანაირად. ასე რომ, წერაქვის სკოლაში სწავლა მიზეზთა გამო იწყებოდა 10 საათზე.

წერაქვისათვის გრძელი ზამთარია დამახასიათებელი. ყოველ დილით ექვს საათზე ვდგებოდი, ვანთებდი ცეზარ კვიციანის მიერ ჩვენთვის გაკეთებულ ღუმელს, გახურებულ ღუმელზე ვდგამდი ნალექიან ყავას პატარა რკინის ყავის მადუღარით, რომ გამოღვიძებულ შვილს ცხელი ყავა დახვედროდა – ყავისა და სიგარეტის გარეშე ვერ ძლებდა ირმა.

დილაადრიან, ცხელი ყავის დალევისას ვგეგმავდით მე და ირმა, დღეს რა უნდა გაგვეკეთებინა, ვიგონებდით ძველ ამბებს, ვსაუბრობდით ყავის თანხლებით, ვაგებდით სამომავლო გეგმებს. მოგვიანებით თათიაც შემოგვიერთდებოდა ხოლმე და ერთად ვემზადებოდით სკოლაში წასასვლელად.

ადგილობრივი პედაგოგები უვლიდნენ საქონელს, აგვარებდნენ სახლის საქმეებს და ემზადებოდნენ სკოლის შენობისაკენ წასასვლელად.

თბილისიდან დაიძვრებოდა კანცელარიის მიერ დანიშნული სამარშრუტო, წამოიყვანდა მასწავლებლებს, ნახევრად გაამერიკელებულ მოწაფე სოფიოს. წერაქვის ფერმიდან, რომელიც 8 კილომეტრით არის დაშორებული სკოლას, მათ ელოდებოდათ და-ძმა, რომლებიც არასამარშრუტო დღეებში გზას სკოლისაკენ ცხენით მოუყვებოდნენ.

დილაადრიანად გაემზადებოდნენ ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებიც – წერაქველები და სვანები.

მე, ირმა და თათია გამოვკეტავდით კარს და დავადგებოდით სკოლისაკენ ორკილომეტრიან გზას.

მივუყვებოდით და გზადაგზა გვიერთდებოდნენ ბავშვები და პედაგოგები. სოფლის სხვადასხვა მოსახვებიდან კანტიკუნტად და ცალ-ცალკე ვგროვდებოდით ერთ გზაზე.

– გოჩო, ინგლისური იცი? – ვკითხე ჩემს დაწყებითი კლასების ერთ-ერთ მოსწავლეს.

– კი, მასწ! a house.

– ბევრი გცოდნია, აბა! – გამახალისა ბალღმა.

სვანების უბნის ამოსახვევიდან პირველები მოდიოდნენ მასწავლებლები, მოუძღვებოდნენ წინ თავიანთ მოსწავლეებს, მათ უკან მოსდევდნენ დინჯი, მხარბეჭიანი სვანის ყმაწვილები, მერე კი გამოჩნდებოდნენ ცალკე გუნდად გუდიაშვილის თვალწარბიანი, თვალხატულა გოგონები.

წერაქვის სკოლიდან ოდნავ მოშორებით, მოსახვევში მდგარ დიდ მუხასთან, თბილისიდან დაძრული სტაფილოსფერი სამარშრუტო მოიწევდა ჩვენკენ.

ასე და ამგვარად ვიკრიბებოდით წერაქვის საშუალო სკოლის ეზოსთან, დიდ თეთრ ჭიშკართან.

სკოლას სასწავლო პროცესისათვის უთენია ტექპერსონალი და დამლაგებლები ამზადებდნენ, ყველა კაბინეტი დაწკრიალებული გეხვდებოდა და ყველა ოთახის ღუმელში ცეცხლი გიზგიზებდა.

მასწავლებლები მივემართებოდით სამასწავლებლოსაკენ.

მოსწავლეები მოედებოდნენ სკოლის ეზოს.

ზუსტად 10 საათზე, სამასწავლებლოს აივანზე დაირეკებოდა მონასტრიდან ჩვენთან გამოგზავნილი

მოვერცხლილი წკრიალა ზარი, რომელიც ჩემი დირექტორობის დროს გაკვეთილების დაწყების მაუწყებელი იყო...

„ბინდისფერია სოფელი“ – სიმღერა ხევიდან

ჩემ წინ მეზობლად ერთი ნამდვილი ქართული ოჯახი ცხოვრობდა. რეზო უგრეხელიძე და მისი სამი ვაჟი ზაფხულობით ჩამოდიოდნენ.

მიმიპატიჟეს თავიანთ სახლში, სუფრა ჰქონდათ გაშლილი, მოილხინეს და მომალხინეს მოხუცი. დასჭექეს ქართული ხალხური სიმღერები, ააჟღერეს მრავალჟამიერი. ბგერები მათი ძლიერი და თბილი ხმების წყალობით სულსა და გულში აღწევდა. არასოდეს დამავიწყდება მათი ტკბილი ხმები.

წერაქვი ზაფხულობით ივსება დამსვენებლებით, მთელი წლით მიტოვებულ, გაყინულ სააგარაკო სახლების კედლებს შორის, ოთახებში აბრდღვიალდება ელექტრონათურა, ჩადგება სინათლე. გაისმის ბავშვების ჟივილ-ხივილი.

ზაფხულის საღამოები წერაქვში მუდამ გრილია, მშვიდი და წყნარი.

საღამოს საინფორმაციოს ყურებისას, უცებ სულზე უტკბესი ჰანგები შემოგვესმა. გამოვედით აივანზე. ტყის პირიდან, ხევიდან „ბინდისფერია სოფელი“ ჭექდა. ირაკლი უგრეხელიძის ხმა იმწამსვე ვიცანი. განაბულები ვუსმენდით. გარეთ გამოეფინა ყველა მოსახლე, მათი ხმა სითბოდ იღვრებოდა ზაფხულის ღამეში.

მეორე დღეს გავარკვიე: უგრეხელიძეები და სხვა ახალგაზრდები შეგროვილან და უქეიფიათ თურმე

ტყეში. ხმა მივაწვდინე და მადლობა შევუთვალე მათ ასეთი ლამაზი ღამის მოწყობისათვის, ღმერთმა არ მოგაკლოთ, შვილებო, საქეიფო გუნება-განწყობა და არც ჩვენ მოგვანატროს თქვენ მიერ შესრულებული „ბინდისფერი სოფელით" ტკბობა-მეთქი.

მას მერე საკმაოდ ხშირად იკრიბებოდნენ ვაჟები იმ ტყის პირას, საიდანაც ხმა ლამის მთელ სოფელს სწვდებოდა. მათი გულებიდან ამოთქმული სიმღერა სჭექდა და სჭექდა, იტრუნებოდა ირგვლივ ყველაფერი.

ასე გვანებივრებდნენ ნამდვილი ქართველები ზაფხულობით, მათ სმენას არაფერი სჯობდა.

სავსე ავტობუსი

ქალაქელებს ვერ წარმოუდგენიათ, როგორ ცხოვრობს ხალხი სოფლად ან თუნდაც გადაჭედილი ჟორიკოს ავტობუსით მგზავრობა რა არის. განსაკუთრებით საახალწლო პერიოდში. ფეხზე დასადგომი ადგილი რომ აღარ რჩება, არადა, წერაქვში მოხვედრის ერთადერთი სატრანსპორტო საშუალებაა.

თათია სტუდენტობისას რაღაც პერიოდი მამამისთან გადავიდა საცხოვრებლად. არასალექციო დღეებში, რა თქმა უნდა, ჩვენკენ გამორბოდა. ზოგჯერ აქედანაც დადიოდა ლექციებზე.

თბილისიდან მამამისმა ირაკლი შენგელაიამ, სწორედ იმან, „ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის" ჩამოყალიბებით რომ დაამახსოვრა ხალხს თავი, თათია მეგობრის მანქანით ჩამოიყვანა მარნეულამდე, საიდანაც ირმასთან ერთად ავტობუსით უნდა გამოეგრძელებინა გზა. ავტობუსს ვერ მოუსწრეს, გასული იყო უკვე, აუჩემებია თათიას, ეგ ავტობუსი ნელა დადის, ხალხით

სავსეა ამ დროს ყოველთვის და შორს არ იქნება ნასულიო.

გამოაგრძელა მანქანამ გზა და მართლაც მარნეულის გასასვლელში დაეწივნენ.

იმისათვის, რომ ახალი მგზავრი ავიდეს ავტობუსში, სხვებმა უნდა დაუთმონ გზა. დურთა თათიამ თავი და შეძვრა ავტობუსში, „ბოდიში-უკაცრავად"-ის ძახილით გაიკვლია დედამისისაკენ გზა – საახალწლოდ უსათუოდ სახლში უნდა ყოფილიყო, ვერა ძალა ვერ დაამაგრებდა სხვაგან.

ვითარება იყო იმისთანა, ერთი სიონელი კაცი, რეზო კუპატაძე ჩავიდა ავტობუსიდან და ფეხზე დასადგომი ადგილი ჩემს შვილიშვილს დაუთმო. ზამთარი იყო, ციოდა, საახალწლოდ ყველა შინისკენ, თავისიანებისაკენ მიიწევდა. ერთი კი თქვა სიონელმა, კაცი ვარ და რაიმეს გავყვებიო და დაადგა ფეხით გზას, მაგრამ შეხვდა კი რამე ტრანსპორტი?! ვინ იცის...

ერთი წელიწადი შვილიშვილთან და შვილთაშვილთან ერთად

როდესაც ჩემმა შვილმა მარნეულში დაიწყო საგანმანათლებლო საქმიანობა და იქაური ბავშვებისთვის ინგლისურის სწავლება, თათიაც მასთან გადავიდა და ერთად მუშაობდნენ. ჩემთან კი ერთი წლით გადმოვიდა უფროსი შვილიშვილი მერიკო და შვილთაშვილი გიორგი.

იმ პერიოდში ჯერ კიდევ სკოლის დირექტორი ვიყავი, ასე რომ, ჩემი შვილთაშვილიც კი დადიოდა ჩემთან ერთად ნერაქვის სკოლამდე. ამჯერად მე, მერიკო და გიორგი მივუყვებოდით ნერაქვის სკოლის ზარამდე ორ

კილომეტრიან გზას. მაშინაც და დღემდე ასე მიმაჩნია, რომ სოფლის ყოფა მცირე ხნით მაინც უნდა ჰქონდეს ბავშვს ნანახი.

სასკოლო ასაკამდე ჩემი შვილთაშვილი, ისევე როგორც ბავშვების უმეტესობა, უწყინარი და თვინიერი იყო და სიმართლე გითხრათ, არც მერე გამოირჩეოდა დიდი დაუმორჩილებლობითა და რთულად აღსაზრდელობით.

ზაფხულში მოაგარაკე ბავშვებს დიდ მუხასთან ჰქონდათ თავშეყრის ადგილი და დეიდამისი თათია ცინდალივით დაათრევდა დასასვენებლად ჩამოსულ დისშვილს.

ერთ დღესაც მუხასთან ბიჭებს სასმელი ამოუტანიათ, ზომაზე მეტიც დაულევიათ და კიდეც აურევიათ.

მოსაღამოვდა, თათიას მოჰყავს ბავშვი სახლში, მე ვერ მხედავს და მესმის ჩემს ეზოში ჭიშკართან მოახლოვებისას, თუ როგორ არიგებს ჭკუას. ბიჭუნა სამიოდე წლის თუ იქნებოდა მაშინ.

– გიო, ბაბუას ნუ ეტყვი, რომ ბიჭები სვამდნენ და დათვრნენ. გაიგე?

– კაი, არ ვეტყვი! – მიუგო გიორგიმ.

ეზოში შემოსვლისთანავე ბავშვმა დამინახა თუ არა: – დომბარი ბაბუ, დომბარი ბაბუ, ბიჭები არ სვამდნენ და სულ არ დამთვრალან – ეგრევე შემატყობინა გახარებულმა.

ადგილობრივი კადრის პრობლემა

პედაგოგებს კი დავატარებდი თბილისიდან, მაგრამ სადამდე გასტანდა მსგავსი ფუფუნება. ვფიქრობდი იმაზე, რომ სკოლას შემდგომში დაწყებითი მასწავლებლის კადრის პრობლემა მაინც არ შექმნოდა. ნერაქვის სკოლისათვის აუცილებელი იყო ახალგაზრდა კადრი. ნონა სიდიანსა და მანანა კვიციანს რეკომენდაცია გავუნიე სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორთან, ავუხსენი ვითარება და ვთხოვე, ჩემთვის ეს სამსახური გაეწია. ჩემი თხოვნით მოხერხდა მათთვის შეღავათების გაწევა, დაუსწრებლად მიიღეს უმაღლესი განათლება და ამით დაწყებითი კლასის მასწავლებლის პრობლემა მოიხსნა კიდეც.

ნონა სიდიანი დღემდე ასწავლის ნერაქვის სკოლაში.

„ჩამოთოვა ისევ“

ეზოში დავბორიალობ, ვეძებ ნაჯახს, ვერსად ვპოულობ, ვეკითხები შვილს, ვინმესთვის ხომ არ უთხოვებია, არაფერს მპასუხობს, ჩავაცივდი. მერე ირმა გამომიტყდა, რაც ოტიას შეემთხვა, იმის მერე თათია ნაჯახს გიმალავსო.

გასულა თათია უკანა ეზოში ნაჯახით და შეშასთან ხლაფორთობს რაღაცას.

– თათია! – დავუძახე და თან გულში გამიხარდა, რომ ჩემი ნაჯახი არ მოუპარავთ და არც უთხოვებიათ ვინმესთვის.

– მე კი არ მომკლავს შეშის დაპობა, სად მალავ ამ ნაჯახს?

რაღაც ბუნდოვანი პასუხით დაიძვრინა თავი შეკითხვისგან.

გული კი მანუხებდა, მაგრამ მაინც ყოჩაღად ვიყავი, ვახერხებდი მეურნეობის გაძღოლასაც და ფრინველის ყოლასაც.

საღამომდე ვაბინავებდით ყველაფერს და ვემზადებოდით მომდევნო დღისთვის. სიბნელე ჩამოწვებოდა თუ არა, ავანთებდით ლამფებს და უშუქო, კუნაპეტ ღამეში დავუწყებდი ჩემს შვილსა და შვილიშვილს ძველი ამბების მოყოლას.

– ბევრჯერ მითქვამს თქვენთვის, მწერლობა როგორ დავიწყე. გამოაცხადეს კონკურსი, გამარჯვებულისათვის ფულადი ჯილდო იყო დაწესებული. ასე დაინერა ჩემი „მტკვის პირას გათეთრებული კაცები". არ მეგონა, უფრო სწორად, დიდი იმედი არც მქონდა გამარჯვებისა, პრემიისათვის გამოცდილი მწერლები იბრძოდნენ, მაგრამ ვცადე ბედი და გამიმართლა კიდეც. ფულადი ჯილდოს აღების მერე, სერიოზულად მივუდექი ამ საქმიანობას, წერა ყოველთვის მეხერხებოდა და ვინაიდან კარგადაც გამომდიოდა, გავყევი მწერლის გოლგოთის გზას.

მერამდენედ ვყვებოდი ამას, მაინც გატრუნულები მისმენდნენ.

– რომელი საათია? – ვიკითხე მე.

– ცხრა საათია უკვე, მამა.

– კაი, მორჩა უკვე მემუარები, ჩავრთოთ რადიო. ისე, მაინც მინდა გითხრათ, ნაჯახზე გამახსენდა უბრალოდ: როცა მოვკვდები, არ გაბედოთ ჩემი დატირება, ვინც მიტიროს, უკან მომყვეს! გახსოვდეთ ეს.

ჩემი საუბრის სტილი და მანერა ჩემიანებში თბილ ღიმილს იწვევდა.

– არაფერია მაგაში სასაცილო, ვინც მიტიროს, უკან მომყვეს! – ვთქვი და მივუჯექი მაგიდას, სადაც თეთრ რადიოს საპატიო ადგილი ეკავა.

ჩავრთე თუ არა, აყღერდა ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის საყვარელი მამუკა ჩარკვიანის სიმღერა „ჩამოთოვა ისევ“.

– ჯერ, ეტყობა, ცხრა არ არის.

– ათი უკლია, მამა.

– საცაა დაიწყება საინფორმაციო.

„ჩამოთოვა ისევ იისფერი მთები, შენს ხმას ველარ ვისმენ და ველარსად გხვდები...“ – ისმის რადიოდან.

ფანჯრებს მიღმა თოვს, ბარდნის, ნერაქვში ჩამოთოვა ისევ.

ვალოდია კი არა, ჯეჯილი!

სტაფილოსფერი სამარშრუტოთი თბილისიდან მივემგზავრები ნერაქვში. სკოლის მორიგი საქმისათვის ვიყავი ჩასული დედაქალაქში და მეორე დილით გამოვყევი თბილისელ მასწავლებლებთან ერთად.

მთელი გზა ვსაუბრობდით ათას წვრილმანზე და, რაღა თქმა უნდა, თითოეული მათგანი ეხებოდა სკოლას.

– ვალოდია უნდა ამოსულიყო, ხომ არ იცით, რატომ არ ამოვიდა? – ვკითხე მერე გოგოებს (გოგოებად მოვიხსენიებ, ვინაიდან ჩემი შვილიშვილის ტოლები იყვნენ).

– არა, არ ვიცით, – მიპასუხეს.

მივუახლოვდით ნერაქვს, გავხედე სკოლის მიწებს, შაუმიანში ჯეჯილი ბიბინებდა, აქ კი ჯერაც არ ამოწვერილა ჩვენ მიერ დათესილი ხორბალი. დავდარდიანდი.

– კაცო, იქ ყოფილა და აქ რატომ არ ამოვიდა? – ვთქვი დაღონებულმა.

– ვინ ბატონო ნოდარ, ვალოდია?

– ვალოდია კი არა, ჯეჯილი! – აღმომხდა გაგულისებულს.

ატყდა სამარშრუტოში სიცილ-კისკისი.

მივხვდი, ფიქრებში ვყოფილვარ გართული და ისინი ხომ ვერ მომყვებოდნენ ფიქრდაფიქრ.

„ვალოდია კი არა, ჯეჯილი!“ ანეკდოტად აქცია მაია იათაშვილმა და ანეკდოტადვე დადიოდა წლების მანძილზე.

ვინ არ ყოფილა ამ სახლში...

მართალია, თბილისს გავერიდე, მაგრამ მუდამ ვადევნებდი მიმდინარე მოვლენებს თვალს და ძირითადად არა მარტო საინფორმაციო საშუალებით ან ჟურნალ-გაზეთებით, არამედ ჩემთან ჩამოსული სტუმრების საუბრიდან ვადგენდი, საით მივდივართ და საერთოდ მივდივართ თუ არა სადმე. ქვეყანაზე რაც ხდებოდა, კარგი ადამიანები მატყობინებდნენ. ვინ არ ყოფილა ამ სახლში და მოგვიანებით მარნეულში, ჩვენს ბინაში სტუმრად. მწვადებითა და ღვინით ვერ ვუმასპინძლდებოდით ჩამოსულთ, თუმცა ალბათ არც ისინი მოდიოდნენ ჩემთან ამისთვის.

წერაქვის სახლში სხვადასხვა დროს ბრძანდებოდნენ გამგებლები, გუბერნატორები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, ნამდვილი პატრიოტები, ჟურნალისტები, ადამიანები, რომელთაც ანაღვლებდათ ქვეყნის ბედი, მოყვასის ჭირი გულთან ახლოს მიქონდათ. ჩემი დიდი და პატარა თანამოაზრეები! მათთან საუბრით იმ

იმედიან აზრამდე მივდიოდი, რომ საქართველოს არათუ გადაშენება არ უწერია, არამედ წინსვლაც ექნება ოდესმე და იმ საოცნებო საქართველოს ამშენებლებიც, იმ საზოგადოების შემქმნელებიც ბლომად არიან, რომელზეც ვოცნებობდით ეროვნულ მოძრაობაში მოსვლის დროს. ჩემს თითოეულ სტუმართან პირადი დამოკიდებულება მაქვს, ბუნებრივია.

მათ შემხედვარეს მწამს და მჯერა, საქართველოს ჯერ კიდევ მრავლად ჰყავს „გრაალის მცველები", და ისინი და სწორედ ისინი უმრავლოს ამ ქვეყანას ღმერთმა!

მათ მიერ ქმნილი ქართული საქმეების წინაშე ქედს ვიხრი. მე ყველა ის ადამიანი მიყვარს მთელი არსებით, ვისაც უყვარს თავისი ერი. ისე ნრფელად, ალალად, ყოველდღიურ საქმეებში ჩანს მათი თავდაუზოგავი სიყვარული, გრძნობა არა გრძელი სადღეგრძელოების თქმით, არამედ უკეთესი მომავლისთვის ზრუნვით. სხვაზე ზრუნვით, ჯაფითა და შრომით უნდა დაუმტკიცო ჯერ საკუთარ თავს და მერე სხვასაც მისცე მაგალითი.

ადამიანი ღმერთის სახედ და ხატადაა შექმნილი, მასში თუ ღმერთი ცოცხალია, თუ დასადგურებულია სიყვარული და სიკეთის თესვის სურვილი, მას შეუძლებლის გაკეთებაც კი ძალუძს, მაგალითის ძალა აქვს.

მინდა ჩემთან სტუმრად ჩამოსული რამდენიმე ადამიანი გავიხსენო და მოვეფერო სიტყვით, დღეს მხოლოდ ამის გაკეთება შემიძლია.

საქართველოს უახლეს ისტორიაში უდიდესი ადამიანის, რომლის თანამებრძოლობის ბედნიერებაც მხვდა წილად, ზვიად გამსახურდიას ორი ვაჟი მესტუმრა. ცოტნე წერაქვში, ხოლო კონსტანტინე მარნეულში ჩამოვიდა თავის მეგობრებთან ერთად.

ცოტნე ჩამოსულა ერთ დღესაც ნერაქვში, მოაგარაკე ჟურნალისტს დაუპატიჟნია თავისთან. როგორც კი გაიგო ჩემი აქ ყოფნა, გადმოვიდა სანახავად. სახლში შევიპატიჟე, ღარიბულ სასტუმრო ოთახში ბუხარზე დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სურათს, ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტების ფოტოს და იქვე მერაბ კოსტავას სურათს საპატიო ადგილი ეკავა. ოთახში შემოსულ ცოტნესაც, მეც და ჩემს ირმასაც თვალები აგვიწყლიანდა, მაგრამ შევიკავეთ თავი.

– მე თუ რამეში გამოგადგებით, იცოდეთ, ჯერ კიდევ შემწევს ძალა! – ეს ერთადერთი იყო, რისი თქმაც მოვახერხე. ტკივილნარევი სიჩუმე ჩამონვა, ბევრი ითქვა და ბევრიც დარჩა უთქმელი...

საკმაოდ ხშირად გვქონდა სოკო სადილად, ტყიდან მოგვქონდა. იმ დღესაც, როდესაც ნოდარ ნათაძე ჩამოვიდა სოფლად გადახვეწილი მწერლის სანახავად, ჩემს სტუმარს სოკოთი და ჩემი დაწურული ღვინით გავუმასპინძლდი. მომიყვა ქვეყნის ამბები, მოვიგონეთ ძველი.

– ნოდარ, რა მინდა გკითხო, იქნებ ჩვენ ეროვნული მოძრაობის დროს არასაკმარისი გავაკეთეთ და ამის შედეგია ის ყოველივე, რასაც დღეს ვიმკით? – მკითხა მან.

– მე რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, ჩემო ნოდარ, – ვუპასუხე მე.

ჟურნალისტები ხშირად ჩამოდიოდნენ ნერაქვში, ამავსებდნენ შეკითხვებით, რატომღაც მიაჩნდათ, რომ პასუხები მქონდა, ვიღებდი მაინც.

არაერთმა მათგანმა დამამახსოვრა თავი. მაინც მინდა ორი შემთხვევა გამოვყო.

ერთი ჩემი ნათესავის – პაატა კაჭარავას ჩამოყვანილი „ფიგაროს“ ჟურნალისტები. სასიამოვნო ფრანგი ქალბატონი გახლდათ, რომელსაც ვერაფრით ავუხსენით, ბაჟე რა იყო, ან საერთოდ რატომ იყო ეს ქათამი დასვრილი. მოკლედ, დიდად ვერ მოიხიბლა ქართული სამზარეულოთი, თუმცა ძალიან მოწადინებულები ვიყავით და სახელდახელო სუფრითაც დავხვდით.

მეორე, რამაც უცხოელი გააოგნა, ეს იყო ჩვენი ძველებური ნაკვერჩხლის უთო, რომელიც ერთ-ერთ თაროზე გვედო.

– რა იშვიათი ანტიკვარი გქონიათ, – გაიკვირვა ფრანგმა.

– ამ იშვიათ ანტიკვარს ხშირად ვიყენებთ, რადგანაც შუქი არ გვაქვს საკმაოდ ხშირად.

როდესაც მას უთარგმნეს, ვერ დაიჯერა, იქნებ ვერ მითარგმნე სწორადო, ჰკითხა თარჯიმანს.

ჩამომართვეს ინტერვიუ. ეს ის პერიოდია, როდესაც საშველი არ იყო, ხსნა არ ჩანდა არსაიდან და შევარდნაძე შეუცვლელი გახლდათ. ინტერვიუს მერე კი ფრანგები მოვატარეთ ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსში, მუზეუმში და რაც კი იყო ისტორიული ძეგლი წერაქვში, ყველაფერი დავათვალიერებინეთ, შევახვედრეთ ადგილობრივ ბავშვებს.

პაატა კაჭარავას, რომელიც წლების მანძილზე ეხმარებოდა ჩემს ოჯახს და საერთოდ სანათესაოსაც, ფრანგები, რაღა თქმა უნდა, უპატივცემლოდ არ დაუტოვებია – ფრანგი ჟურნალისტები იმ დღეების მანძილზე, რაც თბილისში დაჰყვეს, მისი პატრონაჟისა და ყურადღების ქვეშ იყვნენ.

მეორე შემთხვევა ახალგაზრდა ჟურნალისტთან არის დაკავშირებული. მან ერთხელ მკითხა:

– რატომ აღარ წერთ, ბატონო ნოდარ?

– თაბახის ფურცელი არ მაქვს და იმიტომ, – მოკლედ და იუმორით ვუპასუხე.

ახალგაზრდას ჩემი ნათქვამი გულში ჩარჩენია, თბილისიდან საგანგებოდ მანქანა გამოგზავნა და ერთი შეკვრა თაბახი მომანვდინა სხვისი ხელით, თან შემომითვალა:

– იქნებ დაწეროთ რაიმე თუ თაბახის არქონაა ნამდვილი მიზეზი.

შემოვიტანე თაბახის ლურჯი შეკვრა და დავდე საწერ მაგიდაზე.

ხალხისათვის უსაყვარლესი და მართლაც სახალხო მწერალი ოტია იოსელიანი არაერთხელ მსტუმრებია. დაიგულებდა მეგობრის მანქანას, „წამიყვანეთ წერაქვში, ნოდარს მოულოდნელად უნდა დავეცეო“.

მე და ოტიას სვანური ქუდების გარდა, ძალიან ბევრი რამ გვქონდა საერთო და ყოველთვის მახარებდა მისი სტუმრობა და მასთან საუბარი.

წერაქვში ვინც კი სტუმარი მოხვდებოდა, საქეიფოდ ყველას მასპინძელთან მიყავდათ, ხოლო ჭკუის საკითხავად ჩემთან, მერე ბარემ მუზეუმსაც ათვალიერებინებენ.

ასე ამოყვეს ჩემს სახლში GTZ-ის გერმანელმა ნარმომადგენლებმა, მატიესმა და ქისტენმა, რომლებმაც არაერთი კეთილი პროექტი განახორციელეს ქვემო ქართლში. მათ შემთხვევით თარჯიმნად მოჰყვათ ჩემი ძველი მეგობრის, ნოდარ ჩხეიძის შვილიშვილი ლიკა თარხან-მოურავი.

ამ ამბების გახსენებით, მოგონებებით, რომლებიც ჩემს გონებას ჯერ კიდევ შემორჩენია, მინდა ის უცხოელები დავაფასო, ჩემი სტუმრებიც რომ იყვნენ

და მნიშვნელოვანი წვლილიც რომ შეჰქონდათ საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

14 აპრილია, დიდი ხანია აღარ ვარ სკოლის დირექტორი. 70 წელი შემისრულდა თუ არა, დავნერე განცხადება და წამოვედი სკოლიდან, არ მინდოდა ჩემს მოწაფეებს დაჩაჩანაკებული დავმახსოვრებოდი. ვზივარ ჩემთვის აივანზე, მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმში ენისადმი მიძღვნილი ღონისძიება იმართება, სწვდება ჩემამდე მიკროფონების ხმა.

სევდანარევი სიხარულით ვიყავი მოცული და ცოტა ხანში სტუმრად მეწვივნენ კახა ლომაია თავისი ამალით: რატი ამაღლობელი, ასევე წერაქვის სახელს მიტმასნილი, მოუშორებელი იზა ორჯონიკიძე, მარნეულის მე-6 სკოლის დირექტორი მურადი, ადამიანი, რომელიც ნამდვილ პატრიოტულ საქმეს აკეთებს ამ რეგიონისათვის, მისი სკოლის პედაგოგები, მათთან ერთად ასევე ამერიკელი მეცნიერი და მწერალი რებეკა გოულდი, გოგონა, რომელიც საქართველოში მასალების მოსაძიებლად იყო ჩამოსული.

ბატონ კახას, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ვკითხე განათლების რეფორმაზე.

– კარგად კი მიდის, ბატონო ნოდარ, რეფორმა, მაგრამ შედეგი მერე გამოჩნდება. მოგვიანებით გავიგებთ, კარგად მიდიოდა თუ არა, – მითხრა მან.

იმ პერიოდში და, ვინ იცის, შესაძლოა ახლაც, ადამიანები ვერ აღიქვამდნენ იმ საქმეთა მნიშვნელობას, რომელთაც ზოგჯერ ნამდვილ ქართველები სჩადიან. შემფასებლები ჯერ ვერც ხვდებიან, რა არის ჩაფიქრებული, ან რა მასშტაბის ქართული საქმე კეთდება. მაშინვე იწყებენ კრიტიკას. ახალბედებს ეს რომ დასჩემდათ, ეგ კიდევ არაფერი, ზოგჯერ მათზე ბევრად გა-

მოცდილ ადამიანებსაც მოსდით ნაჩქარევი მცდარად ლანძღვა. დიახ, ამას ლანძღვა ჰქვია და არა კრიტიკა.

მას მერე დიდი დრო გავიდა, უბრალოდ ერთი პარალელი მინდა გავავლო, გამოვყო მეტად მნიშვნელოვანი ერთი დეტალი: მე იმ დროს მოვესწარი, როდესაც სიტყვა „პატრიოტი" და „ეროვნული მოძრაობა" სალანძღავად ჟღერდა. ჩემი თხოვნა იქნება, სიტყვა „ნაციონალურს" იმავეს ნუ უზამთ, ვინაიდან არის მსგავსი ტენდენციები.

მთელი ჩემი ყურადღება ბატონ კახასთან საუბარზე მქონდა გადატანილი და თვალში მომხვდა ერთი ახალგაზრდა.

– ეს ახალგაზრდა მეცნობა, თქვენი თანაგუნდელია თუ?..

– მე რატი ვარ, ამაღლობელი, ბატონო ნოდარ.

– რატი? ეს ვინ მყოლია სტუმრად.

დავტოვე ჩემი დანარჩენი სტუმრები უყურადღებოდ და გადავედი მასთან საუბარზე, მინდოდა ჩემი კეთილგანწყობა გამომეხადა.

– ის რატი ამაღლობელი?! თვალყურს ვადევნებ თქვენს შემოქმედებასაც და საქმეებსაც, თქვენ ნამდვილად დიდი მომავალი გაქვთ, ახალგაზრდავ...

– მეც ასე არ მითხარი, ნოდარ, – ჩამერჭო ტვინში ლურსმანივით იზა ორჯონიკიძის სიტყვები და ფიქრები გამაფანტინა, – ასე მითხარი, როდესაც ჩემი ლექსები წაიკითხე.

– შენ ახალგაზრდა ქალი იყავი, იზა, და ვერ გითხარი ვერაფერი აუგი.

– მერე ახლა მეუბნები ამას, ნოდარ? – უნიჭოდ გამეხუმრა იზა.

ატყდა სიცილი. მინდოდა როგორმე გამეგრძელებინა სათქმელი. ამის ნაცვლად რატისგან სახე ვიბრუნე თუ არაფერი ვთქვი გაღიზიანებულმა.

იზას სჩვეოდა, ისე ჩაგეჩრებოდა სიტყვაში, რომ სათქმელს ნაგართმევდა, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო ბუნებით ცუდი ადამიანი და ბევრი კარგი აქვს გაკეთებული, განსაკუთრებით წერაქვისათვის. ეს ერთი საშინელი ჩვევა ჰქონდა – უხერხული სიტუაციების შექმნის დიდოსტატი გახლდათ.

ჩემმა უეცარმა განწყობის შეცვლამ დამიბნია სტუმრები, ისინი ხომ არ მომყვებოდნენ ფიქრდაფიქრ, ვერ მიმიხვდებოდნენ, რისი თქმა მინდოდა ან იქნებ მიმიხვდნენ კიდეც.

ერთი რამ უსათუოდ უნდა ვთქვა: ჩემთან სტუმრად ჩამოსული ადამიანების უმეტესობა ის ახალგაზრდები არიან (მე აქ ჩემი თაობის წარმომადგენლებს განზრახ არ ვასახელებ, ჩვენ ჩვენი უკვე გავაკეთეთ), რომლებიც მე გრაალის მცველებად მიმაჩნია და მწამს, ყველა, ვინც მათ გვერდში ამოუდგება, გრაალის მცველი გახდება. მსგავსი ადამიანები, სადაც არ უნდა იყვნენ და რა სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდნენ, სიკეთესაც დასთესენ და გრაალსაც ბოლომდე დაიცავენ.

ირმას მისიონერობა მარნეულში

მარნეულში სახელგანთქმულ ირინე პეტროვას მოწაფემ, ჩემმა ირმამ დაიწყო ბავშვების მომზადება ინგლისურში, წლების მანძილზე ასწავლიდნენ ირმა და თათია იქაურ ბავშვებს – ქართველებსა და აზერბაიჯანელებს. ამით მცირე შემოსავალიც ჰქონდათ და ქველმოქმედებასაც ეწეოდნენ, ვინაიდან ნახევარი იმ ბავშვებისა, რომლებიც ჩემს შვილთან დადიოდნენ, უფასოდ მეცადინეობდნენ. ეს იყო ოჯახები, რომლებსაც გარკვეული პრობლემები ჰქონდათ ან ირმას თვალში და თათიას

აზრით მათი გასაჭირი აღემატებოდა სხვებისას და ბავშვსაც სწავლის სურვილი ჰქონდა.

მე მეურნეობას ვუძღვებოდი წერაქვში და ჩემი მოწეული მოსავლით ვეშველებოდი მათ.

გარკვეული დროის მერე, რაც მარნეულში დაინყეს მასწავლებლობა, აიღეს სამომხმარებლო კრედიტი და მისი მეშვეობით შეისყიდეს ქალაქ მარნეულში ორ-ოთახიანი ბინა. ამ კრედიტს სამი წლის მანძილზე იხ-დიდნენ.

როდესაც წერაქვში ჩამოდიოდნენ, ბუნებრივია, მიყ-ვებოდნენ ბავშვების ამბებს, მათ ხასიათებს, წარმატე-ებებსა თუ თავისებურებებს. დაუსწრებლად ვიცნობდი თითოეულ მათგანს. დედა-შვილი დაუღალავად მუშაო-ბდა – მოწაფეების მიღებას იწყებდნენ 9-ზე და 7-ზე ასრულებდნენ. ნლობით გრძელდებოდა გაუთავებელი გაკვეთილები.

ბავშვები გოლთეთიდანაც კი მოდიოდნენ და დილის 9 საათზე გამოცხადებოდნენ გათოშილები ინგლისურის გაკვეთილზე. საოცარია სწავლის ის წყურვილი, რაც ირმასა და თათიას მოსწავლეებს ახასიათებდათ.

ირმა და თათია ერთმანეთისათვის საღამომდე ვერ იცლიდნენ, ერთ ოთახში ერთი მასწავლებელი ამეცა-დინებდა, მეორეში – მეორე. თავისი სასწავლო პრო-გრამა გააჩნდათ, სანამ სკოლაში შემოიღებდნენ კომ-პიუტერის მეშვეობით ენის სწავლების პრაქტიკის დან-ერგვას, ჩემს შვილს ეს მეთოდი საკუთარი პროგრამე-ბით თავის ბინაში დანერგილი ჰქონდა უკვე.

თავიდან მარნეულის ყოფილ სამხედრო გარად-ოკში დაიწყეს მუშაობა. მოგეხსენებათ, პროვინციელ ბავშვებს თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვთ. შებოჭილნი, ნაკლებად განებივრებულები არიან და მრავალი სხვა ნიშნით გამოირჩევიან.

როგორც კი ირმას ახლობლებმა შეიტყვეს, ბავშვები ჰყავს მარნეულშიო, პირველად მისი მეგობრის – ქეთევან გვარამიას ქალიშვილი სალომე გრიგალაშვილი ჩამოვიდა მათთან, ჩამოიყვანა თავისი მეგობრები და ამ ბავშვებისათვის მოაწყო ნამდვილი თოჯინების თეატრი.

საქმეში მალევე ჩაერთო ირმას მეორე მეგობარი პროფესორი ანასტასია ზაქარიაძეც და ბავშვები არაერთი ღონისძიებით გაანებივრა.

საპატრიარქოდან ირმას მეგობარმა და თათიას ნათლიამ, შორენა თეთრუაშვილმა გამოუგზავნა ახალი აღთქმისა და ფსალმუნების ახალი გამოცემა, რათა ქრისტიან მოსწავლეთა ყველა ოჯახში ყოფილიყო ეს წიგნი.

სანამ ღვთის რისხვა – ინსულტი დამატყდებოდა თავს, ვიყავი სოფელში, მერე კი გადამიყვანეს მარნეულში. როგორც ამბობენ, ქართული ენაც კი დამვიწყებია და მეგრულად დამიწყია საუბარი.

ავადმყოფობის ის პერიოდი წაშლილია ჩემი გონებიდან. არაფერი მახსოვს. უბრალოდ ვიცი, რომ დიდხანს ვიყავი ავად.

როცა მოვიხედე, აღმოვჩნდი ამ გაუთავებელი გაკვეთილების შორიახლო, მარნეულის ბინის მომცრო ლოჯში.

ირმა ყოველ წელიწადს მართავდა წარმოდგენებს, თავის მოსწავლეებს პიესებს ადგმევინებდა ინგლისურად. მე, რა თქმა უნდა, როგორც საპატიო სტუმარი, ვესწრებოდი თითოეულ მათგანს.

ათი წელიწადი იმუშავა ირმამ მარნეულში. ამ წლების მანძილზე თითო წელიწადში 60-ზე მეტი ბავშვი ჰყავდა დედა-შვილს, აქედან ნახევარი უფასოდ სწავ-

ლობდა. მათი უმეტესობა გამართულად საუბრობდა ინგლისურად.

პროვინციას უამრავი ნაკლოვანი მხარე გააჩნია: იქ იშვიათია პერიოდული გაზეთი, არც რაიმე გასართობი საშუალებაა, თავშეყრის ადგილი ახალგაზრდებისათვის, კინო, პარკი – მარნეული მარკეტების ქალაქია მხოლოდ.

ამ წლების მანძილზე ირმამ და თათიამ თაობები გაზარდეს და მათი მოსწავლეები დღეს თვითონ ენევიან კერძო პრაქტიკას. მართალია, არა მგონია, მათ ვინმეს რაიმე უფასოდ ასწავლონ, მაგრამ გამორჩეულად კარგები მაინც იქნებიან, რადგან შეძლეს ესწავლათ იმაზე მეტი, ვიდრე ინგლისური ენის ანაბანაა.

ირმას მოწაფეებს დიდი წარმატებები ჰქონდათ: ორი მოსწავლე ამერიკაშიც კი წავიდა ერთწლიანი სასკოლო FLEX-ის პროგრამით, მანამდე კი, როგორც ამბობენ, ვერც ერთი მარნეულელი ვერ იმარჯვებდა ამ კონკურსში.

დედა-შვილი მთელი დღის მომქანცველი გაკვეთილების შემდეგ, საღამოს ძლივს აბრუნებდა ენას პირში. სიმართლე უნდა ითქვას, ორივეს უყვარდა თავისი საქმე და ალბათ უფრო იმიტომაც, რომ ამას ერთად აკეთებდნენ, ერთი მექანიზმივით მუშაობდნენ...

საპატრიარქოს ტელევიზია

ჯერაც მეტყველება მიჭირდა, როცა საპატრიარქოს ტელევიზია გვენვია, აბო თბილელზე დოკუმენტურ ფილმს ილებდნენ და ჩემი ჩანერა სურდათ. დავთანხმდი, გამიხარდა კიდეც ასეთი კეთილი და თბილი ხალხის სტუმრობა, გამახსენდა ჩემი რომანი „ღვანლი

და წამება აბოსი და იოანესი". ჩაწერეს ჩემი ინტერვიუ და წავიდნენ მალევე.

ეს მუდამ ასე იყო: ადამიანები, რომლებიც საპატრიარქოს ირგვლივ ტრიალებენ, ნამდვილად გამოირჩევიან, მათ ათასშიც კი გამოარჩევს მცოდნე თვალი. იშვიათი ხალხია, ყოვლად უბოროტონი და მშვიდნი. ღმერთმა ქნას, რომ საპატრიარქოს მიდამოებში უფრო ბევრი და ბევრი ადამიანი დაიარებოდეს.

პრემიები

როცა გონება დამიბრუნდა, პირველი, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი მოხდა, ის იყო, რომ ილია ჭავჭავაძის პრემია მომანიჭეს, საგურამოდან, ამ უდიდესი მწერლისავე მუზეუმიდან. ფულადი სიმბოლური ჯილდოც გამომიგზავნეს – 500 ლარი.

ამას მოჰყვა ნანა ჯაფარიძისა და თემურ ქორიძის სტუმრობა. დავით აღმაშენებლის პრემიაზე გვსურს თქვენი წარდგენაო, მითხრეს. დავთანხმდი, „დავით აღმაშენებლის ქვის" ავტორს, არც მიფიქრია ბევრი.

კიდეც წარმადგინეს და კიდეც მომცეს უმთავრესი პრემია თავისი ფულადი ჯილდოთი, რომელიც 20 000 ლარს შეადგენდა. რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენს ალექსანდრე ებრალიძეს დაუარსებია ეს ლიტერატურული პრემია, თორემ საქართველოში რომელ პირს ან ორგანიზაციას შეეძლო მსგავსი ოდენობის ფულადი ჯილდო დაეწესებინა მწერლებისათვის.

დაჯილდოვებაზე ჩემი შვილიშვილები წავიდნენ, პრემია სახლში მომიტანეს. მიღებული ფული მთელს ოჯახზე გადავანაწილე, კრედიტის ბოლო დარჩენილი

ნანილის დაფარვაც მოხერხდა, შვილიშვილ მერიკოსაც გავუნანილე და მეუღლესაც გავუგზავნე თბილისში.

კიდევ ერთი პრემია, რომელიც ცოტა იუმორისტულიც მეჩვენება დღემდე: მოვიდნენ მწერალთა კავშირიდან მწერლები და მომანიჭეს მეორედ ილია ჭავჭავაძის პრემია, ამჯერად ფულადი ჯილდოს გარეშე.

ანასტასია და მისი სტუდენტები

პროფესორმა ანასტასია ზაქარიაძემ ერთ დღესაც დარაზმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები და ეწვია წერაქვს იმისათვის, რომ ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსს მიშველებოდნენ. ორი დღე იყვნენ წერაქვში, ჩვენს სახლში გაათენეს ღამე. დაულალავად იმუშავეს-მეთქი რომ ვთქვა, ცოტა იქნება. როცა აკეთებ რამეს, ის უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორ აკეთებ ამას და რა გამოძრავებს, რის გამო სჩადიხარ საქმეს – ლაზათითა და სილამაზით, ურთიერთსიყვარულითა და პატივისცემით, ამაღლებული გრძნობით თუ უბრალოდ ნაძალადევი, ნაყალბევი, დამყვედრებელი, მოვალეობის მოხდის გამო. ამ ქალბატონმა და მისმა ახალგაზრდებმა შეუძლებელი გააკეთეს. თბილისელი აზიზი და ფაქიზი გოგო-ბიჭები, ერთი შეხედვით ფიზიკურ მუშაობას შეუჩვეველნი, დარაზმულები და მომზადებულები ჩამოვიდნენ, თავიანთი თეთრი და მოცისფრო სამუშაო რეზინის ხელთათმანებით.

თითქოს არაფერი განსაკუთერებული არ ჩაუდენიათ, ქვები გადაზიდეს და ერთი მანქანა აგური აზიდინეს იქაურ ოსტატებს ღვთისმშობლის მონასტრის სენაკების დასამთავრებლად. მუშახელი არ ყოფნიდა

მონასტერს და პროფესორი თავისი სტუდენტებით მხსნელად მოევლინათ.

თვითონ ის სილამაზე, რომლითაც გააკეთეს ყოველივე, არა მხოლოდ უკეთესი მომავლის გარანტია, არამედ იმის მაუწყებელიც, რომ იმ სიბინძურეში, რაც ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით არის და იმ გაურკვეველი, ბნელი ავადმყოფობით დაავადებულ საზოგადოებაში, მაინც იზრდებიან ღვთისმოსავი, ღვთისმოშიში და სიკეთის მთესველი ადამიანები.

პირველ ყოვლისა, დასაფასებელია ის ადამიანი, ვინც მათ სწორ მიმართულებას აჩვენებს.

ანასტასია ჩადგა მონასტრის ეზოს ერთ წერტილში და ჩამწკრივდნენ რიგში მისი ბარტყები, გააკეთეს ცოცხალი ჯაჭვი და ასე ერთიანი ძალისხმევით, სიცოცხლით სავსე სიხარულით, ჯაჭვის გაუწყვეტელობით, შედგა კიდევ ერთი ლამაზი დღე წერაქვში.

მხატვრებმა გაამზადეს თავიანთი მოლბერტები და შეუდგნენ მონასტრის ხატვას.

სიყვარულით, სათუთი მოპყრობით თითოეულ ქვასთან და, ამასთანავე, წინაპრის დანატოვართან, მადლიანი საქმე გაკეთდა, სუფთა ხელებითა და წმინდა გულებით.

ტაძარში ხატებს მირონი სდიოდათ. ღვთისაგან იყო დალოცვილი მათი ჩამოსვლა.

უნივერსიტეტის სტუდენტობას ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული მუხტი და ძალა და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტმა.

როდესაც დაღლილ-დაქანცულები ჩვენთან მოვიდნენ მოსასვენებლად, გავესაუბრე მათ და გავიხარე, რომ ასეთი გონიერი თაობა ეზრდება ჩემს საცოდავ, ბოროტებისაგან მონამლულ ქვეყანას.

მათი შეუპოვრობისა და დაუღალაობის შედეგად, დარწმუნებული ვარ, რომ თავიანთ სუფთა მიზნებს მიაღწევენ და ადამიანობას ყოველთვის ბოლომდე გაიტანენ. სწორედ მაშინ გქვია ადამინი, როდესაც სიყვარული შეგიძლია და ამ სიყვარულის ბოლომდე გატანას ახერხებ – სხვისთვის სიხარულის მინიჭებით, ლაზათითა და გვერდით მდგომისათვის მაგალითის მიცემით.

* * *

იყო ცნობილი, გარკვეული პასუხისმგებლობაა. როდესაც, ასე თუ ისე, დიდ კაცად მიგიჩნევენ სანათესაოში და მათ ვერავითარ დახმარებას ვერ უწევ, შესაძლოა, არ გამოხატონ, მაგრამ გულში მაინც გაივლებენ, მე რატომ არაფერს მეხმარებაო. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, აქეთ ვიყავი დასახმარებელი, ისეთ ვითარებაში მომინია ყოფნა და ცხოვრება.

სახელი მქონდა, მართალია, მაგრამ ამ სახელს ჩემთვის რაიმე მატერიალური კეთილდღეობა ნამდვილად არ მოუტანია. ვინც ნამყოფია ჩემთან სტუმრად წერაქვის, ჩემი ირმას სახლში, იცის, რომ სიმართლეს ვამბობ. თუ რაიმე გააჩნდა ჩემს ოჯახს, ნაწვალები და ნაოფლარი იყო მუდამ. ასე მიმაჩნდა სწორად, იმედი მაქვს, ეს სასაყვედურო არც არის. ასეთი შემქმნა განგებამ, ასე აღვიზარდე, ასე გავიარე ჩემი ცხოვრების გზა. სიჯიუტითა და შეუპოვრობით, ტანჯვითა და წვალებით. თუკი ვისიმე დახმარებას მოვისურვებდი, ეს უსათუოდ დიდი ბრძოლით მიიღწეოდა. ხშირად ვერც კი ვაღწევდი მიზანს. საკუთარი პრინციპები სხვისი გულისათვის არაერთხელ გადამიდია გვერდზე, მაგრამ მათთვის არასოდეს მიღალატია...

18 სექტემბერი – უსახელო სისაძაგლე საქართველოში

გათენდა 18 სექტემბერი, 2013 წლისა. დღე, როდესაც დაღამებამდე გაშუქდა ის ყბადაღებული ციხის კადრები, რომელთაც ქვეყანაში მრავალნაირი ცელილება მოჰყვა.

უსახელო სისაძაგლემ, ციხის კადრებმა ჩემი შვილის სიცოცხლე შეინირა, საღამოს ტელევიზორს უყურა და ინფარქტი დაემართა.

ჩემი საცოდავი, 18 სექტემბერს ციხის კადრებს შეწირული შვილი!

შვილის სიკვდილზე საზარელი და საშინელი არაფერი არ არის.

...გათენდა დილა, რომელიც ცუდს არაფერს მოასწავებდა. მანამდე მთელი ზაფხული, ჩემი დამასამარებელი სექტემბრის დადგომამდე, ოჯახში პატარა სიხარულიც კი გვქონდა, ირმას მეგობრის – ანასტასიას და თვითონ ირმას დაჟინებით თათიამ სადოქტოროზე ჩააბარა, მთელი ზაფხული დედა-შვილი, ორთავე ინგლისურის სპეციალისტი, ერთად განიხილავდნენ ქრისტოფერ მარლოუს შემოქმედებას, მის „ფაუსტსა“ და სხვა პიესებს. ვუსმენდი თარგმანს, ვემზადებოდით ახალი სასწავლო სემესტრისათვის, ვსახავდით ახალ გეგმებს.

13 სექტემბერს ჩავედით მარნეულში, დღე დღეს მიჰყვებოდა, მოწაფეებისათვის ახალი გაკვეთილების ცხრილი დგებოდა.

გათენდა შავი 18 სექტემბერიც. დილით გაკვეთილები ჩატარდა, ყოფითი საქმეები მოგვარდა, მე პატარა ტელევიზორს ვუყურებდი ჩემს ოთახში, თათია სტატიას კითხულობდა კომპიუტერების კაბინეტში, ირმა

ძირითად სასწავლო, უფრო სწორად, სასტუმრო ოთახში მისჩერებოდა ტელეეკრანს. შვილს დაუძახა:

– თათია, ცუდად ვარ.

– ნუ გეშინია, დედა!

– წყალი! – თქვა ირმამ და ორიოდე ყლუპის დალევის შემდეგ გონება დაკარგა.

თათიამ ატეხა კივილი, ტელეფონით გადარეკვა.

– ცისმარ, თათია ვარ, დედაჩემი ცუდად არის, გთხოვ, სასწრაფოში დარეკე, ნომერი არ მაქვს.

ცისმარი ერთ-ერთი მშობელია, რჩეული ანუ წარჩინებული მოწაფეებიდან, რომელთაც ირმა წლების მანძილზე ასწავლიდა.

წუთებში ხდებოდა ყველაფერი, მაგრამ გაუსაძლისად უსასრულო ჩანდა. ველოდით შველას. თათიას დედის გულმკერდზე ჰქონდა ყური მიდებული, გული ჯერ ცემსო, იმეორებდა, ველოდით, მოვიდნენ, და უკვე გვიანიაო, გვითხრეს.

– მერო, მგონი დედა აღარ გვყავს! – დაურეკა მერე დას.

ამ ვითარებას ერთ-ერთი მოსწავლე – ცისმარის ვაჟი თოკა ყიყიშვილიც შეესწრო, მოსწავლე, რომელმაც მოგვიანებით 91 ქულა აიღო ინგლისური ენის გამოცდაში. მიუხედავად იმისა, რომ ერთი მასწავლებელი გარდაეცვალა, ხოლო მეორე ველარ იხედებოდა იმ საქმისაკენ, რომელსაც ასეთი სიყვარულით ათ წელზე მეტი ხანი დედა-შვილი ერთად ეწეოდნენ და ამის გამო ბოლო წელი ველარ მოემზადა თოკა.

მე და თათიას ჭკუიდან შეცდენამდე ბევრი არც დაგვკლებია, ვერ ვაზროვნებდით, თავზარი დაგვეცა, საშველს ვეძებდით, არ ჩანდა არსაიდან ხსნა. გონება დამიბნელდა. როდესაც მერიკო ჩამოვიდა და დები ცხედარს უვლიდნენ, ვიხელთე დრო, ჩუმად შევიპარე

სააბაზანოში და ქურდულად გადავიხსენი ვენები, სისხლი მოვწმინდე და დავიმალე საბანში დამნაშავე ბავშვივით. ნაინსულტარი ხელები ვერ დავიმორჩილე და ვერ გადავიგლიჯე კარგად ვენები, თან მალევე წამომადგა მერიკო თავზე, ერთი სისხლის წვეთი დამრჩენია და გამჟღავნდა ჩემი ამ ცხოვრებიდან გაქცევის მცდელობა.

ხელები გადამიბურდა მერიკომ ნაჭრებით. გონება მქონდა დაბინდული თავს დატეხილი უბედურებისაგან, მიმაჩნდა, რომ ჩემი ცხოვრება დასრულდა და თან ბარემ ორივეს ერთად დაგვკრძალავენ-მეთქი, ვიფიქრე.

გამოგვაცალეს ხელიდან ირმა. ჩამოქანდნენ თბილისიდან, მოვიდნენ მისი პატივისმცემელნი. ჩვენ ეს რას გვიშველიდა, მაგრამ ვხედავდი, დიდსა თუ პატარას რამდენად უყვარდა ირმა.

ირმამ წაიღო ჩემი სიხარული! რატომ მოგვივლინა უფალმა ასეთი განსაცდელი, რატომ გამიმწარდა სიბერე და დამატირებინა შვილი, რა დავაშავე ამისთანა?!

მოგროვდნენ სიკეთის მთესველნი ჩემი შვილის დასატირებლად, ადამიანები, რომლებიც ჩემი ჩანაწერების პერსონაჟებად ვაქციე, ახალგაზრდები, იმ სიკეთის დამნახველები, რასაც ბოლო ამოსუნთქვამდე აკეთებდა ირმა.

ეთხოვებოდნენ და ვერ გამოეთხოვნენ.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, გამოგვიგზავნა ფული, ჩამოვიდა შორენა თეთრუაშვილი და მამა შალვა კეკელია. შორენამ სთხოვა მოძღვარს და ირმას სახელზე ყოველ ეკლესიაში კანდელი ენთო 40 დღის განმავლობაში. საპატრიარქომ სამოქალაქო პანაშვიდებს ქაშუეთის ეკლესიაში გაუკეთა ორგანიზება.

საფლავის ფული პაატა კაჭარავამ გადაგვიხადა. მე და თათია ვიყავით ნაშლილი ჭირისუფლები. მერიკო, მისი ვაჟი გიორგი და მერიკოს მეგობრები დარბოდნენ დაკრძალვისათვის ყველაფრის მოსაგვარებლად.

დაუფასდა საწყალს მრავალი წლის მანძილზე საპატრიარქოში მუშაობა. ჩემი გადაღლილი თვალებით ვნახე, თუ რაოდენ დიდი სიყვარული წაიღო ჩემმა შვილმა და რამდენი ადამიანი აფასებდა მას.

გლოვა, ტკივილი, რომელიც არ დაგიამდება, დარდი, რომლის გაქარვებაც შეუძლებელია, მოუშუშებელი ჭრილობა ჩემი, ირმაა. ჟამი, როცა არაფერი გახარებს, არავის დანახვა არ გინდა, ვერც უსმენ ვისმეს, ბღავიხარ ტკივილისაგან, ხავიხარ და ვერ გამოდიხარ – არ ილევა მაინც, არ თავდება ეს ტკივილი. არ გესმის, არ გაინტერესებს, ირგვლივ რა ხდება. დარდით იმოსები.

...ახლა კი მინდა უსახელო სისაძაგლეს მივადგე და არაადამიანებს.

რამდენი რამ გამომივლია და მინახავს, მაგრამ ის, რამაც 18 სექტემბერს ჩემი შვილის სიკვდილი გამოიწვია, ასეთი გაუგონარი ამბავი არც მინახავს და არც წამიკითხავს. ვერ წარმომიდგენია, ნუთუ შესაძლებელია, რომ ადამიანის გონებას ასეთი სიმახინჯე მოაფიქრდეს და მერე განახორციელოს კიდეც. მთელი წელი გავიდა და ერთი ნორმალური შეფასებაც ვერ მოვისმინე. ცოტა ხნის წინ კი ტელევიზორში ვნახე: გადაცემაში მოუწვევიათ ის ადამიანი, რომელიც ციხის კადრებს იღებდა კამერით და მერე გაბღენძილი ინდაურივით გამოგვიცხადა, მე გმირი ვარო.

გადაირიეთ ხომ სულ ყველა ერთად? იქნებ მე ვერ ვხვდები რაიმეს, აბა, დავფიქრდეთ – ერთი კაცი მეორეს აწამებს, მესამე კამერით იღებს, თან ინახავს, შესაბამის დროს ელოდება, რომ ეს რაღაც, რასაც ჩემი

მდიდარი ლექსიკის მიუხედავად, შესატყვისი სახელი არ აქვს, გამოაქვეყნოს. ამ ქმედების განმხილველთ ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი, რომ საზოგადოებას სჭირს არა მარტო, თქვენი საყვარელი სიტყვით რომ ვთქვათ, დემორალიზაცია, არამედ დეუსინდისობა. ასეთი სინდისნამუსგარეცხილი რამ შეიძლება გაგხადოს? ჯერ ამ ამაზრზენი ფაქტის განხორციელება თავისთავად საშინელი და შემზარავია, მერე კი გმირის სახელის მოხვეჭის სურვილი?

ხალხნო, ავად ხართ?

რა სენი შეგეყარათ ამისთანა?

გისმინეთ, გისმინეთ და დავადგინე, ვერ გჭირთ კარგი ამბავი!

საზოგადოებას გაჯანსაღება სჭირდებაო, გაიძახით. მინდა გითხრათ, ვერ ადგახართ მაგ გზას.

ავად ხართ და ამ ავადმყოფობას სისასტიკე ჰქვია, რაც, დამერწმუნებით, ვერ არის ადამიანობა.

არაადამიანებზე დიად ქართულ სიტყვებს ვერ დავხარჯავ. უსახელო სისაძაგლე ჩემს საქართველოში არ უნდა ხდებოდეს და არაადამიანები არ უნდა პარპაშებდნენ.

ტყეს ეშველებაო

ახლახან ჩემს ჭიშკარს ორი ვილისი მოადგა. შემოვიდნენ ეზოში აქაური მკვიდრები – სანდრო და კოტე და მკითხეს, – ბატონო ნოდარ, შეშა სად დავყაროთო. მოვიდა მიხეილ ალადაშვილი, კაცი, რომელმაც ამ საქმეს გაუკეთა ორგანიზება, მითხრა, ჩემთვის დიდი პატივია თქვენი გაცნობაო.

ქვემო ქართლის სატყეოს უფროსს ეზეკია (ზაზა) ინნკირველს გამოუგზავნია ჩემთვის შეშა საჩუქრად.

შეშას წერაქვში ოქროს ფასი აქვს, როდესაც თავად არ შეგწევს უკვე ძალა ტყიდან შეშის გამოტანისა.

რამდენიმე ხანში ბატონი ეზეკია მოხვედრილა წერაქვის მიდამოებში, მოულოდნელად დადგომია თავის თანამშრომლებს შესამოწმებლად. შეგვეხმიანა, მოვიპატიჟეთ, ვისაუბრეთ. ვკითხე:

– ბატონო ზაზა, ადრე ხომ ხერხდებოდა ტყის განაშენიანება, იქნებ მომავალში მოხერხდეს, რომ რაიმე საშველი დაადგეს გამეჩხერებულ ტყეს. თავადაც იცით, ტყე ძალიან საპატრონოა დღეს.

– ბატონო ნოდარ, მთელი პაკეტი გვაქვს წარსადგენი იმ ცვლილებებისა, რომლებიც უსათუოდ უნდა განხორციელდეს. მომავალი წლიდან, იმედია, ის ძირითადი პრობლემები, რაც დღეს სატყეოს აქვს, გადაიჭრება.

გამაცნო თავისი შეხედულებები ტყის გადარჩენაზე, ადიგენში ჩატარებული საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საქმეები.

ბატონი ეზეკია ხუთი შვილის მამაა და, მართალია, არა მხოლოდ ამ მიზეზით, მაგრამ ნათლად ესმის ტყის პრობლემებიც და ხედავს მათი მოგვარების გზებსაც.

ეზეკია ინნკირველს ადრე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისში ჩავდიოდი, გავუცნივარ ჩემი მხატვარი შვილის მაკას გამოფენაზე. დავმახსოვრებივარ რაღაცით და მას მერე შორიდან ჩემი პატივისმცემელი ყოფილა. მოეცა თუ არა საშუალება, მომიტანა ოქროს ფასი საჩუქარი. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის და ღმერთმა ხელი მოუმართოს ტყის გადარჩენის საქმეშიც და პირად ცხოვრებაშიც.

ირმას გაცოცხლება

რაც გადავიტანეთ, სიტყვებით რთულია ამის გადმოცემა, მწერლისთვისაც კი. ჩემმა შვილიშვილმა თათიამ საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ფირმა „კრიალოსანი" გააცოცხლა.

ასე რომ, „გაუმარჯოს ირმასა, „კრიალოსან" ფირმასა!"

ამ წიგნის წერას ჩემი შვილის – ირმას გამო მოვკიდე ხელი. მინდოდა ამით მისი ის პატარა დიდი საქმეები წამომეწია წინ, რომლითაც მას შეეძლო ესულდგმულებინა თავის გარშემომყოფები და მასთან ერთად მეჩვენებინა ადამიანური საქმეები, რომლის კეთებაც ხშირად ამა თუ იმ მიზეზთა გამო ავიწყდებათ ხოლმე. მეჩვენებინა ადამიანები, რომლებსაც თავიანთი ადამიანობა გააქვთ ბოლომდე და არსად ჩანან, არადა მათზეა დამოკიდებული ყველაფერი.

ჩემთან, წერაქვში გამომცემლობა „ინტელექტის" წარმომადგენელი მესტუმრა, ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერალი ზვიად კვარაცხელია, შემომთავაზა ჩანაწერებზე მემუშავა და გამოუქვეყნებელი მასალა, რაც მქონდა, გამომეცა. თავიდან გამიძნელდა დათანხმება, მაგრამ ვინაიდან სურვილი მქონდა ირმას სახელი უკვდავმეყო, შვილიშვილმაც ამიბა მხარი და მე და თათია ერთად შევუდექით ამ წიგნზე მუშაობას – 81 წლის ინსულტგადატანილ მწერალს დამოუკიდებლად წერაც აღარ შემეძლო.

...თავის დროზე მტკიცედ გადავწყვიტე, წერა მიმეტოვებინა და საამისოდ მქონდა მიზეზი! ახლაც დასაბუთებული მიზეზი მაქვს, რისთვისაც დავიწყე წერა ხელახლა, მაშინ, როდესაც წერა უკვე შეუძლებელიც კია ჩემთვის. და მე ზუსტად ვიცი, ამჯერად ვისთვის და რისთვის ვწერ.

ამ რთული, ღვარძლითა და გესლით გადავსებული ცხოვრების გამაადვილებელი, უსაყვედურო, ჩემი ირმა, ამ ვერაგ ყოფაში ჩვენთვის სილამაზის შემქმნელი, გამტანი და დამთმენი, ერთგული და უღალატო, სიკეთის უანგაროდ ჩამდენი, მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთხელ გაუნბილეს იმედი – მე ვერაფერს შევძლებდი, ირმა რომ არ მყოლოდა გვერდში. ვერც ამ წიგნს ვერ დავწერდით, ირმა რომ არ ყოფილიყო ჩვენთან.

როდესაც დადგება ჩემი წასვლის დრო, პირველ ყოვლისა, იმქვეყნად ირმას მოვძებნი, ვნახავ და უსათუოდ ვკითხავ:

– როგორ ხარ, შე ადამიანო?!

მოხუცი მწერალი ვარ და ნათლად ვხედავ ერთ მწარე სინამდვილეს – სამწუხაროდ, საქართველოში ბევრს დავიწყებია, რა არის ადამიანი... გულით გისურვებთ, ყველას ადამიანობა შეგაძლებინოთ ღმერთმა!

ჩანაწერები

საგამომცემლო პროექტის ავტორი

ზვიად კვარაცხელია

უკვე გამოიცა:

ოთარ ჭილაძე. ცა მიწიდან ინყება

ბაჩანა ბრეგვაძე. ბოლო წლების ჩანაწერები

ტარიელ ჭანტურია. დინოზავრიდან დიზაინამდე

ოთარ ჩხეიძე. დროდადრო

ლევან ბრეგაძე. მარგინალიები

მიხეილ ჯავახიშვილი. უბის წიგნაკებიდან

ვახტანგ ჯავახაძე. ლექსიდან – ლექსამდე

გურამ გათიაშვილი. სახეები და სიტუაციები

ლადო ასათიანი. წელიწადივით მწველი წადილი

ესმა ონიანი. ძველი რვეულებიდან

ივანე ამირხანაშვილი. თავისუფლების პარადოქსები

ზურაბ ცხონდია. რაც უნდა დუმილით მეთქვა

გურამ რჩეულიშვილი. 1956-1960

როსტომ ჩხეიძე. გამოსვლები უეკრანოდ

იოსებ ჟუმბურიძე. არ ენყინება ყოვლადძლიერსო...

XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები

(თეიმურაზ ბაგრატიონი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი)

თამაზ ჭილაძე. ონინარი

სიმონ ჩიქოვანი. მწიფობისთვეში ჩასული მზე

რეზო კვესელავა. საგნები ჩვენთვის

ვახტანგ ჭელიძე. ტკბილ-მწარე ამბები

რაულ ჩილაჩავა. პესიმისტის ჩანაწერები ანუ
ბავშვობაში დაბრუნება

ლერი ალიმონაკი. შვიდი დღის ქრონიკა

გურამ ოდიშარია. სულის გადასხმა

აკაკი განერელია. ჩემი სოლილოკვიო

XX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დღიურები
(გიორგი დეკანოზიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე,
დავით ქარცივაძე, აკაკი ჭანტურია)

ფრიდონ ხალვაში. გუშინ

მაკა ჯოხაძე. ჩაძირული დღესასწაული

ტერენტი გრანელი. ვდგავარ საოცრების კარებთან

იოსეგ ყიფშიძე, ევგენია ეგაძე-ყიფშიძისა,
დავით ყიფშიძე. დღიურები, ჩანაწერები

ამირან არაგული. სულუქცევრად საკითხავნი

ნოდარ ნულეისკირი. ოცი წელი ნერაქვში

საგამომცემლო ჯგუფი

ნიკოლოზ კორტავა
ესმა მანია
ვიოლა ტულუში
მართა ნიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე
ილია ხელაია

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5.
ტელ./ფაქსი: 25 05 22, 91 22 83.
www.intelekti.ge info@intelekti.ge